პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დიდი მოურავის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 34—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 23—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და სტუდენტებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადებისათვის ფასი იკლებს 10% სახელმწიფო ... მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 15 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 110 (2153)

დღიური

— პროფინტერნის დახმარება ინდოელ რკინისგზელებს.
— „ლენინბუნდის" სრული ლიკვიდაცია.
— შეთანხმება პოლონეთ-ლიტვის კონფერენციაზე.
— ბანკეტი კელნში პრესის გამოფენის გახსნის გამო. ამხ. კრესტინსკის სიტყვა.
— ახალი საბაჟო ტარიფი სპარსეთში.
— სპარსეთის მეჯლისის არჩევნები მოხდება 22 მაისს.
— პროტესტები ბელა-კუნის დაპატიმრების წინააღმდეგ.
— ბრძოლა საქსონიის ლითონის მრეწველობაში.
— პურეულის ცუდი მოსავალი პოლონეთში.

# მასების მონაწილეობის გზით

ეჭვი არ არის, რომ ჩვენს სახელმწიფო აპარატს ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი ახლავს თან. მისი პირადი შემადგენლობა სოციალ-პოლიტიკური და კვალიფიკაციის მხრივ არა ყველგანაა დამაკმაყოფილებელი. სახაპარატის მუშაობის მეთოდები და ფორმებიც მოიკოჭლებს. ფართე მასშტაბით და ნამდვილად რაციონალიზაციის გატარებას, შეიძლება ითქვას, დიდი ხანი არ არის რაც შევუდექით. აქედან—ბიუროკრატიზმის ნაშთები, საქმის გაჭიანურება, პარტიულ-საბჭოთა დირექტივების დამახინჯება, უთავბოლობა, ხელგაშლილობა და სხვ. არც ისე იშვიათია ჩვენი აპარატის პრაქტიკაში.

აშკარაა, რომ აპარატის დაახლოება მშრომელ მასსებთან და ხსენებულ ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა პირველ ყოვლისა შეიძლება სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში ამ მასსების რაც შეიძლება მეტი და უფრო აქტიური ჩაბმით. მთელი ჩვენი საქმიანობაც სწორედ აქეთკენაა მიმართული. საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგი, პროლეტარული დემოკრატიის ფართედ გაშლა, მუშების და გლეხების დაწინაურება ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ამას წინედ ჩატარებული საბჭოთა დემოკრატიის განხორციელების შემოწმება, საბჭოების საანგარიშო კამპანია, კონკურსი საუკეთესო საბჭოთა სექციებზე და მრავალი სხვა ღონისძიებანი ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება.

ამავე დროს არსებობს სპეციალური ორგანო—გაერთიანებული საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახით, რომელიც უშუალოდ მოწოდებულია სისტემატიური ბრძოლა აწარმოოს ჩვენი სახელმწიფო და ყოველგვარ სხვა აპარატის ნაკლულოვანებებთან და რაციონალურად დააყენოს მისი მუშაობა. ამ მხრივ მიღწევები ინსპექციას უთუოდ დიდი აქვს. მან თვალსაჩინო როლი ითამაშა ჩვენი აპარატის გაჯანსაღებაში.

ამ მიმართულებით მუშაობა, ცხადია, შემდეგში კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს. ვინაიდან, როგორც ვსთქვით, ნაკლულევანებანი ჩვენს აპარატს კვლავ ბევრი მოეპოვება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ დარგში საჭირო შედეგების მიღწევა შეუძლებელია მარტო ინსპექციის ძალებით და აპარატით. აუცილებელია ამ მუშაობაში ფართე მასსების შემდგომი მიზიდვა და მათი თვითმოქმედების განვითარება. ინსპექციის საქმიანობა მთლიანად უნდა ემყარებოდეს მშრომელ მასსების აქტიურ დახმარებას.

ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს უმაღლეს პარტორგანოების მტკიცე და გარკვეული დირექტივები. ამავე საკითხს ეხება საქ. კომპარტიის ა.-კ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელი პლენუმის დადგენილება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

ეს დადგენილება შეიცავს მთელ რიგ პრაქტიკულ ხასიათის წინადადებებს, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნენ მშრომელი მასსები ჩაბმული ინსპექციის მუშაობაში, რომლის მიზანია აპარატის რაციონალიზაცია და მისი ნაკლულოვანებების აღმოფხვრა.

საბჭოებთან მუშათა და გლეხთა ინსპექციების სექციების მოწყობა და მათი მოღვაწეობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება, ინსპექციის საგამოკვლევო მუშაობაში მუშათა და გლეხთა მასების მიერ გამოყოფილ წარმომადგენლების მოზიდვა გამოკვლევებში და ამ გამოკვლევათა გარშემო მასსების საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება და დარაზმვა, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ფართე მასსების მონაწილეობით, ინსპექციასთან არსებულ საჩივართა ბიუროებში და მათ საქმიანობაში მუშათა მიერ არჩეულ პირების როლის გადიდება, მუშკორების უფრო ფართედ და მიზანშეწონილად გამოყენება და სხვა—აი ის საშუალებები, რომლებიც მუშათა და გლეხთა ინსპექციას ხელს შეუწყობენ თავის რთულ და მძიმე ამოცანების პირნათლად გადაჭრაში,—აი რა გზით შეიძლება ჩვენი აპარატის გაუმჯობესება.

მთელი ეს მუშაობა ჰგულისხმობს თვითკრიტიკის ლოზუნგის მტკიცედ და ბოლომდე გატარებას. ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა თვითკრიტიკა, შეუბრალებელი მხილება ყველა ნაკლულოვანებების და ამისთვის ხელსაყრელ პირობების შექმნა, გამოაცხადა ჩვენი მუშაობის ერთ - ერთ მთავარ საფუძვლად. მასსების თვითკრიტიკა მძლავრი იარაღია პარტიის, ხელისუფლების და მთელი მასსების ხელში, იარაღი, რომლის მოსწრებულად მომარჯვება უდიდეს ნაყოფს გამოიღებს ნაკლულოვანებებთან წარმატებით ბრძოლის და მასსების აღზრდის, მათი თვითმოქმედების გაძლიერების საქმეში. ეს ბასრი იარაღი ფართედ უნდა იქნეს გამოყენებული.

ჩამოთვლილ ღონისძიებათანა განხორციელება მეტად შეუწყობენ ხელს მუშათა და გლეხთა ფენებიდან გამოცდილ კადრების შექმნას სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოსათვის. მუშათა დაწინაურების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მოწინავე მუშათა და გლეხთა მეტი რიცხვის დაწინაურება, დაწინაურებულთა მიზანშეწონილი გამოყენება — ეს დიდი ამოცანაა, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას. ეს საშუალებას მოგვცემს ჩვენი აპარატი თანდათან განვტვირთოთ უცხო ელემენტებისაგან, რომელნიც აქა-იქ კიდევ სხედან, და ის უფრო დავუახლოვოთ მშრომელ მოსახლეობას.

ამგვარად, უმთავრესია მუშათა და გლეხთა მასსების ნამდვილად და ყოველმხრივ ჩაბმა სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღების საქმეში. ესაა ერთად ერთი გზა დასახულ მიზნის მისაღწევად.

# ჩინეთის ბურჟუაზია დამცველებს ეძებს

ვიდრე ერთა ლიგისადმი მიმართული ნანკინის მთავრობის საჩივარი იაპონიის მოქმედებაზე ნელ-ნელა მიცოცავს — ინგლისის სააგენტოს ტელეგრაფის მავთულებზე, იაპონიის ჯარები ენერგიულად აფართოებენ ოკუპაციის არეს; მათ უკვე დაიჭირეს სავსებით ცზინანი და შანდუნის დედა ქალაქის გარშემო მდებარე მაზრები. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იაპონიის ჯარები მიიწევენ ჩრდილოეთისაკენ ცზინანიდან და ისევ სოლივით იჭრებიან ჩრდილოელ და სამხრეთელ არმიებს შორის იმ მიზნით, რომ სრულ განადგურებას გადაარჩინონ ჩან-ძო-ლინის ჯარები.

მაგრამ დახმარება, რომელსაც იაპონია უწევს მუკდენის ჯგუფს შანდუნის შენარჩუნების მიზნით, სრულიადაც არ განისაზღვრება შანდუნის სამხედრო მოქმედების ასპარეზით. შეტევა სამხრეთელების წინააღმდეგ სწარმოებს სხვა მიმართულებითაც, კერძოდ იგზავნება სამხედრო გემები დესანტის გადმოსასხმელად შანხაიში, ნანკინში, ხანკოუში და ჩანშაში, ერთი სიტყვით, ყველა იმ პუნქტებში, სადაც იაპონიის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ უხიფათოდ შეიჭრან, ყველა იმ პუნქტებში, სადაც მათთვის ძნელი არ არის პროვოკაციულად მოაწყონ ისეთი „ინციდენტი", რომელიც მათ საშუალებას მისცემს დაარბიონ ნანკინის ჯარები. ნანკინის მთავრობა მოქცეულია მუხრუჭებში და უძლურია რაიმე გააკეთოს თავის დასაცავად.

თუ არ ჩავთვლით ერთა ლიგისადმი ვულუბრყვილო მიმართვას, ბრძოლის რა საშუალებები რჩება ხელში გადაგვარებულ გომინდანს? გზა მიმართვისა მასებისადმი ჩინელ ბურჟუაზიისათვის უფრო საშიშია, ვიდრე იაპონიის ინტერვენტები. ანტი - იაპონიური ბოიკოტი ნანკინელებისათვის მიუღებელია, ვინაიდან ნანკინელები მახვილითა და სისხლით სპობდენ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლის ყოველგვარ ცდას. ნანკინელები ვერასოდეს ვერ გაბედავენ უცხოელებთან აშკარა კონფლიქტის გზას დაადგენ.

ჩინეთის ბურჟუაზიას შეუძლია მხოლოდ საჩივარით მიმართოს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ჩან-კაიში შველას მოელის ამერიკიდან და ფიქრობს, რომ შეერთებული შტატები ამ შემთხვევისათვის მოისურვებს დაიცვას „ღია კარები", რომელიც რამდენადაც საქმე შანდუნს ეხება, შეიძლება ამერიკისათვის დაიხუროს. მაგრამ ამერიკის დიპლომატიამ ჩან-კაიშიზე უკეთ იცის იაპონიის „თავხედობის" საფუძველი, და თუ იაპონიის მთავრობამ გაბედა დაერღვია ვაშინგტონის დადგენილება შანდუნის გაწმენდის შესახებ, ეს მან ჩაიდინა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უკვე თავს არ გრძნობს განმარტოებულად შეერთებულ შტატების მიმართ, როგორც ეს იყო 1922 წელს ვაშინგტონში. ამერიკა - იაპონიის კონფლიქტი ჩინეთის გამო დღევანდელი ვითარების პირობებში ნიშნავს ამერიკა - ინგლისის კონფლიქტს. ამიტომ შეერთებული შტატები ჯერ - ჯერობით ლოდინის გზას ადგია და ამ თავის პოზიციას იმით ამართლებს, თითქოს მას საკმაო ცნობები არ მეოპოვებოდეს ცზინანის ამბებზე. ამერიკის გამოსვლას შეუძლია ისეთი შედეგი გამოიღოს, რომ იგი, ცხადია, არჩევს ისეთი მომენტი აირჩიოს, რომელიც ხელსაყრელი იქნება მისთვის და არა ჩინეთის ბურჟუაზიისათვის.

„პრავდა"-ს პოლიტმიმოხილვიდან,
14 მაისი.

# სამხრეთლების არმიების წინსვლა პეკინისაკენ გრძელდება

## ჩან-ძო-ლინის მომხრეები გარბიან პეკინიდან.—მუკდენის ჯარები ყველგან უკან იხევენ

## ნანკინის მთავრობა დათმობაზე მიდის იაპონიის მიმართ.—ანტი-იაპონური მოძრაობის გაძლიერება

## გერმანული გაზეთი საბჭოთა ნავთის როლის შესახებ მსოფლიო ნავთის ბაზარზე

# სამხრეთლების შეტევა პეკინზე

### სამხრეთლების ოპერაციები

**შანხაი**, 13 მაისი. „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, სამხრეთელებმა დაიკავეს ქალაქი გუჩენ, ჩჟილის პროვინციის აღმოსავლეთით.

„შუნ - ბაო"-ს ცნობით, ჩან-კაიშიმ სამხრეთის არმიებს უბრძანა დასტოვონ ცზინანი და გაემართონ ჩრდილოეთისაკენ. ჩან-კაი-ში საჭიროდ სთვლის თავიდან აცილებულ იქნეს ყოველგვარი შეტაკება იაპონელებთან. (ადს).

**შანხაი**, 13 მაისი. პრესის ცნობით, შანსიის ჯარებმა დაიკავეს პეკინ-ხანკოუს რკ. გზის სადგური მაოდინ, რომელიც მდებარეობს 150 კილომეტრის მანძილზე პეკინის სამხრეთ დასავლეთით.

გაზეთები იუწყებიან, რომ ფინ-იუსიანს იმედი აქვს, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ დაიკავებს ტიანძინს (ჩჟილის პროვინციის მთავარი ქალაქი).

### სეჩჟოუს დაკავება

**ტოკიო**, 13 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო ადასტურებს ცნობას ცეჩოუს (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ - ნაწილში) დაკავების შესახებ ფინ-იუ-სიანის ჯარების მიერ. (ადს).

### ჩან-ძო-ლინის მომხრეები გარბიან

**ხარბინი**, 13 მაისი. მანჯურიის პრესის ცნობით, „ჩრდილოეთ ჩინეთიდან ანგოცზიუნის მომხრე ოფიცრები და მათი ოჯახები გარბიან მუკდენში".

იაპონელების ორგანო დაირენში „დეილი ნიუზ" ამტკიცებს, რომ მუკდენში ყოველდღე მოდის მატარებლები ჩან-ძო-ლინის და აგრეთვე მუკდენის ჯგუფის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების ქონებით, ფულით და ძვირფასი ნივთებით. ჩამოტანილი ძვირფასი ნივთები, გაზეთის სიტყვით, შესანახად ეძლევა იაპონიის კონცესიის (მუკდენში) ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩინელებს.

### მუკდენის არსენალის დაცვა

**ხარბინი**, 13 მაისი. გაზეთ „მანჯურია დეილი ნიუზ"-ის ცნობით, ჩინეთის ხელისუფლებამ გააძლიერა მუკდენის არსენალის დაცვა არსენალში ყუმბარის აფეთქების გამო. მცველების რაზმი გააძლიერეს აგრეთვე ქალაქის კარებთან. ქალაქში უნებართვოთ არავის უშვებენ. (ადს).

### სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღება

**ხარბინი**, 13 მაისი. იაპონელების გაზეთ „ხარბინ ნიცი-ნიცის" ცნობით, მუკდენის გუბერნატორმა ჩან-ძოლინისაგან მიიღო საიდუმლო ბრძანება სავალდებულო სამხედრო ბეგარის შემოღების შესახებ. (ადს).

### ნანკინის მთავრობის ნოტა

**ტოკიო**, 13 მაისი. იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობით, ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ხუან-ფუმ იაპონიის გენერალურ კონსულს შანხაიში იადას გადასცა ნოტა ცზინანის ინციდენტის შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ნანკინის მთავრობა „ისე როგორიცა იაპონიის მთავრობა, მწუხარებას გამოსთქვამს ცზინანში მომხდარ ამბების გამო". ამავე დროს ნოტა აცხადებს, რომ ნანკინის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს განაგრძოს ჩრდილოეთის ექსპედიცია. ნოტა გამოსთქვამს შიშს, რომ იაპონიის მრავალრიცხოვან ჯარების ყოფნამ ცზინანში შეიძლება ცუდი გავლენა მოახდინოს ჩრდილოეთის ექსპედიციაზე, მაგრამ ნანკინის მთავრობას იმედი აქვს, რომ იაპონიის მთავრობა შემდეგში თავს შეიკავებს შანდუნის პროვინციაში ჯარების გაგზავნისაგან.

შემდეგ ნანკინის მთავრობა აცხადებს, რომ „ის მზადაა შესაფერ მომენტში დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკება ცზინანის ინციდენტის გარშემო" და პირობას სდებს, რომ დიდი ყურადღებით მოეპყრობა იაპონიის მთავრობის წინადადებებს ცზინანის ინციდენტის შესახებ.

ჯერ - ჯერობით იადამ არავითარი პასუხი არ გასცა ნოტაზე და დაკმაყოფილდა იმით, რომ სთხოვა ნანკინის მთავრობას მიიღოს ზომები, რათა ნანკინის მთავრობის ტერიტორიაზე არ ექნეს ადგილი ექსცესებს იაპონელ მოქალაქეების მიმართ. (ადს).

### ორ ცეცხლს შუა

**ბერლინი**, 13 მაისი. შტრეზემანთან დაახლოებული „ტეგლიხე რუნდშაუ" იმის გამო, რომ პეკინის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას თხოვნით კონფლიქტში ჩარევის შესახებ, სწერს:

„სასურველია, რათა ჩინეთის თხოვნა შესრულებულ იქნეს".

ეხება რა ამ საკითხს, „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ" სწერს:

„თუ ერთა ლიგამ პასიური პოზიცია დაიკავა, რამოდენიმეთ შეილახება მისი ავტორიტეტი, მაგრამ არა უფრო მეტად, ვინემ ეს ხდებოდა აქამდის. იმ შემთხვევაში კი, თუ ის გადასდგამს სერიოზულ ნაბიჯებს, მაგრამ უშედეგოთ, მისი ავტორიტეტი გაცილებით უფრო მეტად შეილახება". (ადს).

### უაღრესად მნიშვნელოვანი კონფერენცია

**შანხაი**, 12 მაისი. „შუნ-ბაო"-ს ცნობით, ნანკინის მთავრობამ 12 მაისისათვის მოიწვია უაღრესად მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელზედაც მიღებულ იქნება კელოგისადმი მიმართვა თხოვნით შუამავლობის შესახებ იაპონიასა და ჩინეთს შორის. (ადს).

### შეერთებულ შტატებს იწვევენ სამედიატორო მოსამართლეთ

**შანხაი**, 13 მაისი. „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, ნანკინის მთავრობამ თავისი წარმომადგენლისაგან ვაშინგტონიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ელჩი იუწყება, რომ მან შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრს კელოგს მიმართა თხოვნით გამოვიდეს სამედიატორო მოსამართლედ იაპონიასა და ჩინეთს შორის.

შემდეგ ნანკინის წარმომადგენელი იუწყება, რომ ამერიკის პრესა ცზინანის ამბებს ჩინეთის სასარგებლოთ აშუქებს. (ადს).

### ტან-შაო-ის შუამავლობა

**შანხაი**, 13 მაისი. „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, შანხაიში ჩამოვიდა მემარჯვენე ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე ტან-შაო-ი, კაბინეტის პირველი თავმჯდომარე პეკინში დინასტიის დამხობის შემდეგ. ტან-შაო-ი ცდილობს გამოვიდეს შუამავლის როლში ჩრდილოეთ და სამხრეთ ჯგუფებს შორის და მოითხოვოს სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა. (ადს).

### ანტი - იაპონური ბოიკოტი ფართოვდება

**ტოკიო**, 13 მაისი. სიმბუნ რენგოს ცნობით, შანხაის ხუთმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, მათ შორის ჩინეთის სავაჭრო პალატამ, მიიღო რეზოლიუცია იაპონელებისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. რეზოლიუცია აღშფოთებას გამოსთქვამს იაპონელების საქციელის გამო ცზინანში და მოითხოვს, რათა ჩინეთის ხალხმა პასუხი გასცეს ამ მოქმედებას. ამ ორგანიზაციების გაერთიანებულმა კრებამ წინადადება მისცა ჩინელ ვაჭრებს შანხაიში შესწყვიტონ იაპონელთა საქონლის შესყიდვა და გადაზიდვა.

შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ ჩინური გაზეთები კანტონში ცდილობენ გააძლიერონ ანტი - იაპონ[illegible] განწყობილება, რის გამო ქალაქში [illegible] ნერვიული მდგომარეობაა. კანტონის დიქტატორი ლი-ტი-სინი სასტიკ ზომებს ღებულობს ანტი - იაპონური მოძრაობის განვითარების წინააღმდეგ. (ადს).

### ანტიიაპონური მოძრაობა ფართოვდება

**შანხაი**, 13 მაისი. ანტიიაპონური მოძრაობა მთელს ჩინეთში ფართოვდება. ამ მოძრაობის განთავისუფლებას ხელს უშლის ჩინური ხელისუფლება, რომელიც მოქმედობს იაპონელთა მიერ წარდგენილი პროტესტების ზეგავლენით. ჩანშაში, ნანკინში და შანხაიში მოვიდა იაპონიის ახალი სამხედრო გემები. შანხაიში დაიწყო იაპონიის საქონლის ბოიკოტი. ნავთსადგურის აგენტები უარს აცხადებენ იაპონიის საქონლის გატანაზე. (ადს).

### იარაღი სამხრეთელებისათვის

**შანხაი**, 13 მაისი. „შუნ ბაო" იუწყება, რომ ჩრდილოელთა ფლოტი 12 მაისს შეეცადა ხელში ჩაეგდო ორი ამერიკული გემი, რომლითაც იარაღი მიჰქონდათ სამხრეთელებისათვის. ცდა უშედეგოთ დამთავრდა და იარაღით დატვირთული გემი ამოიში მოვიდა. (ადს).

# „ლენინბუნდი" იშლება

**ბერლინი**, 13 მაისი. უახლოეს ხანში მოხდება ლენინბუნდის ოფიციალური ლიკვიდაცია.

ლენინბუნდის სრული დაშლის უკანასკნელი იმპულსი იყო სოციალ-დემოკრატების ცდა, რათა მოსყიდვის საშუალებით ჩაეგდოთ ხელში ლენინბუნდის გაზეთი „ფოლკსვილე", რომელიც ზულში გამოდის.

როცა ამის შესახებ გაიგო ურბანსმა (ლენინბუნდში დარჩენილი ჯგუფის მეთაური), მან ტელეფონით მიმართა შაბათს კომპარტიის ცეკას და სთხოვა ნება დაერთო გამოცხადებულიყო ცეკაში სასწრაფო მოლაპარაკებისათვის. ურბანსმა განაცხადა, რომ შექმნილი მდგომარეობის გამო მას აღარ ძალუძს შეინარჩუნოს „ფოლკსვილე" და ითხოვა, რომ კომპარტიას ეკისრა გაზეთის ფინანსიური და პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამავე დროს დაიწყო მოლაპარაკება ლენინბუნდის ზულის რაიონის ორგანიზაციის დელეგაციასა და კომპარტიის ცეკას წარმომადგენლებს შორის. ამ მოლაპარაკების შემდეგ ალბად კომპარტიაში იქნება მიღებული ლენინბუნდის ორგანიზაციები ზულის ოლქში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მუშებისაგან შესდგება. (ადს).

# საბჭოთა ნავთის როლი

## მსოფლიო ბაზარზე

**ბერლინი**, 13 მაისი. მძიმე მრეწველობის ორგანო „დოიჩე ბერგვერკსცეიტუნგი" წერილში, რომელიც შეეხება საბჭოთა ნავთის როლს მსოფლიო ბაზარზე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს იმის ნიშნები, რომ შესწყდება ბრძოლა ინგლის - ჰოლანდიურ ტრესტ „როიალ დეჩ შელსა" (რომელსაც მეთაურობს დეტერდინგი) და ამერიკულ „სტანდარტ ოილს" შორის. გაზეთის სიტყვით, ბრძოლა ტრესტებს შორის მწვავდება იმის გამო, რომ „სტანდარტ ოილმა" მტკიცედ გადასწყვიტა განაგრძოს საბჭოთა ნავთის შესყიდვა; გაზეთი ამასთანავე ამბობს, რომ ინგლისის და ტრესტ „როიალ დეჩ შელი"-ს ანტი - საბჭოთა პოლიტიკამ არამც თუ სარგებლობა მოუტანა ინგლისის ნავთის მრეწველებს, არამედ პირიქით, ზარალი მიაყენა მათ. (ადს).

# პოლონეთის პროექტი

## ლიტვისათვის მიუღებელია

**კოვნო**, 13 მაისი. პრესა იუწყება, რომ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ლიტვის დელეგაციამ პოლონეთის პროექტი თავდაუსხმელობის შესახებ მიუღებლად აღიარა.

# ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენა

## ბანკეტი სტუმრებისათვის

**ბერლინი**, 13 მაისი. კელნის ქალაქის გამგეობამ 12 მაისს გამართა ბანკეტი სტუმრებისათვის, რომლებიც ჩამოვიდნენ გამოფენის გახსნაზე. ბანკეტს დაესწრო 500 მეტი კაცი. კელნის ობერ-ბურგომისტრმა—ადენაუერმა სტუმრების პატივსაცემად წარმოსთქვა სიტყვა. შემდეგ გამოვიდნენ გამოფენის სახელმწიფო კომისარი კიულცი, კრესტინსკი, ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების ელჩი შერმანი და ერთა ლიგის გენერალური მდივანი დრუმმონდი.

კრესტინსკიმ სიტყვა წარმოსთქვა როგორც უფროსმა თავის თანამდებობით დამსწრე დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის. თავის სიტყვაში კრესტინსკიმ აღნიშნა, რომ ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო გამოფენა წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს საერთაშორისო დაახლოვების განვითარების საქმეში.

„პრესას, — სთქვა ამხ. კრესტინსკიმ საშუალება აქვს მიმართოს მრავალ მილიონიან მასას, ამიტომ პრესა უნდა იყოს მშვიდობიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მან უნდა აწარმოოს ბრძოლა საყოველთაო მშვიდობიანობისათვის".

დასასრულ კრესტინსკი მიესალმა ქ. კელნს. (ადს).

# მელითონეთა ბრძოლა

## სავალდებულო სამედიატორო გადაწყვეტილებანი

**ბერლინი**, 13 მაისი. გერმანიის შრომის მინისტრმა ბრაუნმა სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო სასამართლოს სამი გადაწყვეტილება, რომლებიც შეეხებოდა საქსონიის ლითონის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტს. ამ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია სამუშაო ხელფასის 5—7 პფენიგით გადიდება საათში, მუშები კი მოითხოვდენ 15 პფენიგს.

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებები ვრცელდება 200.000 მელითონეზე, რომელთაგან 100.000-ს 15 აპრილს ლოკაუტს ჰქონდათ გამოცხადებული. (ადს).

# დახმარება გაფიცულ

## ინდოელ რკინისგზელებს

**მოსკოვი**, 14 მაისი. პროფინტერნის აღმასბიურომ ინდოეთის გაფიცულ რკინის გზელებს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა.

„ჩვენ ინგლისის გაზეთებში წავიკითხეთ თქვენი დეპეშა პროფინტერნის სახელზე თხოვნით დახმარების შესახებ. დეპეშა ჩვენ არ მიგვიღია. სოლიდარობის ნიშნად გაფიცულ რკინის გზელებს უგზავნით 7.000 მან. იყავით მტკიცეთ, თქვენ გაიმარჯვებთ. მხურვალე ძმური სალამი" (ადს).

# სპარსეთი თავისუფლდება უთანასწორო ხელშეკრულებებისაგან

### საფრანგეთ-სპარსეთის შეთანხმება

**თეირანი**, 13 მაისი. გამოქვეყნებულია დროებითი შეთანხმება სპარსეთსა და საფრანგეთს შორის. შეთანხმება სცნობს სპარსეთის საბაჟო ავტონომიას და ითვალისწინებს მინიმალური საბაჟო ტარიფის შემოღებას ორივე ქვეყნის საქონლისათვის. შეთანხმება ფრანგ მოქალაქეებს სპარსეთში უმორჩილებს სპარსეთის კანონმდებლობას. შეთანხმების ვადა ერთი წლით განისაზღვრება. განზრახულია შეთანხმების დადება სხვა სახელმწიფოებთანაც, ინგლისს გარდა, რომელთანაც უკვე დადებულია საბაჟო შეთანხმება 8 წლის ვადით, სპარსეთის საბაჟო ავტონომიის საფუძველზე. ახალი ხელშეკრულების დადებამდე ძალაში რჩება ძველი, 1857 წ. ხელშეკრულება (ადს).

### სპარსეთის ახალი საბაჟო ტარიფი

**თეირანი**, 13 მაისი. სპარსეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. დავთიანს გადასცა ნოტა, რომელშიაც აცხადებს, რომ მეჯლისმა დაამტკიცა სპარსეთის ავტონ. ტარიფი რომელიც გამოყენებულ იქნება სპარსეთის ყველა საზღვრებზე ყველა ქვეყნების მიმართ. ტარიფის დამტკიცების გამო გაუქმებულია ყველა ძველი საბაჟო კონვენციები. სპარსეთის მთავრობა თხოულობს გაუქმებულად ჩაითვალოს წარსული წლის 1 ოქტომბრის დადებული სპარსეთ-საბჭოთა კონვენცია.

სპარსეთის მრეწველობის განვითარებას მთელი რიგი ათეული წლების განმავლობაში აბრკოლებდა საზარალო ტარიფები, რომლებიც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ძალით მოახვიეს თავზე სპარსეთს. სპარსეთს არ ჰქონდა უფლება შემოეღო ავტონომიური ტარიფი. საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1917 წლის კონვენციის დადების დროს განაცხადა, რომ იგი არ არის ავტონომიური ტარიფის შემოღების წინააღმდეგ და უარს განაცხადებს კონვენციაზე, როცა სპარსეთში შემოღებულ იქნება ავტონომიური ტარიფი. როგორც გათვალისწინებული იყო სპარსეთ-საბჭოთა ნოტების გაცვლა-გამოცვლის დროს 1927 წ. 1 ოქტომბერში, საბჭოთა კავშირის მთავრობა სცნობს ავტონომიურ ტარიფს და განაცხადებს, რომ უარს ამბობს ძველ კონვენციაზე. (ადს).

# ავღანისტანის ფადიშაჰი ლენინგრადში

### საზეიმო წარმოდგენა

**ლენინგრადი**, 12 მაისი. ფადიშაჰი ჩავიდა დეტსკოე სელოში, სადაც დაათვალიერა სასახლე—მუზეუმები.

საღამოს აკადემიურ საოპერო თეატრში შესდგა საზეიმო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ ფადიშაჰი და მისი მეუღლე, ამხ. კარახანი და კომაროვი, კონსულთა კორპუსი და სხვ. (ადს).

### საუბარი გულამ სედიკ-ხანთან

**ლენინგრადი**, 12 მაისი. 12 მაისს ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრი მოადგილე გულამ სედიკ-ხანმა ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„ავღანისტანის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან თავიდანვე ეყრდნობოდა გულწრფელ მეგობრობას ორივე მხარეს შორის.

ფადიშაჰის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და მის მოღვაწეებთან პირადი გაცნობა, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ ურთიერთობის განმტკიცებას. ჩვენ აქ დავრწმუნდით, რომ სავსებით გულწრფელია ის მეგობრული იდეები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საბჭოთა მთავრობა ავღანისტანის მიმართ, ურთიერთობა ამჟამად სავსებით კეთილმეზობლურია. სავაჭრო ხელშეკრულების დადება კიდევ უფრო მჭიდრო დაახლოვებას გამოიწვევს. ავღანისტანისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიური სისტემების საფუძვლები სხვადასხვაა, მაგრამ ეს სხვადასხვაობა ხელს არ უშლის კეთილ ურთიერთობას.

შეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილებები მიიღო ფადიშაჰმა საბჭოთა კავშირში, გულამ სედიკ-ხანმა განაცხადა:

„რამდენადაც ვიცი, ფადიშაჰი ძლიერ კმაყოფილია საბჭოთა კავშირში ყოფნით. ის უაღრესად გულწრფელად მიიღეს. ჩვენ ყოველი მხრიდან გულწრფელ და მეგობრულ ყურადღებას გვაქცევენ, რაც საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს ჩვენზე". (ადს).

### საბჭოთა საექსპორტო საქონელი ქაბულში

**მოსკოვი**, 12 მაისი. რადგან სავაჭრო დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანის ჩრდილოეთ პროვინციებს შორის თანდათან ვითარდება, რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატა აწყობს ავღანისტანში საბჭოთა საექსპორტო საქონლის გამოფენას. გამოფენა მოეწყობა ავღანისტანის ეროვნულ დღესასწაულების დროს, რომელიც ყოველი წლის შემოდგომაზე იმართება პაგმენში, ქაბულის ახლოს. გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა იმ საქონლების ექსპორტიორები, რომელთაც შესაძლებელია მოთხოვნილება იქნეს ავღანისტანის ბაზარზე. განზრახულია აგრეთვე გამოფენაზე იქნეს საქარხნო-საფაბრიკო მოწყობილობის საბჭოთა ნიმუშები.

საბჭოთა საქონლის გამოფენამ, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გაიმართა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობასთან ქაბულში, დიდი ინტერესი გამოიწვია ავღანელ ვაჭრებს შორის.

### ავღანისტან-საბჭოთა ვაჭრობა

**მოსკოვი**, 12 მაისი. ავღანისტანიდან ჩამოვიდა წარმომადგენელი მეიმენის საგუბერნატოროსი, რომელსაც განზრახული აქვს საბჭოთა სამეურნეო ორგანოებისგან შეიძინოს მანქანები და მოწყობილობა მეიმენის კინოთეატრისათვის, ელექტრონის სადგურისათვის, ტელეფონის სადგურისა და წისქვილისათვის და აგრეთვე ელექტრონის მავთულები, ლამპები და საბარგო და მსუბუქი ავტომობილები.

# ჩვენი ვაჭრობა თურქეთთან

12—13 მილ. მან. საერთო საქონლის ბრუნვიდან საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის 1927—28 წ. პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიის წილად მოდის 2400.000 მან. საქონლის ბრუნვა, ხოლო საქართველოს საბაჟოების წილად—1.800.000 მან, ე. ი. მთელი თურქეთ-საბჭოთა საქონლის ბრუნვის 18 პროც. და ამიერ-კავკასიის—75 პროც. საბჭოთა კავშირს საქართველოს საბაჟოებით თურქეთში გაუტანია 24 ათასი ტონა საქონელი, ღირებული 1.600 ათას მან., ხოლო თურქეთს საქართველოს საბაჟოებით შემოუტანია 200 ათასი მან. საქონელი. ამრიგად, საბჭოთა კავშირის ექსპორტმა თურქეთთან საქართველოს საბაჟოებით 1927—28 წ. პირველ ნახევარში მოგვცა საბჭ. კავშირის სასარგებლოდ აქტიური სალდო, რომელიც უდრის 1.400.000 მან. საქართველოს საბაჟოებში გატარებულ საბჭოთა საექსპორტო საქონელს შორის პირველი ადგილი უკავია ნავთის პროდუქტებს, რომელთა ექსპორტი შეადგენს დაახლოვებით 24 ათას ტონას, ხოლო ღირებულება—1.300 ათას მან., ე. ი. მთელი საბჭოთა ექსპორტის 82 პროც. მეორე ადგილი უკავია საკავშირო მრეწველობის პროდუქციას, რომლის ექსპორტიც დაახლოვებით 50.000 მან. უდრის. თუ საბჭოთა კავშირის მიერ 1927—28 წ. პირველ ნახევარში საქართველოს საბაჟოებით თურქეთში გატანილ საქონლის რაოდენობას შევადარებთ 1926—27 წ. იმავე პერიოდში გატანილ საქონლის რაოდენობას დავინახავთ, რომ ნავთის პროდუქტების ექსპორტი მნიშვნელოვნად გაზრდილა, სახელდობრ—185,2 პროცენტით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1926—27 წელში ნავთის პროდუქტების ექსპორტი მნიშვნელოვნად (11 ათასი ტონათი) შემცირდა 1925—26 წ. შედარებით. ამ რიგად 1927—28 წ. აღადგინა საბჭოთა ნავთის პროდუქტების ხვედრითი წონა თურქეთის საერთო იმპორტში.

რაც შეეხება თურქეთის ექსპორტს საბჭოთა კავშირში საქართველოს საბაჟოებით, უნდა ითქვას, რომ მას მეტად მცირე მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თურქეთის ექსპორტი ამიერ-კავკასიის საზღვარზე, უმთავრესად, შემოდის ყარს-ლენინაკანის საბაჟოებით.

თუ საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საქონლის ბრუნვას საქართველოს საბაჟოებით შევადარებთ თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობის საერთო ბრუნვას, დავინახავთ, რომ ის თავისი ხასიათით სავსებით შეეფერება თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობის თავისებურობას. სავაჭრო ბრუნვა საქართველოს საბაჟოებით იძლევა აქტიურ ბალანსს 1.400.000 მან. რაოდენობით, აქტიურია აგრეთვე მთელი თურქეთ-საბჭოთა ბალანსიც. საექსპორტო საქონელს შორის თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობის საერთო ბრუნვაში სჭარბობს სამრეწველო პროდუქცია. რაც შეეხება საქართველოს საბაჟოებში გატარებულ საექსპორტო საქონლის ხვედრითი წონას თურქეთ-საბჭოთა ვაჭრობის საერთო ბრუნვაში, უნდა ითქვას, რომ ის 1927—28 წ. პირველ ნახევარში 1926—27 წ. იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 2 პროცენტით.

საქართველოს საბაჟოებიდან, ყველაზე მეტი საქონლის ბრუნვა მოდის ბათომის საბაჟოზე დაახლოვებით მთელი საქონლის ბრუნვის 90 პროც. დამახასიათებელია, რომ ბათომის საბაჟოში 1927—28 წლის პირველ ნახევარში გატარდა 700 ათას მან. მეტი თურქეთ-საბჭოთა საექსპორტო - საიმპორტო საქონელი, ამავე დროს კი მთელი 1926—27 წ. განმავლობაში ბათომის საბაჟოში გატარდა დაახლოვებით 2.600 ათას მან. საქონელი. მეორე ადგილი საქონლის ბრუნვის დარგში უკავია მარადიდის საბაჟოს, შემდეგ სარპის, კარზახს, ახალციხესა და ფოთს.

საქართველოს საბაჟოები სამსახურს უწევენ საგარეო ვაჭრობას თურქეთთან ზღვის სანაპირო საზღვარზე. ზღვის სანაპირო საზღვრის საბაჟოების წილად მოდის ამიერ-კავკასიისა და თურქეთის ვაჭრობის საერთო ბრუნვის 75 პროც. საბჭოთა ექსპორტი უმთავრესად გადის ზღვის სანაპირო საზღვარზე, ხოლო თურქეთის ექსპორტი, უმთავრესად, რქოსანი საქონლის—ლენინაკანის საზღვარზე. ამ საზღვარზე საქონლის ბრუნვამ 1927—28 წ. პირველ ნახევარში მიაღწია 600.000 მან. ამიტომ „სოვტორგფლოტ"-ის მიერ გემების რეგულიარული მიმოსვლის დაწესება შავი ზღვის ნავთსადგურებს შორის, მათ რიცხვში სტამბოლთანაც, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საბაჟოებში საქონლის გატარების რაციონალიზაციას.

უნდა ვიფიქროთ, რომ უახლოეს დროში საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტი ბათომის საბაჟოთი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, ვინაიდან საბჭოთა ნავთი თანდათან იპყრობს თურქეთის ბაზარს. საბჭოთა ნავთის ექსპორტი არამც თუ წარმატებით უწევს კონკურენციას სხვა ქვეყნების ნავთის პროდუქტებს თურქეთის ბაზარზე, არამედ ამასთანავე ერთად მან გამოიწვია ნავთის ფასის მნიშვნელოვანი შემცირებაც თურქეთში. სტამბოლის ბაზარზე საბჭოთა ერთი ოყა ნავთი 1 ნახ პიასტრით უფრო იაფი ღირს, ვიდრე რუმინეთის; ამ გარემოებამ გამოიწვია საბჭოთა ნავთის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერება და მაშასადამე საქართველოს საბაჟოების მუშაობის გაძლიერებაც.

1927—28 წ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონლის ბრუნვა საქართველოს საბაჟოებით, ხოლო ვინაიდან ვაჭრობის მთავარ საქონელს ნავთი წარმოადგენს, ამიტომ საქართველოს საბაჟოები შემდეგშიაც ითამაშებენ დიდ როლს აღმოსავლეთში ნავთის მსოფლიო ბაზრების განაწილების საკითხში, რასაც არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ენიჭება.

დ. ზავრიევი

# უკანასკნელი ცნობები

### პარიზის ბაზრობა

**პარიზი**, 14 მაისი. შაბათს გაიხსნა პარიზის ბაზრობა. პრეზიდენტმა დუმერგმა ინახულა საბჭოთა პავილიონი. პრეზიდენტი მიიღო სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. დოვგალევსკიმ (ადს).

### გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კამპანია

**ბერლინი**, 14 მაისი. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტმა კარლ ლიბკნეხტის სახელობის კლუბში მოაწყო პარტიის საგიტაციო მასალების გამოფენა. კომპარტიის საარჩევნო კამპანია მიმდინარე წელს 1924 წლისაგან იმით განირჩევა, რომ წინასწარი საარჩევნო აგიტაციის ცენტრი გადატანილია წარმოებებში, (წინააღმდეგ წინანდელი მეთოდისა, რომელიც საარჩევნო აგიტაციის წარმოებას გულისხმობდა ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილებში). თითქმის ყოველ დიდ წარმოებას აქვს თავისი კომუნისტური საქარხნო გაზეთი, რომელიც ჰექტოგრაფზე იბეჭდება გარდა ამისა პარტიის განკარგულებაშია 5000 აგიტატორი, რომელნიც ამ მოკლე ხანში გამოვლენ 40 ათასს კრებაზე. საარჩევნო კამპანიას ატარებს 40 კომუნალური გაზეთი. გარდა ამისა კომპარტიას აქვს 25 ავტომობილი და ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო და კინო აპარატები. პროპაგანდისათვის გამოყენებული იქნება აგრეთვე პოლიტიკური კაბარე. საარჩევნო ხარჯები, უკვე აღწევს 2 მილიონ მანეთს. ეს თანხა შეგროვილია პარტიის წევრებსა და თანამშრომლებს შორის (ადს).

### ანტი-პოლონური დემონსტრაცია კოვნოში

**ვარშავა**, 14 მაისი. გაზ. „ეპოკას" ცნობით, ლიტვის ახალგაზრდობის ჯგუფმა პოლონეთის დელეგაციის გამგზავრების დროს მოაწყო მტრული დემონსტრაცია. არავითარი ზომები დემონსტრაციის თავიდან ასაცილებლად არ ყოფილა მიღებული. მტრული დემონსტრაციის განმეორების შიშით პოლონეთის დელეგაცია დანციგიდან გაემგზავრა დილის 5 საათზე.

### შვეციის მემაღაროეთა ყრილობა

**სტოკჰოლმი**, 14 მაისი. გაიხსნა შვეციის მემაღაროეთა ყრილობა. საბჭოთა რკინის გზელების წარმომადგენლები პიროგოვი და ნონჩენკო ჩამოვლენ ხვალ. ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენელმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მხოლოდ სამი ქვეყანა— საბჭოთა კავშირი, ლიტვა და პორტუგალია არ შედის ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანებაში. ნატანომ განაცხადა, რომ საბჭოთა ტრანსპორტელები მოწვეული იქნებიან ტრანსპორტელთა მომავალ საერთაშორისო ყრილობაზე. „არის იმედი,—განაცხადა ნატანომ,— რომ მიღებული იქნება ყველა ტრანსპორტელთა რიგების მთლიანობა".

### მუშური პრესის დევნა ფინეთში

**ჰელსინგფორსი**, 14 მაისი. გაზეთი „მუშათა ორგანიზაციების უწყებები" ორი თვით დახურეს. გაზეთის რედაქტორი 19—18 წ. შესახებ მოგონებების მოთავსებისათვის სამი თვით დააპატიმრეს.

### 130.000 გაფიცული ბომბეიში

**ქაბული**, 14 მაისი. ბომბეიში გაფიცულია 130.000 ფეიქარი.

### მემაღაროეთა საპროტესტო გაფიცვა

**ვენა**, 11 მაისი. „ალპინე მონტან გეზელშაფტის" მაღაროებში, გიუტენბერგში (კარინთია) იფეთქა მუშათა სტიქიურმა გაფიცვამ ნიშნად პროტესტისა წარმოების სისტემატიური ფაშიზაციის, ჯაშუშობის სისტემის შემოღების, კომუნისტ და სოციალ-დემოკრატ მუშების დევნისა და ფაშისტური ორგანიზაციის „ხეიმვერისათვის" ხელის შეწყობის წინააღმდეგ. გაფიცვის უშუალო მიზეზი შეიქნა დაბა გიუტენბერგის ბურგომისტრად არჩეულ სოციალ-დემოკრატ მუშის დათხოვნა სამუშაოდან. დირექციამ მოითხოვა, რომ მუშებს დაუყოვნებლივ განეახლებინათ მუშაობა წინააღმდეგ შემთხვევაში ლოკაუტით დაემუქრა.

გაფიცულებმა ავსტრიის მუშებს მიმართეს მოწოდებით დაეხმარონ მათ ფაშიზმთან ბრძოლაში. დირექციამ შტრეიკბრეხერების მუშაობის უზრუნველსაყოფად მაღაროებს ალყა შემოარტყა ჟანდარმების საშუალებით.

# ამხ. რიკოვის ჯანმრთელობა

**მოსკოვი**, 15 მაისი. აპრილის დამლევს ამხ. რიკოვს დაეწყო მწვავე ინფექციური რევმატიული ტკივილები, —ფეხის კუნთებში, რის გამო ავადმყოფმა დაჰკარგა მოძრაობის უნარი და ლოგინად ჩავარდა.

შემდეგში ავადმყოფობა გართულდა: დაეწყო ტკივილები ორივე კიდურების კუნთებსა და სახსრებში. ტემპერატურა 38,4 გრად. აღწევდა. 12 მაისს რევმატიულმა ტკივილებმა იწყეს საგრძნობლად დაცხრომა და ტემპერატურაც 37,6 და 36,8-მდე დავარდა (დილით). შინაგან ორგანოებში არავითარ გადახრას ნორმიდან ადგილი არ ქონია—და არც აქვს. მიუხედავად ამისა, ავადმყოფობის ინფექციური ხასიათისა და ჯერ შეუწყვეტელ რევმატიულ პროცესის გამო, ავადმყოფი განაგრძობს წოლას.

პროფესორი ბურმინი, ექ. ლევინი, პროფესორი დიტრიხი, პროფ. ობროსოვი.

14 მაისი, 1928 წელი.

# მოითხოვენ ბელა კუნის განთავისუფლებას

**ბერლინი**, 13 მაისი. ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მრავალრიცხოვან კრებებს და აგრეთვე მემარცხენე პროლეტარულ ორგანიზაციებს გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები უნგრეთის მთავრობისათვის ბელა-კუნის გადაცემის შესაძლებლობის წინააღმდეგ. კრებები საპროტესტო დეპეშებს უგზავნიან ავსტრიის მთავრობას.

გერმანიაში გაიმართა კომუნისტ ინჟენერების, ქიმიკოსებისა და ხუროთ - მოძღვრების კრება, რომელიც ავსტრიისა და გერმანიის გონებრივი შრომის ყველა მუშაკებს მოუწოდებს გაილაშქრონ ხორტის რეაქციის წინააღმდეგ და მოითხოვონ ბელა-კუნის განთავისუფლება. (ადს).

### საპროტესტო მიტინგი

**პრაღა**, 13 მაისი. რემედასის ჩეხო-სლოვაკიის განყოფილებამ პრაღაში მოაწყო მასიური საპროტესტო მიტინგი ევროპიულ ქვეყნებში თეთრი ტერორის გაძლიერების წინააღმდეგ, კერძოდ ბელორუსთა გრომადის გასამართლებისა, ბელა - კუნის დაპატიმრებისა და აგრეთვე უნგრეთის მთავრობისათვის ბელა - კუნის გადაცემის შესაძლებლობის წინააღმდეგ. მიტინგმა ავსტრიის, უნგრეთისა და პოლონეთის მთავრობებს გაუგზავნა საპროტესტო დეპეშები რევოლიუციონერების დევნის წინააღმდეგ. (ადს).

### ჩეხო - სლოვაკიის მუშების მისალმება

**ვენა**, 13 მაისი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" იუწყება, რომ ვენაში ჩავიდა ჩეხო-სლოვაკიის რემედასის წარმომადგენელი, ჩეხო - სლოვაკიის სენატის დეპუტატი — კომუნისტი გერცი, რომელმაც სატუსაღოში ინახულა ბელა - კუნი და ჩეხო - სლოვაკიის მუშების სახელით გადასცა მისალმება. (ადს).

### საბჭოთა მეცნიერების ხმა

**მოსკოვი**, 14 მაისი. 14 მაისს დაწყებულმა ბარმა მთელი ქვეყნის მეცნიერებსა და ინტელიგენციას ტელეგრაფით დაუგზავნა მოწოდება, რომელშიაც მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ მთელი ქვეყნის ყველა მეცნიერები გაბედულად განაცხადებენ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ თანამედროვე ევროპის უდიდესი პოლიტიკური მებრძოლი მისტიფიკატორულად გადააქციეს ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავედ; პროტესტი უნდა განაცხადონ აგრეთვე ბელა-კუნის გაცემის აქტის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობის ყველა პრინციპს.

# მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### ამხ. მიქოიანი მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ

**მოსკოვი**, 14 მაისი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. მიქოიანი თავის მოხსენებაში ჩვენი ვაჭრობის მდგომარეობის შესახებ, ვრცლად შეჩერდა მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხზე.

ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში შეუჩერებლად იზრდება აბრეშუმის ნედლეული ბაზა. ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ლტოლვა იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირში დამზადებული ნედლეული გადაქცეულ იქნას ფაბრიკატებად ჩვენივე საშუალებებით. აბრეშუმის ნედლეულის ექსპორტით ჩვენ საშუალება გვერთმევა გამოვიყენოთ ის მოგება ამ საქონლიდან, რომელიც მოაქვს მას უცხოეთის ფაბრიკანტების ხელში. ამიტომ საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა თავის დროზე მიიღეს ზომები იმისათვის, რომ ჩვენში განვითარებულიყო აბრეშუმის მრეწველობა.

აბრეშუმის ნედლეულის დამზადების ერთ-ერთ მთავარ ბაზას წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები. აქ მტკიცე საძირკველი ჩაეყარა აბრეშუმის პროდუქციის დამმუშავებელ წარმოებათა მშენებლობას. მართალია, როგორც უკვე აღვნიშნე, მეაბრეშუმეობა უკანასკნელ წლებში შეუჩერებლივ წინ მიდის. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ის ვერ უსწრებს აბრეშუმის დამმუშავებელ ფაბრიკების მშენებლობას. ახალი ფაბრიკების წინაშე იბადება ნედლეული აბრეშუმის შემოკლების საფრთხე. ეს საფრთხე იმდენად ძლიერია, რომ შესაძლებელია მან კიდევაც შეაჩეროს ზოგიერთი წარმოების მუშაობა.

ამას ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა აბრეშუმის ნედლეულის დამამზადებელ რაიონებში და ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი აბრეშუმის ახალი მოსავლის გაძლიერებას.

### ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება რეჟისორთა კონფერენციაზე

**მოსკოვი**, 14 მაისი. სათეატრო სეზონის დამთავრებასთან დაკავშირებით მოსკოვში გაიმართა რეჟისორთა კონფერენცია, რომელზედაც მოხდა აზრთა გაცვლა - გამოცვლა ახლად დასრულებულ სეზონის შესახებ.

აღნიშნულ კონფერენციაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ლუნაჩარსკიმ შემდეგ თემაზე: „კულტურული რევოლიუცია და თეატრის ამოცანები".

მომხსენებლის აზრით ჩვენთვის საჭიროა სოციალურად რეალისტური თეატრი. რაც შეეხება ოპერას, ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვით, ოპერამ ვერც ცენტრში და ვერც ადგილობრივ ქალაქებში ვერ დაიჭირა გამოცდა. სათეატრო მუშაობის ამ დარგს მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ოპერა უნდა დაუახლოვდეს ჩვენს სინამდვილეს, შეუძლებელია ძველ რეპერტუარზე და დახავსებულ დადგმებზე შეჩერება. თუ ოპერამ, ისე როგორც დრამამ, ვერ გასცა სათანადო პასუხი ცხოვრების მიერ მის წინაშე დასმულ საკითხებზე, ის სწრაფი ნაბიჯით წავა თვითმკვლელობის გზით.

### კონტრ-რევოლიუცია ხელოვნებაში

**მოსკოვი**, 14 მაისი. მოსკოვში ამ დღეებში შესდგა საშეფო საზოგადოებათა ფართე კონფერენცია, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. უგლანოვი.

თავის მოხსენებაში ამხ. უგლანოვი შეჩერდა თეატრის როლის შესახებ საშეფო მუშაობაში და ამასთან დაკავშირებით შეეხო მოსკოვის დიდი ოპერის თეატრში უკანასკნელად მომხდარ ამბებს.

დიდი ოპერის თეატრში არსებულ ზნე-ჩვეულებათა და „წესების" გამომჟღავნებით, სთქვა ამხ. უგლანოვმა, ჩვენ გამოვააშკარავეთ დამყაყებული ჭაობი, რომელსაც დღემდე თითქმის ვერავინ ამჩნევდა. დიდი ოპერის თეატრი, გარდა იმისა, რომ ზარალს აძლევს სახელმწიფოს, ვერ იჩენს უნარს ოპერის თანამედროვეობასთან დაახლოვებაში, ასაზრდოებს ანტისემიტურ განწყობილებას და ამქრულ კარჩაკეტილებას ხელოვნების მუშაკთა შორის, გარდა ყოველივე ამისა, დიდი ოპერის თეატრი ხელს უშლიდა ახალგაზრდა ძალების დაწინაურებას. მას არა თუ არ მიუღია ზომები ახალ მუსიკოსებისა და სცენის მუშაკთა აღზრდისათვის, არამედ წინ ეღობებოდა ახალ ძალების დაწინაურების საქმეს.

მოსკოვის გაზეთები განაგრძობენ გოლოვანოვშჩინის შესახებ წერას. ბევრი მათგანი დიდი ოპერის თეატრში აღმოჩენილ უმსგავსოებას უწოდებს „მახტის კონტრ - რევოლიუციონერობას ხელოვნებაში".

### ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის გარშემო

**მოსკოვი**, 14 მაისი. საქმის გარჩევა სტუდენტ ქალის ისლამოვის თვითმკვლელობის შესახებ დაიწყება ხუთშაბათს, 17 მაისს. როგორც 13 მაისს გატყობინებდით, მწერალთა ერთმა ჯგუფმა თანაგრძნობა გამოუცხადა ისლამოვის ქალის თვითმკვლელობაში დამნაშავე ალტშულერს, ანოხინს და ავრუშენკოს. ამგვარ უტაქტო ნაბიჯმა აღნიშნულ მწერლების მხრივ, დიდი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვის მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციებში. ზოგიერთ გაზეთებმა სასტიკად გაჰკიცხეს ისინი ასეთი სოლიდარობისათვის აშკარა მოძალადეებსა და გამაუპატიურებლებთან.

დღეს მოსკოვის გაზეთებში დაბეჭდილია პოეტ ბეზიმენსკის, ალტაუზენის და კრასნოსტავსკის განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი უარს ამბობენ ალტშულერის და კომპანიის დაცვაზე. თავიანთ ნაბიჯს ამ მხრივ სთვლიან შეცდომად და ხსნიან საკუთარ ხელმოწერას იმ განცხადებიდან, რომელშიაც მწერლების ერთი ჯგუფი თანაგრძნობას უცხადებდა ისლამოვის ქალის თვითმკვლელობაში დამნაშავე ალტშულერს, ანოხინს და ავრუშენკოს.

მუშკორებისა და მუშათა საერთო კრებები მოითხოვენ სასტიკად იქნან დასჯილნი დამნაშავენი.

ისლამოვის ქალის საქმეზე გამოწვეულია 29 მოწმე, მათ შორის მწერლები, პოეტები, განსვენებულის ქმარი და [illegible]. პროცესი, მოსკოვის პრესის სიტყვით, უნდა გადაიქცეს ლიტერატურულ ბოგემშჩინის გასამართლებლად.

# საბჭოთა კავშირში

### მუშკორებისა და გლეხკორების საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 14 მაისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-მ მიიღო „პრავდასა“ და „რაბოჩე კრესტიანსკი კორესპონდენტის“ წინადადება, რომ ოქტომბერში მოწვეულ იქნას მუშკორების, გლეხკორების, სამკორების, ახკორების და კედლის გაზეთების რედაქტორების მე-4 საკავშირო თათბირი.

### დახმარება შვეციის მემალაროებს

მოსკოვი, 14 მაისი. საბჭოთა კავშირის მემალაროეთა კავშირის ც. კ.-მა შვეციის გაფიცულ მემალაროებს გადაუგზავნა მორიგი 16.000 მანეთი. სულ გაფიცვის განმავლობში შვეციის მემალაროებს გადაეგზავნა 280.000 მანეთი (ადს).

### „აკომეტ“-ის საქმე

მოსკოვი, 14 მაისი. 11 მაისს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში ამხ. სოკოლოვის თავმჯდომარეობით დაიწყო ლითონით სავაჭრო კერძო სააქციო საზოგადოება „კომეტ“-ის ხელმძღვანელთა საქმის გარჩევა. მათ ბრალდებათ ქრთამების გაღება და სხვა ბოროტმოქმედებანი. საბრალდებულო სკამზე ზის 16 კაცი: „აკომეტ“-ის გამგეობა: კულიაბკო, სტუპინი, მანდელშტამი, ტვერის ვაგონების სააშენებლო ქარხნის ყოფილი დირექტორი ფილიპოვი და სხვ. ცენტრალური ფიგურაა ფილიპოვი, რომელმაც თავისი ბოროტმოქმედებით ქარხანას მიაყენა 108.000 მანეთის ზარალი.

პირველ დღეს წაკითხულ იქნა საბრალდებო დასკვნა და მოსმენილ იქნა კულიაბკოს ჩვენება. კულიაბკო გამოტყდა ქრთამების გაღებაში.

12 მაისს გრძელდებოდა სტუპინის, მანდელშტამის და საზოგადოების ბუხჰალტერ გარტის დაკითხვა. (ადს).

### საწვავ მასალათა მოპოვების გეგმა

მოსკოვი, 14 მაისი. საწვავ მასალათა მთავარ სამმართველოს მიერ შედგენილია 1928—29 წ. წ. საწვავ მასალის მიწოდების საკონტროლო ციფრები. სამმართველო თვლის, რომ ნავთის ამოღების გეგმა 1927—28 წ. საბოლოო ანგარიშით მთლიანათ იქნება შესრულებული. საექსპორტო ნავთის გამოკლებით, საწვავ მასალის მარაგი გაიზრდება 8 ნახ. პროცენტით მომავალ 1928—29 წ. განზრახულია ნავთის ამოღების გეგმის გადიდება 13 ნახ. პროცენტით, წინანდელთან შედარებით (13.279.000 ტონა).

### დიდი ხანძარი

რიაზანი, 14 მაისი. 11 მაისს ქალაქ სასოვოში გაჩნდა დიდი ხანძარი. ცეცხლმა გაანადგურა თოკების საწარმოო ქარხანა, სამაზრო საავადმყოფო, პროკურატურის შენობა, სავეტერინარო პუნქტი; სკოლა, სხვადასხვა საწყობები და 600-მდე სახლი. არის ადამიანის მსხვერპლი. (ადს).

### საჰაერო მიმოსვლა როსტოვსა და თეირანს შორის

დონის როსტოვი, 14 მაისი. გაიხსნა პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა „უკრვოზდუხპუტ“-ის საზოგადოების აეროპლანებით როსტოვსა და თეირანს შორის. აეროპლანი თეირანში ჩადის გადაფრენიდან 42 საათის შემდეგ. ამ დროში შედის ღამის გათევა არმავირსა და ბაქოში. (ადს).

### ახალი გემთსაშენი ცეხი-ქარხანა

ნიჟნი-ნოვგოროდი, 14 მაისი. გადაწყვეტილია სორმოვოში ახალი გემთსაშენი ცეხის ქარხნის აგების საკითხი. ქარხანას საძირკვლის ჩაუყრიან შემოდგომაზე. პროექტი ნავარაუდევია, რომ ქარხნის აგება დაჯდება 18 მილიონი მანეთი. (ადს).

## ამხ. მიქოიანის მოხსენება

### ნედლეულით უზრუნველსაყოფად მიღებულ ღონისძიებათა შესახებ

მოსკოვი, 14 მაისი. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მიქოიანის მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა იქნას მიღებული მრეწველობისათვის ნედლი მასალის შეუფერხებლად მისაწოდებლად 1927—28 წლის მეორე ნახევარში. თავის მოხსენებაში ამხ. მიქოიანმა სხვათა შორის აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში უდრეხად გაიზარდა მებამბეობის ნედლეულის ბაზა. როგორც შუა აზიის რესპუბლიკებში, ისე ამიერ-კავკასიაში მებამბეობა ყოველწლიურად იზრდება. მაგრამ საბჭოთა კავშირის განაპირა ოლქებში ნედლი აბრეშუმის გადამამუშავებელ ფაბრიკების მშენებლობა უფრო მეტად იზრდება, ვიდრე ნედლეულის ბაზა. ამ გარემოებას—ხაზგასმით აღნიშნა ამხ. მიქოიანმა—უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის განაპირა ოლქებში საფაბრიკო წარმოების სტიქიური ზრდა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ცენტრალური რაიონის აბრეშუმის მრეწველობას, ვინაიდან წაართმევს მას ნედლი მასალის საჭირო რაოდენობას. (ადს).

## მუშაობა ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის

### საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტთა მდგომარეობის გამოკვლევა

მოსკოვი, 14 მაისი. ფეიქართა ცეკას პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა იმ კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია საფეიქრო მრეწველობის სპეციალისტთა მდგომარეობა კალუგის გუბერნიაში.

პრეზიდიუმმა რეზოლუციაში აღნიშნა კალუგის ტრესტის გამგეობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკების კადრების შევსების საქმეში, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ზოგიერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე დაინიშნენ ყოფილი ფაბრიკანტები. კავშირის საგუბერნიო განყოფილება საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევდა საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკების სექციას საგუბერნიო ბიუროს უკანასკნელ გადარჩევამდე სექციის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევდა ფაბრიკანტების ჯგუფი, რომელიც თავის ხალხს აყენებდა ტრესტის აპარატში და ფაბრიკაში, რითაც მუშაობის არანორმალურ პირობებს ქმნიდა იმ სპეციალისტებისათვის, რომლებიც არ ემხრობოდენ ამ ჯგუფს.

ცეკას პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს გადასინჯოს კალუგის ტრესტის შემადგენლობა და თანამდებობიდან მოხსნას ყოფილი ფაბრიკანტები.

კავშირის საგუბერნიო განყოფილებას წინადადება მიეცა გააძლიეროს სექციის ხელმძღვანელობა, გააფართოვოს საწარმოო თათბირებისა და კომისიების მუშაობა და უზრუნველყოს სამეურნეო ორგანოებისა და კავშირის საქმიანი პროლეტარული კრიტიკა.

საგუბერნიო განყოფილებას წინადადება ეძლევა ებრძოლოს მუშებისადმი უხეშ მოპყრობას სპეციალისტების მხრივ და ამასთანავე ერთად მიიღოს ზომები მუშების საწარმოო დისციპლინის გაძლიერებისთვის.

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო აპარატის შემცირება და მისი მოღვაწეობის გამოკვლევა. (ადს).

### საინჟინერო-ტექნიკურ მუშაკების სექციის ხარკოვის ბიუროს დაშლა

ხარკოვი, 14 მაისი. 12 მაისს შესდგა ინჟენერებისა და ტექნიკოსების სექციის უკრაინის ბიუროს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა ხარკოვის სექციის მდგომარეობის საკითხი.

ბიურომ აღნიშნა, რომ შახტის საქმის შესახებ გამოქვეყნებული მასალა მოწმობს, რომ კონტრრევოლუციონური ორგანიზაციის ხელმძღვანელები იმყოფებოდენ ხარკოვში, და ამიტომ შესაძლებელია ორგანიზაციის გავლენა მოეხდინა სექციის ხარკოვის ბიუროს არჩევნებზე.

უკრაინის ბიურომ დაადგინა დაუყოვნებლივ დაშალოს სექციის ხარკოვის ბიურო.

შექმნილია სპეციალური ბიურო, რომელსაც წინადადება მიეცა ჩაიბაროს საქმეები. ბიუროს დადგენილების თანახმად 10 დღის განმავლობაში მოწვეულ უნდა იქნეს სამთო ინჟენერ-ტექნიკოსების საქალაქო კრება სექციის ახალი ბიუროს ასარჩევად.

უკრაინის ბიურომ დაადგინა გამორიცხოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან ინჟენერი ჩინოკალი—კონტრრევოლუციონური ორგანიზაციის წევრი (ადს).

## ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

### მეფრინველეობის განსავითარებლად

ერევანი, 12 მაისი. „ჰაიკოოპმა“ სომხეთში მეფრინველეობის განსავითარებლად შეიძინა 5 ინკუბატორი. ლენინაკანსა და ქარაქილისში (მარტუნაკანში), იხსნება კვერცხების საექსპორტო პუნქტი.

### ახალი ხეხილის სანერგეები

ერევანი, 12 მაისი. მიიღო რა მხედველობაში, რომ სომხეთის ბაღები უმაღლეს ხარისხის ხილს იძლევა კონსერვების დასამზადებლად და რომ აუცილებელია ხეხილის ბაღების გაფართოება, როგორც დაბლობ, ისე მაღლობ რაიონებში, სომხეთის მიწსახკომმა გადადო 30.000 მანეთი ახალ ბაღების გასაშენებლად.

### ერევანის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ძალოვნობის გადიდება

ერევანი, 12 მაისი. თანახმად უკანასკნელ ცნობების, რომლებიც სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ არის მიღებული სიძლიერე ერევანის ჰიდრო-სადგურისა შესაძლებელია აყვანილ იქნეს არა 5.600 ცხ. ძალამდე, როგორც ამას ფიქრობდენ სადგურის აგების დროს, არამედ 6.800—7.000 ცხ. ძალამდე.

ამჟამად სადგურში დადგმულია ორი აგრეგატი, ყოველი 1.400—1.500 ცხ. ძალის თითოეული. მიმდინარე წელს დადგმული იქნება კიდევ ორი აგრეგატი, თითეული 2.000 ცხენის ძალიანი. ამგვარად ოთხივე აგრეგატის მუშაობას შეეძლია 6.800—7.000 ცხ. ძალის ელექტრო-ენერგიის მოცემა.

### ფიზკულტურის სტადიონი ერევანში

ერევანი, 12 მაისი. ერევნის ფიზკულტურის საბჭო, პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროსთან ერთად ერევანში რკინისგზის ახალი სადგურის ახლოს შეუდგა დიდი სტადიონის აგებას. სტადიონზე წელს მოწყობილი იქნება ფუტბოლისა და ლაუნ-ტენისის მოედნები და სარბენი გზა. მომავალ წელს გაკეთებული იქნება აუზი მცურავთათვის. სტადიონი დაიტევს 1.000 მაყურებელს.

# საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტრ. კომისიის პლენუმი

## საბჭ. დემოკრატიის გამოკვლევის შედეგები საქართველოში

### ამხ. გ. სტუროუას მოხსენება

საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელების გამოკვლევა საქართველოში ჩატარდა ამ საკითხის საკავშირო მასშტაბით გამოკვლევასთან დაკავშირებით.

მუშაობის ძირითადი მეთოდი გამოკვლევის დროს იყო მუშათა და გლეხთა ფართოდ ჩაბმა უშუალო გამოკვლევის პროცესში, რაც უნდა მომხდარიყო ერთის მხრით მათი უშუალო მონაწილეობით შემოწმებაში, მეორეს მხრით გამოკვლევის მასალების ფართოდ განხილვით მუშათა და სხვა კრებებზე.

ჩვენ გამოსაკვლევად დავისახეთ 67 ობიექტი; მათ შორის 3 ქალაქის საბჭო, 3 სამაზრო აღმასკომი, 3 თემსაბჭო, 2 სასოფლო საბჭო, 7 ხელმძღვანელი პარტორგანო, 7 კომკავშირის, 7 ხელმძღვანელი ორგანო, 19 ხელმძღვანელი და ადგილობრივი პროფორგანო, 8 კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაცია, 4 გლეხკომი და 11 ცალკე წარმოება.

შემოწმებაში უშუალო მონაწილე ამხანაგთა რიცხვი აღწევდა 101-მდე. მათ შორის იყო 82 დაზგის მუშა.

გამოკვლეული საბჭოების სექციებისა და კომისიების მუშაობის შინაარსი და ფორმები სხვადასხვაგვარია. აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სექციების მუშაობაში აუცილებლად აქვს ადგილი ერთგვარ გაუმჯობესებას, მთელ რიგ დადებით მიღწევებს და აგრეთვე ნაკლოვანებებს.

დადებით მიღწევებად სექციების მუშაობაში უნდა ჩაითვალოს გეგმიანობა და საბჭოების პლენუმებზე გადასატანი საკითხების თავის დროზე და საქმიანი განხილვა. ქალაქის საბჭოების სექციები გადაიქცა სათანადო განყოფილებათა მუშაობის კონტროლის ნამდვილ ორგანოებად.

ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი მოვლენები: სასოფლო და ნაწილობრივ სათემო საბჭოების სექციები და კომისიები თითქმის სრულებით არ აწარმოებდენ არავითარ მუშაობას. სასოფლო საბჭოების და ნაწილობრივ სათემო საბჭოების წევრთა უმეტესი ნაწილი არავითარ საბჭოთა მოვალეობას არ კისრულობს და არ მუშაობს სექციებში. ეს აიხსნება იმით, რომ მუშაობა არ სწარმოებს გეგმიანად, არ არსებობს საკმაო ხელმძღვანელობა სასოფლო და ნაწილობრივ სათემო საბჭოების მუშაობაზე.

საბჭოების წევრები და განსაკუთრებით კანდიდატები იშვიათად ესწრებიან ქალაქების საბჭოების სხდომებს. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ქალაქის საბჭო. ქალაქის სათემო და სასოფლო საბჭოებში არ სწარმოებს გეგმიანი მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში.

სექციების მუშაობაზე მიმაგრებაც არ არის სათანადოთ დაყენებული. სექციები არ აწარმოებენ თავისი წევრების მუშაობის აღრიცხვას. რაც შეეხება სათემო და სასოფლო საბჭოებს, იქ სრულებით არ არსებობს მიმაგრების პრაქტიკა.

ქალაქის საბჭოების პრეზიდიუმის და პლენუმების მუშაობაში ნაკლოვანებებთან ერთად გვაქვს მიღწევები. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის საბჭოების პრეზიდიუმის ფუნქციები და უფლებები სრულიად არის განსაზღვრული. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ არის სათემო და სასოფლო საბჭოების მუშაობაში. თითქმის ყველა საკითხებს, რომლებიც შეეხება საბჭოების პლენუმების კომპეტენციას, აქ სწყვეტენ პრეზიდიუმები და ნაწილობრივ სასოფლო კრებები. ქალაქის საბჭოები (განსაკუთრებით ბათომის საბჭო) ცოტად თუ ბევრად სისტემატიურად ასრულებდენ პლენუმებისა და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებს. მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას სასოფლო და სათემო საბჭოების მიმართ.

დაწინაურების შესახებ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მუშათა დაწინაურება საბჭოთა და სხვა მუშაობაზე ქალაქში უფრო ინტენსიურად სწარმოებს, ვიდრე სოფლად.

ქალაქის საბჭოების განახლება თბილისში ჩატარდა 82,5 პროცენტით, ბათომში—63 პროც. და ქიათურაში—48 პროცენტით. სასოფლო და სათემო საბჭოების განახლება დაახლოებით აღწევს 60-დან 80 პროცენტამდე, და უნდა ითქვას, რომ ეს განახლება სწარმოებს სოფლის ღარიბთა ნაწილის ხარჯზე, რაიც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება საბჭოების და მისი წევრების მუშაობას მუშათა და გლეხთა მასებს შორის, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად კარგად არის დაყენებული საქმე ქალაქის საბჭოებში, მაგრამ სოფლის საბჭოებში მეტად სავალალო მდგომარეობა გვაქვს, ქალაქებში ჩვენ მაინც მივაღწიეთ იმას, რომ საბჭოები რეგულარულად მართავენ თავის სხდომებს, და ანგარიშს უდგენენ იმ მასებს, რომლებმაც ისინი აირჩიეს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ გვაქვს სასოფლო და სათემო საბჭოებში.

ამგვარად, საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელება,—რამდენადაც ეს გულისხმობს ისეთი პირობების შექმნას საქართველოს საბჭოების მუშაობაში, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მუშურ-გლეხური ფართო მასების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში,—შეიძლება, ზოგიერთი შესწორებებით დადებითად შევაფასოთ მხოლოდ ქალაქის საბჭოების მიმართ და უარყოფითად—სასოფლო საბჭოების მიმართ.

ქალაქის საბჭოების სექციების, პრეზიდიუმების და პლენუმების მუშაობა უზრუნველჰყოფს დეპუტატთა მასების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვის საქმეში; სახელმწიფოს მართვის საქმეში მონაწილეობის შესაძლებლობა ამომრჩეველთა უფრო ფართო წრეებისათვის, ვისაც არის გაადვილებული მიმაგრებულთა ინსტიტუტის შექმნით, წარმოებებში საბჭოთა მუშაობის გაფართოებით და მუშათა ახალი კადრების დაწინაურებით საბჭოთა და საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

სასოფლო საბჭოების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი მუშაობის ფორმა და შინაარსი ვერ უზრუნველჰყოფს საბჭოების წევრთა ჩაბმას საბჭოთა მშენებლობაში.

საბჭოებს მიერ ამომრჩეველთა წინაშე წარდგენის დარგში მუშაობის პრაქტიკა სავსებით უზრუნველჰყოფს საბჭოების მუშაობის შემოწმებას. მაგრამ ეს პრაქტიკა ვერ უზრუნველჰყოფს ცალკე დეპუტატების მუშაობის შემოწმებას ამომრჩეველთა მიერ. მრავალ მიზეზთა გამო (საარჩევნო უბნების სიდიდე, ცალკე დეპუტატების საბჭოებში მუშაობის სუსტი აღრიცხვა და სხ.) ამომრჩევლებს არა აქვთ საშუალება შეამოწმონ ყოველ დეპუტატის და მით უფრო, საბჭოს ყოველი მოსამსახურის მუშაობა, რის გამოც საგრძნობლად სუსტდება ცალკე დეპუტატების კავშირი ამომრჩევლებთან.

1927 წლის გადარჩევა საერთოდ ნორმალურად და მნიშვნელოვანი წარმატებით ჩატარდა წინანდელ გადარჩევასთან შედარებით. საგრძნობ გადახრას ცენტრის დირექტივიდან, ადგილი არ ჰქონია. საარჩევნო კრებებზე დამსწრე ამომრჩეველთა რიცხვი ყველგან გაიზარდა.

შარშანდელ არჩევნებში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს ჩვენი ქალაქის, სასოფლო და სათემო საბჭოების სოციალური და პარტიული შემადგენლობის გაუმჯობესების მხრივ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ არჩევნებში ჩვენ შევსძელით საარჩევნო უფლებამოკლებულ პირთა ჩამოშორება არჩევნებიდან (7-დან 17 პროცენტამდე), რომლებიც მონაწილეობას იღებდენ წინანდელ არჩევნებში.

წარსული წლის საარჩევნო კამპანიის ნაკლოვანებებად უნდა ჩაითვალოს შემდეგი მომენტები: შარშანდელი საარჩევნო კამპანია არ იყო ცალკე დეპუტატების მუშაობის ნამდვილი შემოწმება; ცალკე დეპუტატები საკმაოდ არ უდგენდენ ანგარიშს თავის ამომრჩევლებს. დეფექტებს ჰქონდა ადგილი ნაკაზების შედგენის დარგში, უჯრედების მიერ დასახელებული კანდიდატების განხილვა ყოველთვის არ სწარმოებდა ღარიბთა კრებებზე საშუალო გლეხთა აქტივის მონაწილეობით, კენჭის ყრის დროს ხშირად ირღვეოდა საარჩევნო წესები.

მუშგლეხკორთა ორგანიზაციები ძალიან სუსტ მონაწილეობას იღებდენ საბჭოების მიმდინარე მუშაობისათვის ხელის შეწყობაში, კერძოთ კედლის გაზეთები თითქმის სავსებით არ აქცევდენ ყურადღებას საბჭოთა დემოკრატიის დარღვევის შემთხვევებს.

პროფორგანოები, კოოპერაცია, ქალდელეგატთა კრებები, კომკავშირითა და სხვა ორგანიზაციები [illegible] ცოტა მონაწილეობას იღებენ საბჭოების [illegible]მუშაობაში. მათ მონაწილეობას ადგილი [illegible] მხოლოდ საბჭოების საერთო სანგარიშო და საარჩევნო კამპანიების ჩატარების დროს. ამ დარგში ჩვენ, ხშირად, სიმართლე უნდა ითქვას, გვაქვს სამაგალითო მიღწევები, მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი ნაკლი—ჩვენ სუსტად ვართ დაკავშირებული საბჭოს მიმდინარე მუშაობასთან. მე უკვე ვსთქვი, რომ საბჭოს მუშაობა, განსაკუთრებით მისი ცალკე დეპუტატების მუშაობა ძალიან სუსტად არის დაყენებული წარმოებებში (თბილის გარდა). ქვედა საფეხურების ორგანიზაციები მხოლოდ იშვიათად და შემთხვევით ეცნობიან თავისი დეპუტატის ან მიმაგრებულის მუშაობას საბჭოში. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

რამდენიმე სიტყვა საბჭოთა აქტივის ხარისხის და ზრდის ზოგიერთი ციფრების შესახებ. სამწუხაროდ, ადგილებზე აღრიცხვის ცუდ ნიადაგზე დაყენების გამო ვერ მოვახერხეთ ამ ზრდის ციფრობრივი დინამიკის დახატვა. მაგრამ თუ ვიმსჯელებთ საერთო მაჩვენებლების მიხედვით, უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა არსებობს. ბათომში, მაგალითად, საბჭოთა აქტივის საერთო რაოდენობა (საბჭოს წევრები, კანდიდატები და მიმაგრებულები) ამომრჩეველთა საერთო რიცხვთან (430 კაცი) შეფარდებით გამოიხატება 3,8 პროცენტში.

განსაკუთრებით უნდა გავსვა ხაზი საბჭოებში პროლეტარული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან ზრდას. ქალაქის საბჭოებში ჩვენ გვყავს: მუშები 60,2 პროც. საშუალოდ, კომუნისტები და კომკავშირელები—58,5 პროცენტი. წინედ მუშები შეადგენდენ მხოლოდ 40,8 პროც. კომუნისტები—57 პროცენტს.

სოფლის საბჭოებში ჩვენ ვამჩნევთ მოჯამაგირეთა რაოდენობის ზრდას, რომელიც შარშანდელ რაოდენობას აღემატება 2—2 ½-ჯერ (მაგალითად ბორჩალოს მაზრაში ეს ზრდა აღწევს 2,4 პროცენტიდან 4,5 პროცენტამდე). გადასახადიდან სავსებით განთავისუფლებული ღარიბები სათემო და სასოფლო საბჭოებში, საშუალოდ შეადგენენ 35 პროცენტს (8-დან 57 პროცენტამდე).

ეს ციფრები და სხვა ცნობები ნათლად ამტკიცებს, რომ სათანადო ნაყოფი გამოიღო საბჭოების, განსაკუთრებით სასოფლო საბჭოების გამოცოცხლების ხაზმა, რომელიც ჩვენ გავატარეთ. „საბჭოთა შენების ქვედა სართულები“ ემყარება სოფლის ღარიბთა და მოჯამაგირეთა მნიშვნელოვან კადრებს.

პარტიული ხელმძღვანელობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა იქნას ცნობილი ქალაქის საბჭოებში და სრულებით არადამაკმაყოფილებლად—სასოფლო საბჭოებში. ამ საქმეში ნაკლოვანებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ შემდეგი: ძლიერი ხელმძღვანელობა, რომელსაც პარტორგანოები იჩენენ ქალაქის საბჭოების მუშაობაში, ხშირად ზიანს აყენებს თვით საბჭოების ფრაქციების ნამდვილი საინიციატივო მუშაობის განვითარებას, რამდენადაც ეს ხელმძღვანელობა წვრილმან მეურვეობამდე აღწევს. ფრაქციის მუშაობა საერთოდ სუსტად არის დაყენებული. სოფლის საბჭოების უმეტეს ნაწილში არ არის მოწყობილი ფრაქციები, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა არსებობს. პარტიული ხელმძღვანელობა ხორციელდება უშუალოდ უჯრედების მიერ, რომლებიც თავის მხრივ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საბჭოთა საკითხებს.

საბჭოების მუშაობის მატერიალური და უფლებრივი პირობების დარგში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქალაქის საბჭოებს მართლაც მიენიჭოს ის უფლებები, რომლებიც ეკუთვნის ახალი დებულებით. ამას ჯერ-ჯერობით ყველგან არ იცავენ (ბათომი). უნდა გადაისინჯოს აგრეთვე სასოფლო საბჭოების და იმ სათემო საბჭოების დებულება, რომელთაც არ აქვთ საკუთარი საბიუჯეტო უფლებანი. სავსებით უდავოა, რომ მატერიალური ბაზის უქონლობა ძალიან აბრკოლებს საბჭოთა დემოკრატიის განვითარებას.

შემოწმების საერთო შედეგები გვაძლევს საშუალებას მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელება საქართველოში სხვადასხვა საფეხურებზე იმყოფება ქალაქად და სოფლად. ქალაქის საბჭოების მუშაობისა და აქტივობის უეჭველი ზრდა საბჭოების კავშირის გაძლიერება მოსახლეობასთან და სხ., რაიც უზრუნველყოფილია სათანადო მატერიალური წინასწარი პირობებით (ახალი დებულებით, ბიუჯეტით, უფლებათა გაფართოებით, საზოგადოებრიობის მონაწილეობით, ხელმძღვანელი ორგანოების სიახლოვით და სხ.), ტარდება სოფლის საგრძნობი ჩამორჩენის პირობებში (საბჭოთა მუშაობის ხაზით), რასაც აქვს მთელი რიგი ობიექტიური მიზეზები: სოფლის საზოგადოებრივი ძალების როლი ჯერ კიდევ სუსტად არის გამოაშკარავებული საბჭოთა დემოკრატიის განვითარებისათვის ხელის შეწყობის საქმეში, საკმაო არ არის სოფლად კულტურული ძალები, მომზადებული მუშაკები. სოფლის აქტივის ზრდა კი საგრძნობი ნაბიჯებით მიდის წინ.

ცალკე ნაკლოვანებებმა, რომლებიც შემოწმებამ გამოაშკარავა, ვერ მოახდინა არსებითი ზეგავლენა საბჭოებში პროლეტარული გავლენის შემცირების მხრივ. პროლეტარული გავლენა საბჭოებში სავსებით არის უზრუნველყოფილი.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული პრაქტიკული ღონისძიებების მიღება და განხორციელება საშუალებას მოგვცემს საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის გატარება უახლოეს ხანში ავიყვანოთ უფრო მაღალ საფეხურზე.

## საქმე ზელიმხანის შესახებ

ბაქო, 12 მაისი. აზერბეიჯანის სახელმწიფო არქივმა ბაქოს ჟანდარმთა სამმართველოში აღმოაჩინა საყურადღებო დოკუმენტები ზელიმ-ხანის შესახებ. ეს დოკუმენტები ამჟღავნებს ზელიმ-ხანის პიროვნებას, როგორც რევოლუციონერისას, რომელიც მეთაურობდა პარტია „კავკაზ ისტიგლალ“ს, ეს პარტია მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობას კავკასიაში. დოკუმენტებში არის დიდი მიწერ-მოწერა ზელიმ-ხანის დევნის შესახებ და დაწვრილებით ინსტრუქცია მისი და მის მომხრეთა დაჭერის შესახებ. მიწერ-მოწერაში აღნიშნულია, რომ ზელიმ-ხანის დაჭერაში მთავრობის ორგანოებს ადგილობრივი მოსახლეობა არავითარ დახმარებას არ უწევს. მიწერ-მოწერიდან აგრეთვე სჩანს, რომ ჟანდარმთა სამმართველო და მეფის მოადგილის კანცელარია არაერთხელ მოითხოვდა პარტია „ისტიგლალ“-ის წესდებისა და პროგრამის ხელში ჩაგდებას აგენტურის საშუალებით. მაგრამ ეს მოთხოვნილებები, როგორც სჩანს, უშედეგოდ დარჩენილა.

# მდგომარეობა ქუთაისში

## მთავრობის კომისიის სხდომა

გუშინ საღამოს საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის კომისიის პირველი სხდომა.

კომისიის წევრებს გარდა სხდომას დაესწრენ თბილისის აღმასკომის, პროფსაბჭოს, რკინის გზის, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებიც.

ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების და დაზარალებულთა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ჯუღელმა.

საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ხანძარი გაჩნდა პრიმუსისადმი გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო. ხანძრის გაჩენისთანავე გამოყვანილი იქნა ქუთაისის ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელიც ნაყოფიერად ვერ მუშაობდა, ვინაიდან ერთი მანქანა გაფუჭებული აღმოჩნდა. სასწრაფოდ გამოყვანილი იქნა გარნიზონი. ხანძართან ბრძოლაში გარნიზონმა დიდი თავდადება და გმირობა გამოიჩინა, მაგრამ ხანძრის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა, ვინაიდან ქროდა ძლიერი ქარი და ცეცხლი სწრაფად ვითარდებოდა.

როდესაც აშკარა გახდა, რომ ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი იყო ხანძრის ჩაქრობა დეპეშით გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმები სხვადასხვა ქალაქებიდან.

განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინა ბათომის რაზმმა. ამ რაზმის ენერგიული მუშაობის წყალობით საღამოთი შესაძლებელი გახდა ცეცხლის შენელება და მახლობელი უბნების გადარჩენა.

ცეცხლისაგან დაზარალდა 627 ოჯახი. ცეცხლში დაიწვა ქონების 80 პროცენტი, ხოლო გადარჩენილი ქონება იმდენად დაზიანებულია, რომ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

დაზარალებულ ოჯახებიდან ღია დარაბებში ჩასახლებულია 210 ოჯახი. დანარჩენები მოეწყვენ ნათესავებთან და ნაცნობებთან.

წინასწარი გამოანგარიშებით შენობების და წვით გამოწვეული ზარალი უდრის 3.500.000 მანეთს.

ვინაიდან ადგილობრივი თანხები საკმარისი არ არის პირველ დახმარების აღმოსაჩენად, კომისიამ დაადგინა—ეთხოვოს ა. კ. სახკომსაბჭოს და საკავშირო ორგანოებს ამ მიზნით გამოყონ თანხები. კომისიის დადგენილებით, პირველ რიგში მიღებული უნდა იქნეს ზომები დაზარალებულთა უზრუნველსაყოფად სურსათ-სანოვაგით, ტანისამოსით და ლოგინით.

ვინაიდან ის ბინები, რომლებშიაც მოთავსებული არიან დაზარალებულები, სრულიად მოუწყობელია, მიღებული უნდა იქნეს ზომები მათ შესაკეთებლად და ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

ზარალის რაოდენობის საბოლოოდ გამოსარკვევად სხდომამ გამოჰყო კომისია, რომელშიაც არჩეულ იქნენ ს. ჯუღელი (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი და გოლქვაძე.

კომისიას დაევალა დაჩქარებით გამოარკვიოს რა აუცილებელ საჭირო ზომებია მისაღები დაზარალებულ მოსახლეობის უზრუნველსაყოფად ბინებით, რა რაოდენობის თანხები ამ საქმისათვის საჭირო, რა თანხის გაღება დასჭირდება სახელმწიფოს და სხვა.

კომისიის დადგენილებით დაზარალებული მოსახლეობა განთავისუფლებულ უნდა იქნეს ყოველგვარ გადასახადის და ნარჩენებისაგან. მიღებული უნდა იქნეს ზომები მოსახლეობისათვის სამუშაოების აღმოსაჩენად და მათ შესაკავშირებლად სხვადასხვა არტელებსა და კოლექტივებში.

## საუბარი ამხ. ს. ჯუღელთან

გუშინ, დილით ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი.

ამხ. ჯუღელმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი გადასცა:

საბოლოოთ გამოირკვა, რომ ცეცხლმა ქუთაისში გაანადგურა 354 სახლი, დაზარალებულია 627 ოჯახი. 210 ოჯახი ჩვენ დავაბინავეთ დარაბებში, ხოლო დანარჩენებმა, როგორც სჩანს, თავი შეაფარეს ნაცნობებთან და ნათესავებთან, ვინაიდან უკანასკნელ დღეებში უბინაოთ არავინ დარჩენილა.

მიუხედავად იმისა, რომ ზარალის გამომკვლევი განსაკუთრებული კომისია ძალიან ენერგიულად მუშაობდა, ზარალის რაოდენობა საბოლოოთ ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული და კომისია განაგრძობს მუშაობას. ზარალისა და გასაცემ დახმარების რაოდენობას არკვევს აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს კომისიაც.

ვინაიდან ქუთაისში ჩატარებულია არა ნებაყოფლობითი, არამედ საგანაკვეთო დაზღვევა, თანხა, რომელიც გაღებული უნდა იქნეს, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მიერ, ძლიერ მცირე იქნება და საჭირო ხდება სახკომსაბჭოში დაისვას საკითხი დაზარალებულთათვის, სესხის სახით, დამატებითი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმემ ქუთაისში სწრაფად მიიღო ორგანიზაციული ხასიათი. ადგილობრივი ძალები და ორგანიზაციები დახმარების საქმით დატვირთული არიან მთლიანად და მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებს.

12 მაისს თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა წითელი ჯვრის საკვები - სამკურნალო რაზმი. პირველ დღეს რაზმი მოუნდა დაბინავებას, მეორე დღიდან კი შეუდგა დაზარალებულთათვის საჭმელის მიწოდებას.

დაზარალებულთა მომარაგება სურსათ-სანოვაგით ამჟამად მოგვარებულია სავსებით.

წითელ ჯვარს და ჯანმრთელობის განყოფილებას მიეცა განკარგულება მსუბუქად დაშავებულებს საქმით დახმარება აღმოუჩინონ [illegible], ხოლო მძიმეთ დაშავებულები მოათავსონ ქალაქის საავადმყოფოსა და სამხედრო ჰოსპიტალში. ვინაიდან ქალაქის საავადმყოფო ვერ იტევს ყველა მძიმეთ დაშავებულთ, მათი ნაწილი მოთავსებული იქნება სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მათთვის გამოყოფილია საწოლები. დაშავებულთა მოვლა - პატრონობის და მკურნალობის ხარჯები უნდა გაიღოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ და განსაკუთრებულმა კომისიამ.

ხანძრის შემდეგ დაზარალებულ უბანში დარჩა ბევრი დაზიანებული სახლი. მოსალოდნელი იყო მათი ჩამონგრევა, რასაც შეეძლო ახალი უბედური შემთხვევა მოეყოლიებინა. ამიტომ ბრანდმაიორ ამხ. ბერიძეს მიეცა განკარგულება შეემოწმებინა ეს სახლები და რომელიც ხიშიში აღმოჩნდებოდა, დაენგრია. ეს მუშაობა დამთავრდა კვირას და იმავე ხანს თბილისის ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოემგზავრა უკან.

შაბათს საღამოს ქალაქის თეატრში შესდგა ქუთაისის საბჭოს სასწრაფო სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. ე. ღვამიჩავას მოხსენება განსაკუთრებული კომისიის მუშაობის შესახებ, ამხ. ბერიძის მოხსენება სტიქიურ უბედურებათა და ცეცხლის მქრობელი რაზმის მნიშვნელობის შესახებ. ამხ. ბერიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქუთაისისათვის აუცილებელია ძლიერი ცეცხლის მქრობელი რაზმის შექმნა. მე საბჭოს მოვახსენე მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებების შესახებ.

ამხ. ე. ღვამიჩავას და ბერიძის მოხსენებების ირგვლივ საბჭოს მიერ მიღებულ პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებს შორის აღსანიშნავია: ქალაქის გადამწვარი ნაწილის დაგეგმვა; ტიპიურ სახლების პროექტის შედგენა (რომელიც სავალდებულო იქნება ყველა მოქალაქეთათვის); ქალაქის გადამწვარი ნაწილის სასწრაფოდ [illegible] შედგენა და სხვ.

საბჭოს მიერ გამოყოფილია საზოგადოებრივი დახმარების კომიტეტი: ე. ღვამიჩავას (თავმჯდომარე), კაკელიას, სხირელის, ბუძიაშვილის და იმნაძის შემადგენლობით.

წინასწარი მუშაობა ქუთაისში უკვე დამთავრებულია. მე და მთავრობის კომისიის წევრები — ამხ. ე. ღვამიჩავა და კაკელია ჩამოვედით თბილისში ზოგიერთ საკითხის გამოსარკვევად და შემდგომი მუშაობის გეგმის შესადგენად.

## ქუთაისი

### 14 მაისი, საღამოს 9 საათი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ნანგრევთა შორის აქა-იქ დაიარებიან დაზარალებულნი და ნაცარში ეძებენ, თუ რამ გადარჩა. ან რა გადარჩებოდა? შეშფოთება დამდნარი, რკინეულობა დაღუნული, ხელოსნის ავეჯი ნაცრად ქცეული.

ამ ხალხს ლაპარაკიც უჭირს. ძალიან გულჩათხრობილნი სხედან სახით. ბევრს ეუცხოება, სხვებიან საკვებ პუნქტზე მისვლა პურისა და საჭმლისათვის. ამ მხრივ მორცხვობას არ ეკრძალებიან ბავშვები, რომელნიც მრავლად გამწკრივებულან პურის კარავთან და მადიანათ ილუკმებიან. თქვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ ვინ მეტად დაზარალდა —პასუხი ერთია:

— ზოგს ბევრი დაეწვა, ზოგს ცოტა. მაგრამ დარჩენით არავის არაფერი დარჩენია.

ხალხი ბინებში შესახლდა, მაგრამ უმრავლესობას ერთი საბანიც აღარ აქვს დასახურავად. კიდევ კარგი, რომ თბილი ამინდებია. ბევრი ისეთია, რომ ტანისამოსიც კი არ გამოუტანიათ დიდი კატასტროფის შემდეგ.

თბილისიდან ჩამოსული წითელი ჯვრის კომისია ამ დღეებში დაიწყებს უღარიბეს მცხოვრებლებზე თეთრეულობის დარიგებას. სამოჯახო ავეჯეულობა ჯერ კიდევ არ მოუგროვებიათ მთლიანად. კიდევ გამოსარკვევია ვის რა გადარჩა.

ყოველ დღე ირკვევა ადამიანთა მსხვერპლი: აი მაგალითად, დღემდე უგზო-უკვალოდ დაკარგულია და არ იციან რა ბედი ეწია ორ ძუძუმწოვარ ბავშვს, ერთ ავადმყოფ მამაკაცს, ერთ მოხუც ქალს, ერთ ქალიშვილს და სხვ.

განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა ბედი ძმებ ელიგულაშვილის ოჯახისა, სადაც პირველად გაჩნდა ხანძარი. სახლი დაიწვა, ავეჯი დაიღუპა, ხოლო ოჯახში მყოფ სამი რძლიდან სამივე ცეცხლმა დაასახიჩრა. აი, დღეს ჩვენ ვტყობილობთ — გარდაიცვალა როსტომ ელიგულაშვილისა, ჭკუაზე შეურყა და სიკვდილის პირასაა მეორე რძალი — სარა, მძიმეთ დასახიჩრდა და სიკვდილის პირზეა მისული მესამე რძალი—სიმხო. ერთი სიტყვით მთლიანად განადგურდა და განაცამტვერდა ეს ოჯახი. გარდა ამისა დღეს საავადმყოფოში გარდაიცვალა მოხუცი შალომ რიგინაშვილი და ოთხი წლის პატარა ბავშვი მეგრელიშვილისა.

ქალაქი ამოძრავებულია დაზარალებულთა დასახმარებლად. გუშინ, მუშათა კლუბებში მოეწყო საღამოები და დღის კინოებში იმართება სპეციალური სეანსები დაზარალებულთა სასარგებლოდ. ცნობებია სხვადასხვა მაზრებიდან, რომ დახმარების შეგროვებას შეუდგენ. ადგილობრივ დამხმარე კომიტეტს შემოწირულებათა მისაღებად სახელმწიფო და კომუნალურ ბანკების ქუთაისის განყოფილებაში, ყოველგვარი შემოწირულებების გამოგზავნა დაზარალებულთა სასარგებლოთ შეიძლება ქუთაისში №№ 351 და 186-ის ანგარიშზე. ეს არის შემოწირულებათა მისაღებად დაწესებული მიმართვა.

# დახმარება ქუთაისს

### ფინსახკომში

12 მაისს საქ. ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება ამხ. ზ. ტრაპაძის თავმჯდომარეობით.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. გ. მგალობლიშვილმა მოხსენება გააკეთა ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურების შესახებ.

კრებამ ერთხმად გამოსთქვა სურვილი დაუყოვნებლივი დახმარება აღმოუჩინონ ხანძრისაგან დაზარალებულებს.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს ფინსახკომის თანამშრომლები ქუთაისში მომხდარ სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულებს სწირავენ ერთი დღის ხელფასს და იწვევენ ამ.-კავკასიის ნაციონალურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებულ ფინსახკომის რწმუნებულთა სამმართველოების თანამშრომლებს. ვუცნობთ საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ქართველიშვილს და დაზარალებულთა დამხმარე ადგილობრივ კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ღვამიჩავას, რომ ჩვენი წვლილი დაუყოვნებლივ იქნება გადაგზავნილი“.

### ლატარია ქუთაისის სასარგებლოდ

კვირას გამართულ დოლზე ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ყველა ბილეთები დაბეგვრილი იყო ათი პროცენტით.

„დორიდან“-ის მხედარმა თავისი ჯილდო მთლიანად შესწირა ქუთაისს.

ქუთაისში დაზარალებულთა დახმარების მიზნით საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. ა. გეგეჭკორმა განკარგულებით ლატარიაში გასათამაშებლად გამოჰყო ნახევარსისხლა „ლოტბარი“, რომელიც გამოიყვანეს სადოლო მოედანზე და უჩვენეს ხალხს.

ლატარიაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეიტანონ ორი მანეთი მიწათმოქმედების კომისარიატში.

### დეპოს მუშების დახმარება

გუშინ, 14 მაისს, თბილისის დეპოს მუშების საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 1.600 კაცი მოისმინა ამხ. გ. ხარატიშვილის საინფორმაციო მოხსენება ქუთაისში მომხდარ ხანძრის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა—ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოთ გაიღონ ერთი პროცენტი ხელფასიდან.

### მზიდავ მუშების წვლილი

12 მაისს, ქალაქის მზიდავ მუშების ცენტრალურ გამგეობაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ქუთაისში მომხდარ უბედურების შესახებ მოხსენება გააკეთა ვ. ჭუბაბრიამ. კრებამ დაადგინა ხანძრისგან დაზარალებულთა სასარგებლოთ გადასდონ ერთი დღის ხელფასი.

### საქ. ს. მ. უ. ს. კომისია

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა დახმარების აღმოსაჩენად. კომისიას დავალებული აქვს შეუდგეს თანხებისა და საშუალებების შეკრებას ს.მ.უ.ს. ტრესტებსა და წარმოებებში ამასთანავე კომისია გამოიმუშავებს წესს, თუ როგორ ან რა სახით გაუწიოს დაზარალებულებს ტექნიკური ხასიათის დახმარება (სპეციალისტების გაგზავნა ახალი სახლების დასაგეგმავათ და სხვა.)

კომისიაში შედიან ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, ვ. ავაქოვი და ს. ლოგუანიძე.

—:—

### სენაკის აღმასკომისაგან

სენაკის სამაზრო აღმასკომმა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარეს ღვამიჩავას სტიქიით გამოწვეულ უბედურების გამო გაუგზავნა თანხა და შემდეგი შინაარსის დეპეშა: „სენაკის მაზრაღმასკომის პრეზიდიუმი გამოსთქვამს ამხანაგურ თანაგრძნობას ქუთაისის მშრომელებისადმი და პირველი წვლილის სახით დაუყოვნებლივ გიგზავნით 500 მან. დაზარალებულთა დასახმარებლად. მომავლისათვის შედგენილია დამხმარე კომისია. სენაკის მაზრაღმასკომი დარწმუნებულია, რომ თქვენი მაზრისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებული იქნება მსგავს უბედურებასთან ბრძოლაში გამობრძმედილ მშრომელების დაუშრეტელი ენერგიის მეოხებით“.

სენაკის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე
დ. ქუჩულორია.

---

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად შემომაქვს 27 მანეთი, შეკრებილი მთელი ბავშთა სახლის თანამშრომელთა შორის (მათი ერთი დღის ხელფასი).

სახლის გამგე ქ. იოსელიანი.

—:—

განათლების კავშირის № მე-17 ადგილკომში შემავალ მე-29 შრომის სკოლის თანამშრომლებს შემოაქვთ „ქუთაისის ფონდში“ ნახევარი დღის ხელფასი 40 მანეთი და იწვევენ შემდეგ სკოლებს: მე-25, 81, 16, 26; 30; 15 და 14.

მე-29 შრ. სკ. გამგე ნინო ქიქიგური.

—:—

ქუთაისის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ: ამხ. გიორგი სტურუას, სევერიან მასხულიას, გ. მამალაძეს, ვალ. ფანცხავას; მიშა საბაშვილს, გ. მირიანაშვილს, პავლე ბრეგაძეს, სანდრო ქობულაძეს; ვალ. მამარდაშვილს, გრ. მგალობლიშვილს, სოხუმიდან: ანანია გრიგოლიას, ექ. გრიგოლიას, ექ. ვიონორ ანჩაბაძეს, პავლუშა ბოგუავას, ერმილე დამენიას და არტემ ფანცულაიას; ოჩემჩირიდან: სანდრო ჩიტაიას; იასონ საბურჩანიას, ტარასი ლაგვილავას და მარია ყოლბაიას.

აქვსენტი ანთელავა.

—:—

ქუთაისის ფონდში ხანძარისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ტოლ-ამხანაგებს: ვახტანგ და ოთარ მამარდაშვილებს, ლეილა ქეშიშოვს, გივი და ჟუჟუ ჟანიშვილებს, ნაზიკო მაისურაძეს, გაიოზ ხარაძეს; არიკო ჩხეიძეს ეთერი და ნათელა ვეშაპიძეებს.

5 წლის გურანდა ლალიძე.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ყურულაშვილს, ვასო ანთიძეს, ვანო სტეფანოვს, მიტო აგუეჯკას; პარმენ საბაშვილს; ფოთიდან: გიორგი მაჭავარიანს; მარკოზ რომანიშვილს, სერგო სალარეიშვილს, კოლია გოგინავას, ვანო გაბუნიას, კოწია მიქაბერიძეს, მიხა თოფურიას; არმენაკ ტურქიანს და მაკარი ბედიას.

ნესტორ თარგამაძე.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა ბავშვებს სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლილი ტრაპაიძეს, გულიკო ქემაშიძეს, ლილი დემენიას (სოხუმში), ეთერი ჩხეიძეს, ლარიკო გვრიტიშვილს, ჩემს ბიძაშვილს მარეხს, ციალა ტყაბლაძეს, ციალა და ვერმანე გვენეტაძეებს; თამარა ღვინიაშვილს, გოგი ქიკაძეს და ყველა ამხანაგს მეორე საბავშვო ბაღიდან.

ჯულიეტა იოსების ასული ცირდილაძე.

—:—

შემომაქვს 15 მანეთი ქუთაისში ხანძრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლ. ქართველიშვილს, ს. ჯუღელს, ს. გეგეჭკორს; ლადო სუხიშვილს; ი. ვარძელს, გრ. კუპაძეს; ბ. მაჩაიძეს; ბ. ჭიჭინაძეს, ვ. ავაქოვს, ვ. ფრანგულიანს, ა. სააკიანს; ა. კვირიკაძეს; მ. ძამაშვილს, ი. ჭელიძეს, ქ. კალატოზოვს; კ. ქაცარავას, შ. ლეჟავას; ვ. მესხს; პ. მეგრელიშვილს, სტ. სტეფანოვს; სტატისტიკოსებს: გ. გრიგორიანს, ა. გონჩაროვს, ბ. ჩოგოვაძეს; ზ. ჩახვაძეს; გ. ფერაძეს, ა. ლანდიას; მ. კოჩიაშვილს, გძელიშვილს; ბ. გომართელს, ბ. გოგელიას, ი. კუხალეიშვილს (აჭარისტანი), კოლესნიკოვს (აფხაზეთი), ს. ფანცხავას (გან. კომის.), ლ. პაპავას.

არჩ. რუხაძე.

—:—

ქუთაისში დაზარალებულთა სასარგებლოთ შემომაქვს ხუთი (5) მანეთი.

იოსებ კაკაბაძე.

—:—

საქ. მილიციის მეთაურთა სკოლის მსმენელებს, ლექტორებს და თანამშრომელთ ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ თითო დღის ხელფასი, რაიც შეადგენს 91 მან. 17 კ. და იწვევენ:

1) თბილისის აღმასკომის ადმ. განყოფილებას, თბილისის სამარქაფო სკოლას, 2) საქ. რესპუბლიკის ყველა მაზრების სამილიციო ერთეულებს და მათ სამარქაფო სკოლებს; 3) აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის სამილიციო ერთეულებს და მათ სამარქაფო სკოლებს და 4) რ.ს.ფ.ს.რ.-ის მილიციის მეთაურთა სკოლებს და აზერბეიჯანის და სომხეთის სამილიციო სკოლებს.

კრების მინდობილობით სკოლის უფროსი
ქ. ბახტაძე.

—:—

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებულ უმუშევართა წითელი სასადილოს თანამშრომლებს ქ. ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი 40 მანეთის რაოდენობით. და იწვევენ თბილისის შრომის ბირჟის, კოლექტივთა გაერთიანების, ყველა შრომის კოლექტივების გლეხთა ცენტრალური სახლის, და ქალთა კომისიის სასადილოს; სასტუმრო „ორიანტის“. სასადილოს, სასტ. „ევროპი“-ს, „პალასი“-ის; მუშკოოპის მე-2-რე სასადილოს; სახ. კვების კავშირის ც. გ. და რაიკომების ყველა თანამშრომლებს.

კრების დავალებით:
უმ. სასად. გამგე ა. პერტენავა.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ხუთი მანეთი ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გიორგი ყურულაშვილს; ვასო ანთიძეს; ვანო სტეფანოვს; მიტო აგუეჯკას; პარმენ საბაშვილს; ფოთიდან გიორგი მაჭავარიანს; არკოზ რომანიშვილს; სერგო სალარეიშვილს; კოლია გოგინავას; ვანო გაბუნიას; კოწია მიქაბერიძეს; მიხა თოფურიას, არმენაკ ტურქიანს; მაკარი ბედიას.

ნესტორ თარგამაძე.

—:—

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მე-9 უბნის თანამშრომლებს ქუთაისში უსახლკაროდ დარჩენილ ღარიბთა სასარგებლოდ შემოგვაქვს 32 მან. 50 კაპ. და ვიწვევთ საქართვ. სამხედრო გზის კანტორას და თბილისი—მანგლისისა: 1) ჩხეიძე გრიგოლი 10 მან., მესტიაშვილი ვიქტორი 5 მან., ბაჩილაძე სოკრატი 5 მან.; ჭეიშვილი ისაკი 3 მან., არსენიშვილი მარგარიტა 1 მან., პოლოზოვი, თედორე 50 კაპ., ჩერნიშოვი ვლადიმერი 2 მ., ნაზღაიძე მიხეილი 1 მან., ბოსტაშვილი ზაქარია 1 მან., არტამანოვი ივანე 1 მან., თუშიშვილი შაქრო 1 მან.; ლიაშენკო ვლადიმერი 1 მან.; ონანაშვილი ითხები 1 მან.

# მუშურ-გლეხური მასების მოზიდვა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში

(საქ. კ. პ. (ბ) ამ.-კავ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმის დადგენილება)

ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმი მთლიანად და სავსებით იზიარებს ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმის გადაწყვეტილებებს და აღნიშნავს, რომ ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და ბიუროკრატიულ გადმონაშთებების მოსასპობათ უნდა სწარმოებდეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმის რეზოლუციის გადაუხვევლად შესრულების ნიადაგზე, იმ რეზოლუციების, რომლებიც შეეხება საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე მდგარ ამოცანებს და სახავს რეალურ გზებს მათ განსახორციელებლად.

ა. კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი აღნიშნავს, რომ მასიური მუშაობის გაფართოების და გაღრმავების მეოხებით ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მიაღწიეს ზოგიერთ საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს (მაგ. ბაქოში), როგორიცაა:

ა) საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მორიგ ამოცანების და მუშაობის გარშემო ფართო საზოგადოებრივი აზრის შექმნა და ამასთან დაკავშირებით საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ავტორიტეტის გადიდება, პირველ რიგში მშრომელ მასებს შორის.

ბ) ფართო მასების მონაწილეობის გაძლიერება საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ბრძოლაში ბიუროკრატიზმისა და სახელმწიფო აპარატის სხვა დეფექტების წინააღმდეგ, ბრძოლაში სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის და მუშაობის ხარისხის გადიდებისათვის საერთოდ;

გ) უმთავრესად მუშების, გლეხების და ქვედა საფეხურის მასიურ ორგანიზაციების ძალებით მთელ რიგ გამოკვლევათა ჩატარება, რომლებიც ეხება მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს („მილიციის გამოკვლევა“, „მუშაშევრობა“, „ღარიბ გლეხებისათვის დახმარების გაწევა“; „საბჭოთა დემოკრატია“ და სხვ.).

დ) საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გარშემო საზოგადოებრივ მუშაკთა აქტივის შექმნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების წევრთა (ბაქო), დაზგის მუშების, კომკავშირლების, მუშკორების და სხვ. სახით, რის საფუძველზე იქმნება მნიშვნელოვანი კადრი მშრომელ მასებიდან ახალ ხელმძღვანელების და ადმინისტრატორების დასაწინაურებლად.

ამასთანავე ერთად, პლენუმი აღნიშნავს, რომ რამდენათ უფრო კარგათ არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული და უზრუნველყოფილი მასების პრაქტიკული ჩაბმა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევითი მუშაობის ყველა სტადიებში, იმდენათ უფრო მაღალია ცალკე გამოკვლევების შედეგების ხარისხი და საზოგადოებრივი ღირებულება.

იმ მიზნით, რათა განმტკიცებულ იქნეს არსებული მიღწევები, გაფართოებულ და ჩამოყალიბებულ იქნეს მასიური მუშაობის ფორმები და დამყარებულ იქნეს საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფართო ორგანიზაციული კავშირი მშრომელ მასებთან, ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პლენუმი წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს იხელმძღვანელონ შემდეგით:

1— ვინაიდან მუშათა და გლეხთა ინსპექციის **გამოკვლევითი მუშაობის** წარმატება და საზოგადოებრივი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ჩაბმული არიან მასები ამ მუშაობაში, საჭიროა გეგმიან და გეგმის გარეშე გამოკვლევებში უშუალო გამომკვლევებათ ჩაბმულ იქნენ—მუშები, გლეხები და მოსამსახურეები (მათ შორის კომკავშირლები და ქალები), რომლებსაც გამოჰყოფენ სათანადო მასიური ორგანიზაციები (საბჭოების სექციები, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები, ფაბქარხკომები, საწარმოო და ეკონომიური თათბირები და საკონფლიქტო კომისიები, პარტიის და კომკავშირის უჯრედები, სასოფლო საბჭოები და სხვ.) და რომლებიც იმუშავებენ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელობით.

ამავე დროს ხაზსმით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მშრომელთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობა **მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევითი მუშაობის ყველა სტადიებში**, დაწყებული მუშათა პროგრამების შედგენა-დამუშავებით და გათავებული პრაქტიკული წინადადებებით გამოსაკვლევი საკითხის შესახებ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევითი მუშაობაში ფართო საზოგადოებრივი დახმარების უზრუნველსაყოფად საჭიროა ადგილებზედ მოწვეულ იქნას გამოსაკვლევ დაწესებულებების და წარმოებების მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებები და აგრეთვე ეკონომიური და საწარმოო თათბირების სხდომები, რომლებზედაც ადგილობრივ მუშაკებს უნდა მიეცეთ ინფორმაცია გამოკვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ამავე კრებებზე საჭიროა გამოყოფილ იქნას გამოკვლევის მონაწილენი ფაბქარხადგილკომებისაგან, საწარმოო და ეკონომიურ თათბირებისაგან, უჯრედებისაგან და სხვ.

2. რათა მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობას მტკიცე საზოგადოებრივი საძირკველი ჩაეყაროს ქალაქისა და სოფლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან და ცენტრალურ დაწესებულებების გამოკვლევისა და აგრეთვე სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების შესწავლის დროს წამოჭრილი საკითხის შესახებ წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, მასიურ პრესაში და დიდი დაწესებულებებისა და წარმოებების კედლის გაზეთებში უნდა გამოქვეყნდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განზრახულ გამოკვლევის ხასიათი და მიზნები.

3. მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის ორგანოების მიერ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც უშუალოდ ფართო მასების ინტერესებს შეეხება, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელმძღვანელთა დადგენილებით, წინასწარ განხილულ იქნეს პრესაში და მუშათა და გლეხთა ფართო კრებებზე.

4. პარტიისა, მთავრობისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ გამოკვლეულ დაწესებულებათა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (უმთავრესად საწარმოო და ეკონომიურმა თათბირებმა და საკონფლიქტო კომისიებმა); უფრო მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შემოწმების საქმეში ჩაბმულ უნდა იქნან შესაფერ კრებებზე არჩეული მუშები და გლეხები და აგრეთვე კომკავშირლები, მოწაფეები, ქალები, მუშკორები, საბჭოების სექციები და სხვ.,—მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა და შემოწმების გატარების მეთოდების ხასიათის მიხედვით.

მიზანშეწონილია აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის გადაწყვეტილებათა მასიურ შემოწმებაში პრესის ორგანოების და კედლის გაზეთების ჩაბმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის პასუხისმგებელ მუშაკების ხელმძღვანელობით კამპანიის ჩატარება პრესაში.

5. ბიუროკრატიზმისა და აპარატის სხვა გადამახინჯებასთან ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროებს. მომავალში საჭიროა მუშაობის ისე მოწყობა, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ფართო მასებმა.

საჩივრებისა და გაზეთების შენიშვნების განხილვა-გამოძიების საქმეში უმთავრესად მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშებმა, რომლებიც ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა სექციების მიერ გამოყოფილი არიან საჩივართა ბიუროში მუდმივ სამუშაოდ, აგრეთვე თვითეულ ცალკე შემთხვევაში ჩაბმულ უნდა იქნან წარმოება-დაწესებულებების პარტიული, კომკავშირის, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

საჩივართა ბიუროს მუშაკებმა უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა და მიაწოდონ ინსტრუქციები ამ საქმეში ჩაბმულთ.

ამის და მიხედვით, საჩივართა ბიუროს მიერ გამოაშკარავებულ ბიუროკრატიზმისა, საქმის გაჭიანურებისა და მშრომელთა მოთხოვნილებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების შემთხვევების განხილვა უნდა სწარმოებდეს ქარხნებისა და მსხვილ წარმოებების საერთო კრებებზე არჩეულ მუშებთან ერთად. ამ მიზნით გამოყოფილ მუშათა რაოდენობის შესახებ საჭიროა შეთანხმება შესაფერ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან. ეს მუშები საჩივართა ბიუროს მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ როგორც მსაჯულები.

საჩივართა ბიუროს უფრო დამახასიათებელი და საყურადღებო საქმეები განხილულ უნდა იქნეს წარმოება-დაწესებულებების საერთო კრებებზე და სოფლის ყრილობებზე. საქმეების ასე ფართოდ გარჩევა კიდევ უფრო დაუახლოვებს მუშათა და გლეხთა ინსპექციას მასებს და კიდევ მეტად გააძლიერებს მათ აქტივობას აპარატის ავადმყოფურ მოვლენებთან ბრძოლაში.

ამასთანავე ერთად საჩივართა ბიურომ პოპულარული უნდა გახადოს და გააშუქოს თავისი მუშაობა პრესაში, კედლის გაზეთებში და ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საერთო კრებებზე.

საჩივართა ბიურო არ უნდა დაკმაყოფილდეს ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ცალკე ფაქტების გამოძიებით, არამედ უნდა გამოააშკარაოს ის მიზეზებიც, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ფაქტები და დასახოს გზები მათი საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

6. **მუშა და გლეხ კორესპონდენტების და კედლის გაზეთების კორესპონდენტების ორგანიზაციებს**, რომლებიც ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების საზოგადოებრივ აზრს გამოხატავენ და ატარებენ, კარგად იცნობენ სახელმწიფო აპარატის ავადმყოფურ მოვლენებსა და გადამახინჯებებს და იბრძვიან ცალკე დაწესებულებებისა და წარმოებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის,—ეს ორგანიზაციები თავის ყოველდღიურ საზოგადოებრივ მუშაობაში მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებული არიან საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანებთან.

ამიტომ საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მასიური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს მათი ფართო კავშირი მუშკორებთან, გლეხკორებთან და კედლის გაზეთების კორესპონდენტებთან.

ამ მიზნით ყველა იმ გამოკვლევებში, რომლებსაც აწარმოებს საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია მუშგლეხკორების წერილების მიხედვით, აგრეთვე მუშგლეხკორთა დევნის საქმეებზე, ჩაბმული უნდა იქნან მუშკორთა ბიუროების ან სათანადო კრებების მიერ გამოყოფილი მუშკორები.

შემდეგ საჭიროა სისტემატიურად იქნას გაშუქებული მუშგლეხკორთა ფართო კრებებზე და პრესაში ის შედეგები, რომლებიც მოჰყვება ცალკე დამახასიათებელ წერილებს მიხედვით და მუშგლეხკორთა საქმეებზე წარმოებულ გამოკვლევებს, აგრეთვე საჭიროა გაშუქებულ იქნას ჩვენი აპარატის ბიუროკრატიზმისა და სხვა დეფექტების უფრო თვალსაჩინო შემთხვევები, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ზომები, რომლებსაც ღებულობს მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რათა ამით დაირაზმოს მუშგლეხკორების საზოგადოებრივი აზრი და მიმართულ იქნას მათი ყურადღება ჩვენი აპარატის გაუმჯობესებისათვის წარმოებული ბრძოლის უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე.

ამასთან ერთად, იმ მიზნით, რათა მუშგლეხკორების ჩაბმას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მოჰყვეს მეტი დადებითი შედეგები, საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა დაიცვან ისინი ყოველგვარ დევნისაგან, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა ფორმებში გამოიხატება ეს დევნა და ვინ აწარმოებს მას, დამნაშავენი კი უნდა მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

7. **ქალაქის საბჭოების სექციები (განსაკუთრებით მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები)** წარმოადგენენ იმ ძირითად ღერძს, რომლის გარშემო ყველაზე უფრო წარმატებით შეიძლება განვითარდეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასიური მუშაობა.

რესპუბლიკების ცენტრალურმა საკონტროლო კომისიებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციებმა ეხლავე უნდა მიიღონ ყველა ზომები მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების მოსაწყობად ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქის საბჭოებთან, სადაც ასეთი სექციები ჯერ კიდევ მოუწყობელია.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების მუშაობის გეგმები შეთანხმებული უნდა იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გეგმასთან, ერთსა და იმავე ორგანიზაციებში კი გამოკვლევები უნდა ჩატარებულ იქნას მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების საერთო ძალებით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების ჩაბმასთან ერთად საჭიროა ამ მუშაობაში სისტემატიურად იქნან ჩაბმული საბჭოების სხვა სექციებიც, გამოკვლევათა ამოცანებისა და ობიექტების მიხედვით.

8. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასებთან დაკავშირების განსაკუთრებით ფართო ფორმას წარმოადგენს აგრეთვე **საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის გაშუქება მასიურ პრესაში და მუშათა და გლეხთა ფართო კრებებზე.**

მასებთან დაკავშირების ამ ფორმის გასაფართოებლად შემდეგში საჭიროა:

ა) საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის პერიოდულ საანგარიშო მოხსენებებთან ერთად მისი მუშაობის შესახებ, სისტემატიურად უნდა იქნეს გაშუქებული მშრომელთა ფართო კრებებზე (მუშათა და გლეხთა საერთო კრებები, სასოფლო ყრილობები, პარტიისა და კომკავშირის უჯრედების ღია კრებები და სხვ.) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცალკე გამოკვლევათა და გამოძიებათა შედეგები და ფართო მასების ყურადღება უნდა მიექცეს ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უყაირათობის, უსისტემო მუშაობის და სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების სხვა ნაკლოვანებათა ცალკე შემთხვევებზე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ გადაწყვეტილებებზე და აგრეთვე მიღწეულ წარმატებებზე, კარგი მუშაობისა და საქმის სწორი დაყენების ნიმუშებსა და მაგალითებზე;

ბ) უნდა წარმოებულ იქნას იმ შეკითხვების, ბარათების და წინადადებების აღრიცხვა, რომლებიც წარმოდგენილი იქნება საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენებების გამო და ამრიგად გამორკვეულ იქნას როგორც მშრომელ მასების განწყობილება და საჭიროებანი, ისე ის უფრო მტკივნეული და სუსტი მხარეები, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენი აპარატის მუშაობაში;

გ) პერიოდულად უნდა იქნას გამოქვეყნებული პრესაში „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლებში“, საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ცალკე საკითხებზე წარმოებული მუშაობის შედეგები, რისთვისაც ამ საქმეში საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკების გარდა ჩაბმული უნდა იქნან გაზეთების თანამშრომლები და მუშკორები.

ამასთანავე „ფურცლები“ უნდა აწარმოებდენ ჩვენი მუშაობისა და მშენებლობის მთავარ დარგების ნაკლოვანებათა დასაბუთებულ, სერიოზულ კრიტიკას, ამათრახებდენ გაუსწორებელ ლვარძლიან ბიუროკრატებს და ცალკე შემთხვევებში მათი მოქმედება გამოჰქონდეთ საზოგადოებრივ სამსჯავროზე.

ამასთან ერთად საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლებისათვის“ რაც შეიძლება ფართო დახმარება, მათ უნდა გამოიძიონ ჩვენი აპარატის ბიუროკრატიზმისა და სხვა ნაკლოვანებათა ფაქტები, რომლებიც იბეჭდება ამ ფურცლებში.

დ) პრაქტიკაში უნდა იქნას შემოღებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის (განზრახულ გამოკვლევების და მათი შედეგების) გაშუქება უფრო მსხვილ გამოსაკვლევ დაწესებულებათა და წარმოებათა კედლის გაზეთებში.

9. საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასიურ მუშაობის ფართოდ გაშლა გულისხმობს **საბჭოთა პროფესიონალური და შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებას.**

ამასთან დაკავშირებით მეტის მეტად დიდ მნიშვნელობას ღებულობს **თვითკრიტიკის** ლოზუნგის სრული გატარება.

მთელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობის ფართო პარტიული და უპარტიო მუშების კონტროლს ქვეშ დაყენებით, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ჩვენი აპარატისათვის წესიერი მუშაობის ნორმალური პირობები, იმ მხრივ, რომ წინასწარ და თავის დროზე ძირშივე აღმოფხვრან ბიუროკრატიზმის, პროტექციონიზმის, საქმის გულგრილი და მოუხერხებელი წარმოების შემთხვევები და სხვ.

პარტიაში შემჩნეულ გადახრებისა და ავადმყოფური მოვლენების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და აგრეთვე პარტიულ პრობლემების შესასწავლად წარმოებულ მუშაობაში საკონტროლო კომისიის ორგანოებმა უნდა ჩააბან პარტიული და კომკავშირის წევრთა ფართო მასები.

ამ მიზნით საჭიროა მოეწყოს საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის და პარტმსაჯულების მიერ სისტემატიურად ანგარიშის წარდგენა ფართო პარტიულ სხდომებზე.

იმ დამახასიათებელ საქმეთა გარჩევა, რომელთაც აღმზრდელობით გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც ასურათებენ ავადმყოფურ მოვლენებს პარტიაში, საჭიროა გადატანილ იქნეს უჯრედების ფართო სხდომებზე.

10. პლენუმი, აღნიშნავს, რა მ. გ. ინსპექციის მუშაობაში გლეხების ძალზე სუსტ მონაწილეობას, ავალებს ა. კ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმს და მ. გ. ინსპექციის კოლეგიას—ამ მოკლე ხანში დაამუშაოს შემდეგი საკითხები:

ა) საკითხი მაზრებში საკონტროლო კომისიის რწმუნებულთა ინსტიტუტის მოწყობის შესახებ, ბ) ყველა იმ რაიონებში მ. გ. ინსპექციის სექციის მოწყობის შესახებ, სადაც საამისოთ არსებობს სათანადო ეკონომიური პირობები.

11. საკონტროლო კომისიის და მ.-გ. ინსპექციის მასიური მუშაობა უნდა შეიქნეს ერთ-ერთი მთავარი გზა მუშების და გლეხების დასაწინაურებლად ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო სამუშაოებზე.

ამიტომ, საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამოცანას ამ დარგში წარმოადგენს ყველაზე უფრო აქტიურ მუშების და გლეხების სისტემატიური დაწინაურება, განსაკუთრებით იმ მუშებისა და გლეხების, რომელნიც გაიწრთვნენ მ. გ. ინსპექციის ხაზით წარმოებულ მუშაობის პროცესში.

ამასთან ერთად საკონტროლო კომისიის და მ. გ. ინსპექციის ორგანოებმა უნდა განახორციელონ სისტემატიური კონტროლი და ზედამხედველობა საერთოდ დაწინაურებაზე და დაწინაურებულთა წესიერ გამოყენებაზე.

12. საკონტროლო კომისიის და მ.-გ. ინსპექციის მუშაობაში მუშათა და გლეხთა მასების მონაწილეობა ტარდება ჯგუფების ხელმძღვანელების და მ.-გ. ინსპექციის ინსპექტორთა შემადგენლობის უშუალო ხელმძღვანელობით. ამიტომ, მ.-გ. ინსპექციის მუშაკები, რომელთაც გარდა იმისა, რომ უნდა ჰქონდეთ საერთო კვალიფიკაცია—(რაც საჭიროა ოპერატიული მუშაობის საწარმოებლად), უნდა იყვნენ მ. გ. ინსპექციის მუშაობაში ჩაბმულ ფართო მასების გამოცდილი ხელმძღვანელები. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მ. გ. ინსპექციის ყოველი მუშაკის მიერ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების ყოველმხრივი შესწავლა და მასიური მუშაობის ორგანიზატორის უნარი.

# ქუთაისი 10 მაისს

## საშინელი დღე

(წერილი ქუთაისიდან)

10 მაისი დაუვიწყარ თარიღად გადაიქცა. დღეები ჯერ კიდევ ვერ წაშლის მას და ამიტომ აქა-იქ დარჩენილ ქოხთა სილუეტები დღესაც თითქოს ცეცხლის ალით და მღვრიე კვამლშია გახვეული.

მართლაც რა მოხდა, რა იყო?

აი გაითვალისწინეთ:

— თავგანწირული წითელ-არმიელი ცეცხლით შემორტყმულ შენობის მეორე სართულიდან ქუჩაში ისვრის აკვნიან ბავშს, საცაა მას მკერდუგრძნობელი ქვაფენილი ჩაიხუტებს, მაგრამ ასე მოულოდნელად ჩნდება ორი, ოთხი, ოცი ხელი და აკვნიან ბავშს ჰაერშივე იჭერენ.

და განა ერთი და ორია ასეთი ეპიზოდი საშინელების მთლიანი სურათიდან?

აი თუნდაც კიდევ

— თვითონ ცეცხლის ალში. ცეცხლის ჯაჭვით გარშემორტყმული დედა აკვნიანი ბავშით. აკვანს უკვე ცეცხლი უკიდია. ცეცხლის ენები საბედისწეროდ მეტყველებენ.

რა ქნას დედამ. კრუხივით გადაეფარება ბავშს, და აკვნიდან მისი ამოგლეჯაც ვერ მოუხერხებია. უცბად მოგლეჯენ მას წითელ არმიელები აკვნიდან, აკვნის არტახებს ნაჯახით სჭრიან, ბავშს ერთ-ერთი წითელარმიელი თავის ქუდს ახურავს და ისე გამოჰყავს ცეცხლიდან. თვით კი თმა შერუჯულია.

და რამდენი ასეთი მაგალითი იყო ჩვენი წითელარმიელების კეთილშობილური თავგანწირვისა. მაგრამ იგივე მაგალითები მოწმობენ იმასაც, თუ რამდენად მოულოდნელი, ძლიერი და დაუნდობელი იყო გუშინდელი უბედურება.

ცეცხლი დღე გაჩნდა, შუადღისას, როდესაც ყველა ქუჩებშია, ყველა ფეხზეა, ყველა მოძრაობს და მაშ რატომ უნდა ყოფილიყო ესოდენი მსხვერპლი.

მრავალი დამწვარი და დასახიჩრებული ადამიანი, და თუ რამდენად ძნელი იყო ხანძართან ბრძოლა, ეს იმ სამას კაცს ათქმევინეთ, რომელთაც ცეცხლისაგან მიყენებული ჭრილობები ათ მაისს შეუხვიეს.

დაზნეული, აზრდაკარგული ხალხი, რომელთაც ზოგიერთ შემთხვევაში ტირილიც ვერ მოუხერხებიათ.

აი ქალი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაწვა ყველაფერი, სახლიდან ერთი ხაზანიც ვერ გამოუხსნია. მის გარშემო მრავალი ცნობისმოყვარე შემოკრებილი. იგიც სდგას და მოთქვამს, მაგრამ როგორ?

ჭეშმარიტად, გუშინდელი დღის რაინდები იყვენ ჩვენი წითელარმიელები, მილიცია, ხანძარ-მქრობი რაზმელები.

რამდენი მოსწყვიტეს ცეცხლს, რომლებსაც გადაწყვეტილი ქონდათ, რომ თავის სახლის ნანგრევებ ქვეშ დამარხებოდნენ.

და ვინ იცის ბევრის სასოწარკვეთილება რა ზომამდე მივიდოდა, რომ ზოგჯერ მათ ცრემლებიან თვალებს ცეცხლის კვამლში გახვეული ხალხი არ დაენახა, ხალხი, რომელიც პირდაპირ გალომებული ებრძოდა ცეცხლის ალად მოზღვავებულ უბედურებას.

ესენი იყვენ პარტიის და ხელისუფლების პასუხისმგებელი და მორიგე წარმომადგენლები.

— დღეს, თუ ჩვენთან არიან, ღლის შემდეგაც არ მიგვატოვებენ—იმედიანად გაიძახოდა მრავალი დაზარალებულთაგანი.

არც მიუტოვებიათ.

— გუშინ დილიდან დაწყებული შეუსვენებლივ მოძრაობს ქალაქი, როგორც იყო 11 მაისს დილისათვის ცეცხლი მოაქვრეს. ხოლო დილის 6 საათზე უკვე გაკრულია განცხადება—„მოწოდება, რომ უკვე მოქმედება დაიწყო ოთხმა კომისიამ, რომელთაც დავალებული აქვთ: დამწვარ სახლების აღრიცხვა და ზარალის გამორკვევა, უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა დაბინავება და წყლით უზრუნველყოფა,—დაზარალებულთა უზრუნველყოფა პურით, ხანძრისაგან დაზარალებულ ოჯახის წევრთა აღრიცხვა.

მოწოდება თავდება სიტყვებით:

„ხანძრისაგან დაზარალებულნო, ნუ მიეცემით სასოწარკვეთილებას. მშრომელთა ხელისუფლება არ დაიშურებს მუშურ-გლეხურ სალაროდან სათანადო წვლილის გაღებას დაზარალებულთა უზრუნველსაყოფად".

მოწოდებას ხელს აწერს მაზრის და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ღვამიჩავა.

დღეს დილიდანვე ქუთაისშია საქ. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯუღელი.

* * *

აგერ რომელიღაც რიყინაშვილის შენობა თლილი ქვით ნაშენი, შენობა კოხტა და ლამაზი. მის გარშემო ხრჩოლავს კვამლი, იქ კი ჯერ არაფერი სჩანს.

— გადარჩება?—მკითხავს ხალხი.

ვიღაც ეპირება აცვდეს შენობის მეორე სართულში და ჩამოხსნას ფანჯრის ძვირფასი ფარდები მაინც, მაგრამ ჯერ ნაბიჯიც არ გადაუდგამს, რომ შეირხა ერთ-ერთი ფარდა და მოულოდნელი სისწრაფით გამოიჭრა ფანჯრიდან ცეცხლის ენა. ხრჩოლა დაიწყო სახურავმაც.

ჩემს წინ მდგომმა მოხნის დედაკაცმა ერთი შეკივლა და ჩაიკეცა.

იქვე მდგომი ახალგაზრდა, უკვე მარცხენა წარბშერუჯული საცოდავი ხმით აბღავლდა.

— შვილო! ასე ვიდგეთ და ვუყუროთ ჩვენს სახლს?

თითქოს რაღაც აზრმა მოუარა, შუზე წამოვარდა დედაკაცი და ცეცხლისაკენ გაიწია.

როგორც იქნა ძლივ მოგლიჯეს ცეცხლს.

რამდენი მათგანი ამ დროის დიდი სიამოვნებით დაუკოცნიდა ხელებს იმ წითელ არმიელებს, წითელ რაინდთ, რომელნიც საბელებსა და სალტზე ერთნაირის თავგამოდებით ზრუნავდენ.

და რამდენად მტკიცე უნდა ყოფილიყო მოქალაქეობრივი შეგნება ყოველი იმ წითელი არმიელისა, რომ ასეთ პირობებში ასეთის სიდინჯით ეკეთებინათ ხალხის ხსნისა და გადარჩენის საქმე!

მდგომარეობა კი საშინელი და სასოწარკვეთი იყო.

ცეცხლის ჯაჭვით გარშემორტყმულ ხალხს თითქოს გამოსავალი ვერ მოენახა ამ მოჯადოებული წრიდან, ვერავინ მიხვედრილიყო თუ რა, თუ რა მიზეზი ცეცხლის ასეთი მძიხანე და სწრაფი გავრცელების.

ქარი, რომელიც ჰაერში მოჯადოებულ რგოლებად ახვევდა ალს, ქარი რომელსაც ბუმ ლის წვიმა მწვანე ყვავილის ფენებიდან რიონის გაღმა ბაგრატის ნანგრევთა ფერდოებზე მიჰქონდა, რომელიც ყველაზე აუწერელის სიმძაფრით დასისინებდა თავს გაუბედურებულ ხალხს—ეს ქარიც კი აქ მრავალთ დავიწყნოდა, თითქოს დაყრუებულიყვნენ, მისი სისინი ბევრის ყურს სულაც არა სწვდებოდა, და სახეგალენჩებული, თვალგაცვივებულ ბუტბუტებდენ და ეს ბუტბუტი იმავ ქარს თითქოს ერთი ადამიანიდან მეორესთან გადაჰქონდა.

— მაშველი ტელეგრაფის სვეტები! ასეთი სისწრაფით ალი ტელეგრაფის მავთულებზე მიხრიალებდა!

მაშასადამე წაიქციეთ სვეტები, დაწყვიტეთ მავთულები!

და მართლაც ელვის სისწრაფით დაიწყეს ტელეფონ-ტელეგრაფის ხაზის განადგურება ჯერ კიდევ ცეცხლიდან შორეულ ქუჩებსა და უბნებშიაც კი.

ცეცხლის სწრაფმა ზრდამ—აი, რომ დააბნია და გონება დაუფანტა ხალხს.

ალბად ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ზოგიერთ წააწყდებოდით დედაკაცს, რომელსაც სიმაქრისათვის დაეტაცა ხელი და ასე გამოვარდნილიყო ქუჩაში, ხოლო ბავშიანი აკვანი კი ალმოდებულ ოთახში მიეგდო, მიევიწყებია.

— უშველეთ, ბავშს უშველეთ!—აგერ თქვენს წინ ყვირის ვიღაც დედაკაცი და ხელ კი ვერცხლის სამოვარი უკავია.

ეცინა, (რა დროს სიცილია) თუ იტირა ასეთი სურათის დანახვაზე?

— არც ერთის დროა ეხლა და არც მეორესი! და სწორედ ამიტომ საზედმეტო არმიელები მოუკრძალებლის სერიოზულობით გადადიან ბინიდან-ბინაზე, გამოაქვთ და გამოჰყავთ [illegible] და ბავშები.

— მიხედეთ, ვისი სახლია—წივილი, რაისი ისმის?

იძახის ექიმი.

სანიტარულ რაზმს ვიღაც მ—ლის სახლიდან გამოჰყავს ფეხმძიმე ქალი, რომელსაც ამ უბედურების გამო ტკივილები ასტეხია. ქალს აწვენენ სწრაფი დახმარების ავტომობილში და მიაქროლებენ საავადმყოფოსაკენ, მაგრამ ავტომობილის სისწრაფის განვითარებას ტკივილები ასწრებს და გზაში მშვიდობიანად მოილოგინებს დედაკაცი, ერთ თვალს შეავლებს თავის პატარა ბიჭუნას, ამოიკვნესებს:

— უბედურ დღეზე დაბადებულიო,—და გული უწუხდება, გრძნობა სტოვებს მას.

და რამდენ ასეთ რამეს აქვს ადგილი აქ, ამ უბედურების დღეს?

საღამოს ჟამს ქარი თითქო სცხრება, მაგრამ მით უფრო გარკვეულად ისმის კვნესა უბინაოთ შეხვედრილი ხალხისა...

* * *

ღამის სიბნელეში გაისმის ბავშის ტირილი. სადაა რა ატირებს?

მიყვებიან ხმას და ოლქის სასამართლოს გვერდით მოთავსებულ ეკლესიის გალავანში წააწყდებიან წლის-წლინახევრის ბავშს, რომელიც გულსაკლავად სტირის.

ვინ დასტოვა, ვისია?

პასუხს ვინ მოგცემს ამ თრიალ-ტრიალში.

ამ დროის კი რამდენიმე დედა დარბის უბნა-უბნაში და ყველა გამვლელს ეკითხება: ჩემი ბავშვი ხომ არ გინახავთ.

შვილი დედას ეძებს, დედა შვილს ეძებს და ერთმანეთი ჯერ კიდევ ვერ მიუგნიათ.

ღამეა, ღამე საზარი.

გულჩათხრობილი ზიან და ყრიან ქუჩებზე, ქუჩის შესახვევებში, დერეფნებში და მწარე ფიქრებს მისცემიან. მაგრამ უცებ გაჯაგრულებით წამოუბერავს ქარი, დაისისინებს საბედისწეროდ და კუპრიან ცას ცეცხლის წითელი ალი შეანგრევს.

— ნუ თუ არ დაიკლებს, აღარ მოგვეშვება? რა დღეზე ვყოფილვართ გაჩენილი—ისმის აქა იქ ამოკვნესა.

თანდათან ეტყობა დაქანცვა ხალხს.

კვნესაც აღარ შეუძლია ბევრს და მწარე დუმილით ელის გათენებას.

ყველას სახეს მწარე ფიქრი აღბეჭდვია:

რას მოგვიტანს დღე ხვალინდელი, რა იქნება კიდევ?

11 დილის რიჟრაჟს უკვე წინადღით დაბეჭდილი მოწოდება მიაქვს:

—„ნუ შეშინდებით, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით. თქვენი ხელისუფლება თქვენთანაა".

ჯერ კიდევ ბოლი არ ამოწყვეტილა მწვანე ყვავილის გორაკთა ქუჩიდან, როცა დილის [illegible] ჩამოსვლის ცნობა.

ელვის სისწრაფით ედება დამწვარ-განადგურებულ რაიონს ცნობა ამხ. ჯუღელის ჩამოსვლის შესახებ.

— ასე მალე, ასე უცბად!—ისმის იმედიანი ჩურჩული.

ჯერ მზეს ძინავს, მაგრამ ქალაქი უკვე ფეხზეა. სასწრაფოდ გამოყოფილი კომისიები განადგურებულ უბნებში არიან უკვე: არის დაკითხვა, პასუხი, წუწუნი, ჩივილი.

— აბა პური მიაკითხეთ კოოპერატიულ ფურნეებს. ყველას დაგირიგებენ. ხიმერთა ეკლესიის გალავანში ჩაისაც მოგაწოდებენ. ნუ გეშინიათ სადილიც იქნება, საჭმელს არ შემოგაკლებთ—ღებულობს ერთ-ერთი კომისიის ხელმძღვანელი ამხ. ეძვერიძე განადგურებულ ხალხს.

— ბიჭუნასა, პური, საჭმელი. მე კი მეგონა უბინაოებს სიმშილი მოგვკლავდა—ბუტბუტებს დედა-კაცი, რომელსაც რვა-ცხრა თვის ბიჭუნა მკერდზე მიუკრავს.

— დღეს ბინაც გექნებათ, თავშესაფარიც გამაგრდით ნუ გეშინიათ—იმედებს დაზარალებულთ ამხ. რომნისთაველი, რომელსაც დაზარალებულთა დაბინავება აქვს მინდობილი.

კომისიების ენერგიული საქმიანობა დილიდანვე, შეიჭრა განადგურებულ რაიონში და საერთოდ ხელისუფლების ასეთი ზრუნვა იმედის სხივებით ათბობს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს.

მას ემატება მზის სხივები, რომელიც მწვანე ყვავილის გორაკიდან ამოიწვერა. ქარი გადაიკარგა. დღე იმედიანია.

ვნახოთ რას მოგვიტანს იგი.

**შ. რიონიძე.**

11 მაისი.

## როგორ მუშაობდენ სახანძრო რაზმები

(საუბარი თბ. ბრანდ მაიორ ა. ბერიძესთან)

ქუთაისიდან ახლად დაბრუნებულმა თბილ. ბრანდმაიორმა ამხ. ბერიძემ ჩვენს თანამშრომელს შეატყობინა შემდეგი: უნდა აღინიშნოს, რომ ხანძრის წარმოშობა ქუთაისში მოხდა იმ დროს, როდესაც ქარი მძვინვარებდა. ცეცხლი ელვის სისწრაფით გავრცელდა ქუჩებში.

ქუთაისში მომხდარი ხანძრის ჩაქრობაზე მუშაობდა ორასი მეხანძრე. მათ განკარგულებაში იყო რვა სახანძრო ავტომობილი და ათეული წყლის საქაჩი მანქანა.

ჯერ კიდევ თბილისის რაზმის ჩასვლამდე საღამოს 8 საათისათვის ცეცხლმა მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს და გადაბუგვით ემუქრებოდა მახლობელ უბნებს. მაგრამ საბედნიეროდ სწორედ ამავე დროისათვის ქარი ჩადგა და ბათომისა და ფოთის სახანძრო რაზმების ენერგიული დახმარებით ადგილობრივმა მეხანძრეთა რაზმებმა შესძლეს ცეცხლის ლოკალიზაცია. 12 საათის დასაწყისისათვის ქუთაისში ჩავიდა თბილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმიც. თბილისიდან ჩვენ თან წავიღეთ ახალი ტიპის ცეცხლის საქრობი ავტო-მანქანა „მაგირუსი"-ს სისტემისა, რომლითაც წყლით დავფარეთ ცეცხლმოდებული მთელი რაიონი და ამგვარად 11 მაისს დილისათვის შეიძლება ითქვას, რომ ხანძარი საბოლოოდ ჩამქრალი იყო.

თბილისიდან გასვლისას ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ქუთაისში ვიქნებოდით საღამოს 5—6 საათისათვის, მაგრამ სამწუხაროდ რკინის გზაზე იმდენი დაბრკოლება გადაგვეღობა, რომ შეუძლებელი გახდა ქუთაისში დანიშნულ დროზე ჩასვლა.

11—12 და 13 მაისს ქუთაისში მუშაობდა მარტო თბილისის ცეცხლის მქრობელთა რაზმი, რომელიც აწარმოებდა ცეცხლისაგან ნახევრად გადარჩენილ ქვის შენობების დანგრევას, რადგან მათ დატოვებას შესაძლებელი იყო დიდი მსხვერპლიც მოჰყოლოდა, მიწის ძვრისა ან დიდი ქარის შემთხვევაში.

# პარტიული აპარატისა და პარტიული მუშაობის რაციონალიზაცია

### საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სამდივნოს ა.-წ. 9 მაისის დადგენილება

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სამდივნომ მოისმინა მოხსენება პარტიული აპარატისა და პარტიული მუშაობის რაციონალიზაციის საკითხის შესახებ, აღნიშნავს, რომ პარტ მუშაობის და პარტხელმძღვანელობის არსებული სისტემა რთული სააღმშენებლო ამოცანების დროს საკმაოდ მოქნილი არ არის, როგორც პარტორგანიზაციის შემადგენელ ნაწილთა მთელი ყურადღების პარტიის ძირითად ამოცანების გარშემო შემოკრებაში, ისე ამოცანების დროიანად შესრულების საქმეში.

ცოცხალი შემოქმედ მასიურ მუშაობას და მეტადრე პარტიული მასების კულტურულ ზრდას დიდად აფერხებს: მთლიანი პერსპექტივის უქონლობა პარტკომებისა და არაპარტიულ ორგანიზაციათა ფრაქციების გეგმიან მუშაობაში; პარტაპარატის მისწრაფება სახელმწიფო ორგანოების მაგივრობის გაწევისაკენ; საკითხების გატარების ინსტანციების დიდი რაოდენობა; უნაყოფო სხდომები; თათბირების სიმრავლე; სისტემატიური დაგვიანება სხდომებსა და თათბირებზე; მათი უდროოდ დაწყება; რეგლამენტის შეუსრულებლობა; სხდომების გაჭიანურება; საკითხების დაქუცმაცება; პარტდატვირთვის არასწორი განაწილება; ქაღალდების სიმრავლე პარტორგანოებში (მეტადრე ქვედა ორგანოებში); ინფორმაციის საქმის მოუწესრიგებლობა და სხვა.

შემდეგისათვის ცეკა წინადადებას აძლევს ყველა პარტკომს, რომ პარტმუშაობისა და პარტაპარატის რაციონალიზაციის საქმეში გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. პარტკომებმა თავისი გეგმიანი მუშაობა შეუფარდონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების კალენდარულ ვადებს (კვარტალისა, ნახევარიწლის). თანახმად ამისა შემოღებულ იქნას გეგმიანი მუშაობის იგივე ვადები საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც (პროფკავშირები, გლეხკომები და სხვ.). გეგმები უნდა შესდგეს ერთი თვით ადრე შემდგომი საგეგმო პერიოდის დაწყებამდე; ქვედა პარტორგანიზაციებმა (თემკომებმა და უჯრედებმა) გეგმა უნდა შეადგინონ ორი კვირით ადრე. ც. კ.-ის გეგმა დაეგზავნოს სამაზრო და საოლქო კომიტეტებს ორი კვირით ადრე შემდგომი საგეგმო პერიოდის დაწყებამდე.

გეგმების დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ არაპარტიული ორგანიზაციების ფრაქციებმაც. ამასთანავე ერთად, პარტკომების გეგმების გავლენა მკაფიოდ უნდა ჩანდეს ქვემდგომი პარტორგანიზაციებისა და არაპარტიულ ორგანიზაციათა ფრაქციების გეგმებში (არაპარტიული ორგანიზაციების ფრაქციათა გეგმებში შეტანილ იქნას სათანადო საკითხები, რომლებიც პარტორგანოს გეგმაშია მოქცეული).

2. პარტკომებმა და ქვედა პარტორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მტკიცე გეგმის შემუშავებას, ამასთანავე უნდა აიცილონ გეგმის დატვირთვა იმ საკითხების დიდი რაოდენობით, რომლებიც უმეტეს წილად არა სრულდება. პარტკომების გეგმა არ უნდა იყოს მეტისმეტად ლაკონიური, არც მეტად გაჭიანურებული და ბუნდოვანი; მათი შედგენის დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი სქემით:

ა) პარტკომის გეგმის შესავალი ნაწილი, რომელმაც უნდა გაარკვიოს საგეგმო პერიოდის მთავარი საკითხები და რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ არაპარტიულ ორგანიზაციათა ფრაქციებმა, აგრეთვე ქვემდგომმა პარტორგანიზაციებმა, რომ მთლიანი პერსპექტივა შეიმუშაონ თავის საგეგმო მუშაობაში. ბ) პრეზიდიუმის გეგმა; გ) განყოფილებათა გეგმები, რომელნიც პრეზიდიუმის გეგმიდან უნდა გამომდინარეობდენ და ერთმანეთთან მტკიცედ იყვნენ შეთანხმებულნი; დ) პლენუმის მუშაობის საკითხების მოკლე ნუსხა პარტკომის საერთო გეგმიდან.

3. გეგმაში შეტანილ საკითხთა შესრულების ვადის განსაზღვრა (კალენდარის შედგენა) უნდა ხდებოდეს ყველა პირობისა და შესაძლებლობის აღრიცხვის საფუძველზე, ამასთანავე საჭიროა ყოველგვარი ზომების მიღება საკითხების თავის დროზე და ნამდვილად შესრულებისათვის.

4. მოწესრიგდეს შრომის სწორი განაწილება პარტიულ ორგანოებსა და საბჭოთა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ ხელმძღვანელ ორგანოებს შორის, ისე, რომ თავიდან აცილებულ იქნას პარალელიზმი მუშაობაში და ადგილი არ ჰქონდეს სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების შესრულებას პარტაპარატის მიერ; უფრო მეტად იქნან ჩაბმულნი არაპარტიულ ორგანიზაციათა ფრაქციები, როგორც პარტიული ხელმძღვანელობის დამხმარე ნაწილები, მასალების დამზადებაში, საკითხების დამუშავებაში და პარტიული დირექტივების შესრულების შემოწმებაში.

ამასთანავე ერთად უნდა მოხერხდეს არაპარტიულ ორგანიზაციათა ფრაქციებზედ პასუხისმგებლობის დაკისრება, როგორც საგეგმო, ისე მუშაობის პროცესში აღძრული საკითხების დროიანად დასმისათვის პარტორგანიზაციების წინაშე. ც. კ.-ის საორგანიზაციო-განმანაწილებელმა განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს პარტიული წინადადებანი პარტკომების განსატვირთავად ისეთი საკითხების განხილვისაგან, რომლებიც საბოლოოდ უნდა გადასწყვიტონ არაპარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა ფრაქციებმა.

5. მაქსიმალურად შემცირდეს საკითხების გატარების ინსტანციების რაოდენობა; გაუქმდეს მთელი რიგი თათბირების და კომისიები სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან (აგიტპროპკოლეგია, საორგანიზაციო თათბირი, კოოპერატიული, საკლუბო, ანტირელიგიური და საშეფო კომისია), აგრეთვე მოსპობილ იქნას როგორც სისტემა, კომისიების გამოყოფა რეზოლუციების დასამუშავებლად; გაძლიერდეს პასუხისმგებლობა დავალებული მუშაობისათვის; თათბირები გამართონ ნამდვილად საჭირო შემთხვევებში და მხოლოდ იმ შემადგენლობით, რომელიც საჭიროა აღძრული საკითხის გადასაწყვეტად; აქ აღნიშნულ საფუძვლებზე მოხდეს ც. კ.-ის სათათბირო ორგანოების (აგიტპროპკოლეგია, საორგანიზაციო კოლეგია) რეორგანიზაცია; თათბირებისათვის წინდაწინვე მომზადდეს და მათ მონაწილეებს დაეგზავნოს ყველა საჭირო მასალა, ისე, რომ მონაწილენი თათბირზე მოვიდნენ დამზადებულის აზრით აღძრული საკითხის შესახებ და მისი გადაჭრა დაამთავრონ პირდაპირ პრეზიდიუმში გადასატანად.

6. გამოცხადდეს გადამჭრელი ბრძოლა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სხდომებისა და თათბირების დაგვიანებით გახსნა, ამ მიზნით დამგვიანებლების მიმართ უნდა გამოყენებულ იქნას პარტიულ სასჯელის უსასტიკესი ზომები. ყოველმხრივ უნდა ვცდილობდეთ რეგლამენტის დაცვას, სხდომების გაჭიანურების მოსპობას და სხვა. უნდა აღმოიფხვრას ერთისა და იმავე მოხსენების პარტკომის სხვადასხვა ინსტანციებში (თათბირი, პრეზიდიუმი, ბიურო, საერთო კრება და სხვ.), განხილვის სისტემა, აგრეთვე არ უნდა დაიკარგოს დრო ადრე მიცემულ დირექტივების ხელ-ახლად გამომუშავებაზე და მთავარი ყურადღება მიექცეს ამ დირექტივების შესრულების შემოწმებას.

7. შემცირდეს ცირკულიარების რიცხვი და შემოღებულ იქნას საერთო მითითებათა სისტემა, დირექტივები თავის დროზე იქნას დამუშავებული და დაგზავნილი, უნდა მოისპოს დაგვიანების ცალკე შემთხვევები; გაუმჯობესებულ იქნას ცირკულიარების დამუშავების ხარისხი და მოისპოს ცირკულიარების მრავალსიტყვაობა, გაჭიანურება, და ზოგჯერ გაურკვევლობაც; პარტორგანიზაციებმა, განსაკუთრებით ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებმა (უჯრედებმა, თემკომებმა) თავის დროზე უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში, მოსპონ ცირკულიარების დაგროვებისა და ერთბაშად განხილვის პრაქტიკა.

8. პარტკომების ინსტრუქტორთა გამოკვლევითი მუშაობა უმთავრესად უნდა მოხმარდეს ადგილობრივ პარტორგანიზაციებისათვის კონკრეტულ ინსტრუქციების მიცემას პარტიის იმ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, რომლებიც შესრულებული არ არის. შეიქმნას უსასყიდლო ინსტრუქტორების ფართო ინსტიტუტი; ეს ინსტრუქტორები ჩაბმული იქნან პარტიის გადაწყვეტილებათა შესამოწმებელ მუშაობაში, ცალკე საკითხების დამუშავებაში და გამოკვლევებში, უნდა ვეცადოთ, რომ უფასო ინსტრუქტორთა ჯეროვნად გამოყენებამ ხელი არ შეუშალოს მათ პირდაპირ მუშაობას. ამასთან ერთად უჯამაგირო ინსტრუქტორები უნდა განთავისუფლდენ ყოველივე სხვა დატვირთვისაგან.

9. სისტემად უნდა იქნას შემოღებული, რომ ქვედასაფეხურის პარტორგანიზაციებისათვის (განსაკუთრებით ქალაქის უჯრედებისათვის) პარტიის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების დავალება, რომლებიც შეეხება როგორც პარტიულ საკითხებს, ისე დაწესებულებებს. არაპარტიულ ორგანოების ფრაქციების მიერ პარტკომებში მოხსენებების გაკეთების დროს, თანამოხსენებათა გაკეთება პარტდირექტივების შესრულების საკითხებზე უნდა დაევალოს უჯრედების ბიუროებს.

10. ცეკას საორგანიზაციო-განმანაწილებელმა განყოფილებამ შეიმუშაოს სამაზრო და საოლქო კომიტეტის საინფორმაციო ქვეგანყოფილების მუშაობის ერთიანი გამარტივებული სისტემა; სამაზრო და საოლქო კომიტეტების საინფორმაციო ქვეგანყოფილებების მუშაობის გეგმები ვადებისა და შინაარსის მხრივ დაკავშირებულ იქნას ცეკას საინფორმაციო განყოფილების გეგმასთან და ყურადღება მიექცეს ამ გეგმების თავის დროზე შესრულებას; პარტიულ კომიტეტების და განსაკუთრებით ცეკას განყოფილებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ საინფორმაციო ქვეგანყოფილებებისათვის გეგმის გარეშე და სასწრაფო დავალებათა მიცემა. პარტკომებმა უნდა შექმნან უსასყიდლო—ინფორმატორთა (პარტიის წევრთა) ფართო ინსტიტუტი არაპარტიულ ორგანიზაციებში და ყოველმხრივ გამოიყენონ ისინი მასალების მომზადებაში და მიმოხილვათა შედგენაში, აგრეთვე სისტემატიურად მიიზიდონ ამ მუშაობაში ის კომუნისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებს; ცეკას და პარტკომების საინფორმაციო ქვეგანყოფილებებმა უნდა მოსპონ არაპარტიულ ორგანიზაციების ფრაქციების მასალებისა და მიმოხილვების თავისი ძალებით პოლიტიკური თვალსაზრისით გადამუშავების პრაქტიკა და ყოველმხრივ უნდა ცდილობდნენ, რომ არაპარტიულ ორგანიზაციების ფრაქციები ადგენდნენ კრიტიკული და პოლიტიკური თვალსაზრისით უკვე განხილულ მასალებს და მიმოხილვებს. გაუმჯობესდეს სამაზრო და საოლქო კომიტეტების საინფორმაციო მასალების ღირსება, ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ცნობებისა და დასკვნების ზოგად და გაურკვეველ ხასიათს მუშაობის ცალკე დარგებში; საერთო ცნობების შედგენა მუშაობის ზოგიერთ ცალკე დარგებზე უნდა ხდებოდეს არჩევითი გამოკვლევის საშუალებით, რომელიც უნდა ტარდებოდეს ჯამაგირიან და უსასყიდლო ინსტრუქტორებისა და ინფორმატორების ძალებით. ცეკას და პარტკომების საინფორმაციო ქვეგანყოფილებების მუშაობაში სისტემად უნდა იქნას შემოღებული გამოსაკვლევი ორგანიზაციების წინასწარი ანალიზის მოსახდენად საჭირო მასალების თავის დროზე მომზადება (ერთი თვით წინ გამოკვლევამდე). ცეკას საინფორმაციო განყოფილებამ თავისი მუშაობის პრაქტიკაში უნდა მოსპოს შემდეგი მასალების მიღება: პროფკავშირების გამგეობებისა და ფრაქციების ოქმების (გარდა იმ ოქმებისა, რომლებიც შეიცავს უმნიშვნელოვანეს პრინციპიალურ საკითხებს) და სამთვიურ პოლიტ-ეკონომიურ მიმოხილვების მიღება სამაზრო კომიტეტებისაგან, სამაზრო და საოლქო კომიტეტების საინფორმაციო ქვეგანყოფილებებმა უნდა მოსპონ პროფკავშირების გამგეობათა კომფრაქციათა ოქმების (გარდა იმ ოქმებისა, რომლებიც შეიცავს უმნიშვნელოვანეს პრინციპიალურ საკითხებს) მიღება. ყველა მასალების, რომლებიც იგზავნება განსახილველად პარტკომიტეტებში, პირველად უნდა მოვიდეს ცეკას და პარტკომების საინფორმაციო ქვეგანყოფილებაში.

11. კატეგორიულად აიკრძალოს იმ უმუშევარ პარტიულების განაწილება, რომლებიც არ შედიან პარტკომების ნომენკლატურაში. საალრიცხვო-განმანაწილებელმა განყოფილებებმა მთავარი ყურადღება მიაქციონ მუშაკების შესწავლასა და გეგმიან განაწილებას და აგრეთვე საუწყებო აღრიცხვის გაუმჯობესებას. მუშაკთა შესასწავლი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს საუწყებო აღრიცხვაში. ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელმა განყოფილებამ უნდა შესწყვიტოს ცნობების მიღება და დამუშავება პარტიულ ხაზით, მაგალითად შემდეგი მასალისა: უმუშევართა შემადგენლობა, დაწესებულებების სოციალური და ეროვნული შემადგენლობა, დაწინაურებულთა შემადგენლობა, სპეციალისტების შემადგენლობა და სხ.

ამ საკითხების შესწავლასა და დამუშავებაში ჩაბმულ იქნან შემდეგი ორგანიზაციები: ა) უმუშევართა შემადგენლობის შესწავლაში—შრომის ბირჟა, ბ) დაწესებულების სოციალური და ეროვნული შემადგენლობის შესწავლაში — ცენტრალურ სტატისტიკური სამმართველო, გ) სპეციალისტების შესწავლა და აღრიცხვა უნდა აწარმოებდეს არაპარტიულ ორგანიზაციების ფრაქციებისა და საუწყებო-საალრიცხვო განყოფილებების საშუალებით, დ) დაწინაურებულთა აღრიცხვა უნდა დაევალოს საქართველოს პროფსაბჭოს.

12. მაზრკომებისა და ოლქკომების საერთო განყოფილებებთან შემოღებულ იქნეს საქმის წარმოების მთლიანი საბარათო სისტემა. უნდა მოისპოს მაზრკომებისა და ოლქკომების საინფორმაციო და საერთო განყოფილებებს შორის პარალელიზმი საქმეების (აგიტპროპთათბირების, ორგთათბირების და პრეზიდიუმის ცირკულიარები, ოქმები და სხ.) შედგენასა და შენახვაში, საქმეები უნდა ინახებოდეს საინფორმაციო ქვეგანყოფილებებში. მოისპოს საქმეების შედგენა და შენახვა ცეკას განყოფილებებში და ასეთები გადაეცეს საინფორმაციო ქვეგანყოფილებას. ცეკას პრეზიდიუმისა და სამდივნოს მიერ დამტკიცებული ყველა ცირკულიარები და პრაქტიკული წინადადებანი მაზრკომებსა და ოლქკომებს უნდა დაეგზავნოს ოქმებთან ერთად; განყოფილებები კი ასეთების გაგზავნისაგან უნდა განთავისუფლდენ, თემკომებისა, სოფლის უჯრედებისა და ქალაქის უჯრედებისათვის (თვითეულის ჯგუფისათვის ცალკე) შემუშავდეს საქმის წარმოების ერთიანი სისტემა. ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებში შემოღებულ იქნეს საფინანსო ანგარიშების მთლიანი სისტემა.

13. თბილისის კომიტეტმა, მაზრკომებმა და ოლქკომებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ: უჯრედების, მათი ორგანოების და წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციების სხდომების მოწესრიგებას, იმას, თუ რამდენად სწორ ხელმძღვანელობას უწევენ უჯრედები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარმოებებსა და დაწესებულებებში, თვალყური ადევნონ, რომ უჯრედებმა არ მიითვისონ ადგილკომებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ფუნქციები, ყურადღება მიექცეს უჯრედების გეგმიანი მუშაობის გაუმჯობესებას, საკითხების დაქუცმაცების მოსპობას, სხდომების თავის დროზე გახსნას, რეგლამენტის შესრულებას, პარტდატვირთვის თანაბრად განაწილებას და ამასთან დაკავშირებით დაკისრებულ საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას და სხვ.

# საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

## „განიარაღებაზე" ლაპარაკი, ზოგიერთი შედეგები

ბურჟუაზიული ქვეყნების არმიების რიცხობრივ შემადგენლობის ზრდასა და მოსახლეობის სამხედრო მომზადების სისტემის გაფართოებასთან ერთად, იზრდება ამ ქვეყნების შეიარაღებულ ძალების ტექნიკური საშუალებები.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი, სადაც ნაჩვენებია კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღების მდგომარეობა 1913 წელში და ეხლა, მოწმობს მას, რომ თანამედროვე არმიების ტექნიკური ძლიერება გაზრდილია თითქმის ათჯერ.

| სახელმწიფო | ტყვიამფრქვევი | | ზარბაზანი | | ტანკი | თვით მფრინავი | | სამხედრო გემი აშენებული ომის შემდეგ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1913 | 1927 | 1913 | 1927 | 1927 | 1913 | 1927 | 1913 | 1927 |
| საფრანგეთი | 1900 | 34.000 | 3000 | 3300 | 2.500 | 240 | 1640 | 27 | 72 |
| ინგლისი | 1300 | 15.000 | — | 1600 | 300 | 50 | 700 | 209 | 335 |
| იტალია | — | 7000 | 1600 | 2200 | 120 | 160 | 800 | 28 | 54 |
| შეერთებული შტატები | 1.400 | 22.000 | 660 | 2.100 | 600 | 20 | 700 | 307 | 360 |
| ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები დასავლეთით | — | 15.000 | — | 3100 | 400 | — | 600 | — | — |

შენიშვნა 1913 წელში ტანკები არ იყო.

ცხრილში არ არის შეტანილი ცნობები ქიმიური შეიარაღების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხელშეკრულებისა, რომლის ძალით აკრძალულია მომავალში ქიმიური ომის წარმოება, შეიარაღების ეს სახე საფუძვლიანად ისწავლება და უმჯობესდება საზღვარგარეთის სახელმწიფოების ლაბორატორიებსა და სამხედრო პოლიგონებზე.

ჩვენამდის აღწევს ცალკე ცნობები ქიმიური ომისათვის გრანდიოზულ მზადების შესახებ. მაგ., აღნუსხულია, რომ ავიაციის მიერ ქიმიური საშუალებების გამოყენებით, ავიაციის გამანადგურებელი ძალა დიდდება 60 პროცენტიდან 800 პროცენტამდე.

ავიაციისა და ტანკების მნიშვნელოვანი მიღწევები, არმიების გაძლიერება მათი მოტორიზაციაზე გადასვლით, თანამედროვე იარაღის გაუმჯობესება, ყველა ეს, თავისი მხრივ, აძლიერებს შეიარაღების ხვედრითი წონის, შედარებით, არამც თუ ომამდე არსებულ მდგომარეობასთან, არამედ მასთან, რაც იყო ამ 2—3 წლის წინათ.

თუ შევადარებთ ქვეითი დივიზიის იმ სახეს, რომელიც იყო ომამდე, იმ დივიზიას, რომელიც არსებობს დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, დავინახავთ რომ, იმ დროს, როცა ამ დივიზიების რიცხვობრივი შემადგენლობა დარჩა თითქმის უცვლელად, მათი ცეცხლითი ძალა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ქვეითი დივიზიის რიცხვობრივი შემადგენლობა და ცეცხლითი ძალა

| სახელმწიფო | 1914 | | | | | | 1928 | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რ. ცხობრივ შემ. ათასობით | ზარბაზანი | | ტყვიამფრქვევი | | | რიცხ. შემადგ. ათასობით | ზარბაზანი | | ტყვიამფრქვევი | | |
| | | ქვეითი | საველე | მსუბუქი | მძიმე | სულ | | ქვეითი | საველე | მსუბუქი | მძიმე | სულ |
| საფრანგეთი | 16 | — | 36 | — | 24 | 24 | 13 | 18 | 48 | 331 | 152 | 483 |
| შეერთებული შტატები | 18 | — | 36 | — | 24 | 24 | 20 | 34 | 48 | 792 | 155 | 947 |

ბუნებრივია, რომ შეიარაღების ზრდა შესაძლებელია მაშინ, როდესაც პარალელურად იზრდება ამა თუ იმ ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი. ამას ამტკიცებენ ქვემო მოყვანილი ციფრები,

მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტი (მილიონებში)

| სახელმწიფო | 1913 | 1924 | 1928 |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 349 | 302 | 345 |
| ინგლისი | 430 | — | 573 |
| იტალია | 82 | 136 | 203[1] |
| შეერთებული შტატები | 257 | 583 | 781 |
| ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები დასავლეთით | — | 165 | 192[1] |

[1] 1927 წელში.

ეს ცხრილი გვიჩვენებს სამხედრო ხარჯების აშკარა და საგრძნობ ზრდას შედარებით 1913 წელთან. შეერთებულ შტატებსა და იტალიაში ხარჯები გაიზარდა თითქმის სამჯერ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოყვანილი მხოლოდ ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტები, რომლებშიაც არ შედის ისეთი ხარჯები, როგორიცაა დამატებითი თანხები, გაღებული ინგლისის მიერ 1927 წელში სამხედრო ოპერაციებისათვის ჩინეთში (ეს თანხა უდრის 8 მილ. გირვანქა სტერლინგს), საფრანგეთის სამხედრო ხარჯები სხვადასხვა სამინისტროების ბიუჯეტებით და სხვ. ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია გამორკვევა იმისა, თუ რამდენი იხარჯება კაპიტალისტურ სახელმწიფოების შეიარაღებაზე. ცოტა თუ ბევრ გულახდილობას იჩენს ამ საქმეში შეერთებული შტატები, რომლებიც აშკარად და უშიშრად აქვეყნებენ ცნობებს შეიარაღების მიმდინარეობის შესახებ.

ამ წერილში მოყვანილი ციფრები აშკარად ლაპარაკობენ კაპიტალისტების „განიარაღებაზე", რომლებიც სიტყვით მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოებს შეამცირონ შეიარაღება და თვითონ კი საქმით, გაფართოებით ემზადებიან უსაშინელეს და სისხლის მღვრელ საერთაშორისო ომისათვის.

**დ. ა.**

## გასამხედროების ფრონტზე

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობა და, მასთან დაკავშირებით, მოსახლეობის გასამხედროების საქმე ოზურგეთის მაზრაში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. არსებობდა ავიაქიმის უჯრედები. სხვადასხვა ხასიათის წრეები, მაგრამ ამ უკანასკნელების მუშაობა იყო ძალიან სუსტი და მათში მშრომელი გლეხობა, მუშები და ახალგაზრდობა არ იყო ჩაბმული მთლიანად.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა გამოსწორებულია და მრავალი ნაკლი აცილებულია თავიდან თავდაცვა-ავიაქიმის ოზურგეთის ორგანიზაციას ამჟამად აქვს 61 უჯრედი, აქედან მუშური უჯრედი 4, სამხედრო 3, მოწაფეთა—3, 51 უჯრედი კი არსებობს სოფლად და სხვადასხვა დაწესებულებებში. ამ უჯრედების ირგვლივ დარაზმულია 3.013 წევრი, რომელთა შორის 1223 არის პარტიის და კომკავშირის წევრი, 1790—უპარტო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალ[illegible]ი იღებენ მხურვალე მონაწილეობას თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში, რასაც მოწმობს ის, რომ ორგანიზაციაში მათი რიცხვი უდრის 1215.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ჩამოყალიბებულია აქვს 9 სამხედრო-სასროლო და პირველი დახმარების წრე, სადაც წევრები სწავლობენ სროლის საქმეს და დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენას.

მაზრის ქალაქებსა და სოფლებში მოწყობილია კურსები, სადაც ისწავლება სამხედრო სანიტარული საქმე, კურსები მოისმინა მრავალმა ახალგაზრდამ.

ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ქარხანასთან დაარსებულია ავიაქიმის ორი უჯრედი, რომლებიც მუშაობენ დამაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ თავდაცვა ავიაქიმს არა აქვს გაბმული სათანადო კავშირი ადგილობრივ სამხედრო ნაწილთან, რაც საგრძნობლად აფერხებს მუშაობას.

## სამხედრო ლაშქრობა

12 და 13 მაისს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრ. პარტსკოლამ ჩაატარა სამხედრო ლაშქრობა ნავთლუღ-გაზიანის მიდამოებში, ლაშქრობას ხელმძღვანელობდენ №-ქართ. მსრ. ლეგიონის სკოლის მეთაურები, ლაშქრობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ხსენებულ ლეგიონის სკოლის კურსანტები.

ლაშქრობის მიზანი იყო იმ სამხედრო ცოდნის პრაქტიკაზე გამოყენება, რომელიც შეიძინეს პარტსკოლის კურსანტებმა ზამთრის განმავლობაში. კურსანტები ამასთანავე გაეცვნენ ტაქტიკურ მოძრაობას, მოშხამულ გაზების გამოყენებას ბრძოლაში, იერიშის და დაცვის წესებს და სხვა.

ლაშქრობა ჩატარდა დიდი ხალისით, კურსანტების გარდა, ლაშქრობაში მონაწილეობდა პარტსკოლის ლექტორთა მთელი შემადგენლობა.

# პარტიული ცხოვრება

## ამხ. სარქისმა კავშირი გასწყვიტა ოპოზიციასთან

მოსკოვი, 14 მაისი. დღევანდელ „პრავდა"-ში გამოქვეყნებულია ამხ. სარქისის წერილი, რომელიც მან გამოგზავნა მინუსინსკიდან. წერილი გამოგზავნილია ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში, ხოლო ასლი ს. კ. პ. (ბ) ცეკაში.

„ოპოზიციის ძირითადი შეცდომა და მაშასადამე ჩემი ძირითადი შეცდომა—ნათქვამია წერილში,—იყო ის შეფასება, რომელსაც ოპოზიცია იძლეოდა პარტხელმძღვანელობისა, და კომინტერნის ხელმძღვანელობის შესახებ. ეს კოორდინალური შეცდომა ჩამოყალიბებულ იქნა ოპოზიციის „პლატფორმაში". და დახასიათება, რომელიც ოპოზიციამ მისცა პარტიის ხელმძღვანელობას, კომინტერნის ხელმძღვანელობას და ხელმძღვანელობას საბჭოთა სახელმწიფოსადმი, წარმოადგენდა იმ საძირკველს, რომელსაც ეყრდნობოდა მთელი ოპოზიცია საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნში, ოპოზიციის მთელი ბრძოლა საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ და ოპოზიციის მთელი ფრაქციული ორგანიზაცია საკავშირო კომპარტიისა და კომინტერნის შიგნით. ეს დახასიათება შეცდარი და არასწორი აღმოჩნდა.

მთელი შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით ყრილობის შემდეგ, აშკარავებდა და აშკარავებს, რომ ოპოზიციის პლატფორმის ძირითადი დებულებები შეცდარია.

ოპოზიციის ძირითადი შეცდომა ამჟამად ნათელია. მთელი ოპოზიციის ამ შეცდომას და მაშასადამე ჩემს შეცდომას მე ვცნობ უყოყმანოთ ყველა აქედან გამომდინარე დასკვნებით (ოპოზიციასთან კავშირის გაწყვეტა).

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში—ახალი სიძნელეები წამოიჭრა. მოსალოდნელია დიდი ბრძოლა. საერთაშორისო ბურჟუაზია უკვე აქტიურათ ერევა ამ ბრძოლაში. ეს განსაკუთრებით მწვავედ სვამს ოპოზიციონერობისათვის პარტიიდან გამორიცხულთა წინაშე საკითხს პარტიაში დაუყოვნებლივ, გადაჭრით და პატიოსნად დაბრუნების შესახებ ან თავისი შეცდომის აღიარება და პარტიაში დაბრუნება, ან საბოლოოთ გაწყვეტა პარტიისგან.

მივმართავ რა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და ცეკას ვსთხოვ მათ აღმადგინონ პარტიის წევრის უფლებებში და მომცენ შესაძლებლობა განვაგრძო შეწყვეტილი მუშაობა—ბრძოლა საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. თავისთავად ცხადია, ყველა იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ საკავშირო კომპარტიის წევრის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ პოზიციას და უფლება-მოვალეობას, ჩემთვის აუცილებლად სავალდებულოა და სახელმძღვანელოა და გადაუხრელად უნდა იქნეს შესრულებული ჩემს მიერ.

პარტიის მთლიანობის შენარჩუნება და „დიქტატურის უმაღლესი პრინციპის—მუშათა და გლეხთა კავშირის" შეუბღალავი დაცვა ჩემთვის აბსოლიუტურათ უდავოა. ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად მე ვაწარმოებდი ოპოზიციონურ ბრძოლას, ვურჩევ აგრეთვე მტკიცედ და გადაჭრით დაადგენ ამავე გზას, რომელიც მიდის უკან, ლენინის პარტიისაკენ".

## ამხ. გორიანოს განცხადება

„პრავდა"-ში მოთავსებულია პარტიის ყოფილ წევრის გორიანის განცხადება, რომელიც გამოგზავნილია მინუსინსკიდან საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მისამართით.

„1927 წლის დეკემბერში—ნათქვამია წერილში,—მე გამორიცხული ვიყავი პარტიიდან ოპოზიციონერობისათვის ამჟამად დარწმუნებული ვარ რა, რომ ის პოზიცია, რომელსაც მე ვიცავდი ცეკას წინააღმდეგ ბრძოლაში, შემცდარია, მე სავსებით ვეთანხმები ამხ. სარქისის განცხადებას და ვსთხოვ ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას აღმადგინოს პარტიის წევრის უფლებებში".

ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა აგრეთვე ამხ. ეშბის და ბიმხონის განცხადებები ოპოზიციასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. (ადს).

## ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმში

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის შემადგენლობა:

წევრები: ამხ. ა. ნაზარეტიანი, გ. სტურუა, [illegible], ა. სუმბატიანი, ა. დოლიძე, გ. სტურუა, ნ. ალაჯალოვა, მ. პლეშაკოვა, ი. დოვლათოვა, ს. გორობჩენკო, შ. ამირხანიანი, მინას სარქისიანი, მ. ნარიმანოვი, ვარძელია.

კანდიდატები: ამხ. ამირზაბეკიანი, ს. ვარდანიანი, მ. კვარაცხელია, ვ. ა. გუზინი, ი. ჯაფარიძე.

## შთაგონებით და არა იძულებით

ანტირელიგიურ პროპაგანდის შესახებ საკმაოდ ბევრი დაიწერა და ითქვა. პარტიის ხაზი ამ საკითხში უკვე გარკვეულია, ის მოკლედ გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „არა იძულებით, არამედ შთაგონებით". სამწუხაროთ არიან კიდევ ისეთები, რომლებმაც ეს ჯერ არ იციან, რომელნიც თავიანთ ანტირელიგიურ გატაცებით არაფერთან საშუალებების წინაშე არ იხევენ უკან და ამრიგად დათვურ სამსახურს უწევენ იმავე საქმეს, რომლის გაკეთებასაც თვითონვე გულწრფელად ცდილობენ.

ამის მაჩვენებელია ის მაგალითები, რომლებიც მოხდა ქუთაისის მაზრის სოფელ ნამოხვანში. აქაურ კომკავშირლებმა ერთი [illegible] აღდგომის დღეებში დაუშლიათ გათხოვილ ქალიშვილთან სტუმრად მისვლა გლეხ გიორგი ქიცარიძეს. ამავე მაზრის სოფელ [illegible] ახალგაზრდებმა სცადეს აეკრძალათ [illegible] გოჭისა და ქათმის დაკვლა „აღდგომის" დღესასწაულებზე.

თვითთავად ცხადია, რომ ამგვარი მეთოდით გატარებული ანტირელიგიური კამპანია სრულიად წინააღმდეგ შედეგებს მოგვცემს. ჩვენ თავიდანვე ისეთ ხაზს ვატარებდით და უნდა გავატაროთ, რომ ანტირელიგიურ კამპანიაში საჭიროა დარწმუნების მეთოდით მუშაობა. ცხადია, რომ ეს „დარწმუნება" ბევრ შემთხვევაში პარტიისა და კომკავშირის ბევრ წევრებს არ ეხერხებათ, რადგან დარწმუნების მეთოდით მუშაობა მოითხოვს თვით დამრწმუნებლისაგან კულტურულ მომზადებას, ანტირელიგიურ კამპანიის საკითხების ცოდნას და ერთგვარ პედაგოგიურ ტაქტსაც კი. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კომკავშირის ან პარტიის იმ წევრებმა, რომელთაც არ შესწევთ ძალა ამგვარი საშუალებით ებრძოლონ სარწმუნოების მავნებლობას, ხელი უნდა აიღონ ანტირელიგიურ კამპანიაზე, ან უხეში ძალით უნდა შეეცადონ მის გატარებას.

სრულიადაც არა. ანტირელიგიურ მუშაობის გაღრმავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. კომუნისტმა და კომკავშირელმა თავისი პირადი ცხოვრებით უნდა დაარწმუნოს უპარტიო მასა რელიგიის მავნებლობაში. პირველ ყოვლისა ის უნდა შეეცადოს სავსებით დააღწიოს თავი არა თუ საეკლესიო დღესასწაულების უქმობას, არამედ ყოველგვარ მავნე ჩვეულებებს და ტრადიციებს.

ამასთან ერთად ანტირელიგიურ პროპაგანდის უძლიერეს იარაღს წარმოადგენს კულტურული დასვენების ორგანიზაცია. იმის მაგივრად, რომ ადმინისტრატიული წესით აუკრძალო გლეხს ქათმის დაკვლა, სჯობს გააჩაღო მუშაობა წარმოდგენების გასამართავად, კინოსურათის მოსაწყობად, ფეხბურთის, მომღერალთა და მოცეკვავეთა ჯგუფების შესადგენად, ექსკურსიების ჩასატარებლად და სხვა. აქ ყოველ პარტიულსა და კომკავშირელს შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი. აქეთკენ უნდა იყოს ყოველთვის მიმართული ქვედა საფეხურის პარტიულ ორგანიზაციების ყურადღება ანტირელიგიურ პროპაგანდის წარმოების დროს. იძულებითი მეთოდი, „ქათმის დაკვლის" პრაქტიკა კი უნდა ვაინდევნოთ ანტირელიგიურ მუშაობიდან ერთხელ და სამუდამოდ.

**სტ—რი.**

## ბიუროს გადარჩევა

### კოლოფების ქარხანაში

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალის" პარტუჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. როტინოვმა.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კამათში გამოდიოდნენ ამხ. [illegible], ნასყიდაშვილი, ბერიშვილი და სხვ. ისინი ეხებიან ბიუროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს:

— სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მუშა-გამომგონებლობას.

— საჭიროა ხელმძღვანელობის გაძლიერება საწარმოო თათბირისა და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობისადმი.

— ბიურომ უნდა მიიღოს ზომები პიონერთა კოლექტივის დასაარსებლად.

— საჭიროა პარტიულმა ამხანაგებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაზეთის მუშაობაში.

— კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებული ამხანაგები პასიურობას იჩენენ. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

— პარტდისციპლინა ხშირად ირღვევა; ჯერ კრება არ გათავებულა და ამხანაგების ნაწილი უკვე სახლში მიდის. ეს დაუშვებელია;

— კოლექტიურ ხელშეკრულების გადაბეჭდვის შემდეგ, ზოგიერთი მუხლი აღმოჩნდა გამოტოვებული, ბიურომ თავის დროზე უნდა მიიღოს ზომები ამის წინააღმდეგ.

— შემფასებელ საკონფლიქტო კომისია საქმეებს აჭიანურებს; დროზე არ არჩევს მუშების განცხადებებს;

— ქარხანაში მასიურ-კულტურული მუშაობა აუცილებლად უნდა გაძლიერდეს—[illegible] ორატორიები.

კრებამ ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა და მომავალი მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, გამოიტანა პრაქტიკული წინადადებები.

დასასრულ, მოხდა ახალი ბიუროს არჩევა.

**ჯ—ლი.**

## კოლმეურნეობათა მუშაობის შესახებ

(საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილება)

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა, მოისმინა რა მოხსენება თბილისის მაზრის კოლექტიურ მეურნეობათა შესახებ, აღნიშნა შემდეგი:

ა) პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შემდეგ (სესხის მიცემა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის შექმნა და სხ.) ჩვენ ვამჩნევთ მნიშვნელოვან გარდატეხას მშრომელ გლეხობაში და მეტ მისწრაფებას კოლექტიურ მეურნეობათა შექმნისაკენ. არსებულ კოლექტიურ მეურნეობებში უპირატესი მდგომარეობა აქვთ ღარიბთა მეურნეობებს.

მიუხედავად ამისა, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მაზრის კოლექტიური მეურნეობანი დღემდე მოკლებული იყვნენ ხელმძღვანელობას როგორც ადგილობრივი პარტიული, ისე კოოპერატიული ორგანიზაციების მხრივ და კოლექტიური მეურნეობათა მოწყობა სტიქიური ხასიათს ატარებდა.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოლექტიური მეურნეობანი მოეწყო ორი-სამი წლის წინედ, მათი სამეურნეო მუშაობა სარგებლიანობის მხრივ ჯერ კიდევ ვერ არის კარგად დაყენებული, კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობის შინაარსი და გეგმები არ არის დაკავშირებული სათანადო რაიონების ეკონომიურ და ნიადაგის პირობებთან, რის გამოც კოლექტიური მეურნეობის საორგანიზაციო მშენებლობა და შემოსავლიანობა მაზრაში არ განსხვავდება გლეხის ინდივიდუალური მეურნეობისაგან.

გ) უარყოფითი მოვლენები მანქანების გამოყენების დარგში, რომლებსაც ადგილი აქვს კოლექტიურ მეურნეობათა ცხოვრებაში, დიდი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეურჩევლობა, დაუტვირთველობა და არა რენტაბელობა აბრკოლებს სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი, ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, აუცილებლად სთვლის შემდეგ ღონისძიებათა ჩატარებას:

1. წინადადება მიეცეს თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებას კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრთან ერთად შეისწავლოს ცალკე რაიონების ნიადაგის და კლიმატიური პირობები, იმ მიზნით, რომ აწეულ იქნას კოლექტიურ მეურნეობათა სარგებლიანობა (რენტაბელობა), საქონლიანობის და გავრცელებულ იქნას რაიონისათვის უფრო სასარგებლო და უფრო შემოსავლიანი კულტურები.

2. წინადადება მიეცეს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს შეუდგეს წლიური სამეურნეო გეგმების შედგენას ყოველი კოლექტიური მეურნეობისათვის ცალ-ცალკე.

3. კოლექტიურ მეურნეობათა ყველა საჭიროება მომავალში უნდა მოიწყოს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა, პარტიული ორგანიზაციის და კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობით, რათა კოლექტიურ მეურნეობათა შემადგენლობა დაზღვეულ იქნას არასასურველი სოციალური ელემენტებისაგან ერთის მხრით, და მეორეს მხრით, კოლექტიური მეურნეობა თავისი შინაარსით, შეეფერებოდეს ამა თუ იმ ტიპის კოლექტიური მეურნეობის წესდებას.

ამასთან ერთად პარტორგანოებს დაევალოს კოლექტიურ მეურნეობათა შექმნის საქმეში ჩააბან კომპარტიის (ბ) წევრები, კომკავშირელები და მშრომელი ქალები.

4. რაიონების აგრონომებმა თავის დროზე უნდა აღმოუჩინონ დახმარება და გაუწიონ ხელმძღვანელობა კოლექტიურ მეურნეობებს სამეურნეო გეგმის, შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების და სხ. საქმეში.

5. დაევალოს სადგილ-მამულო განყოფილებას მიწად-მოწყობის კამპანია ყველა კოლექტიურ მეურნეობებში დაამთავროს ა.-წ. 1 ოქტომბრამდე.

6. ახალი კოლექტიური მეურნეობის მოწყობის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიურ მეურნეობის დამაარსებელთა რიცხვის საჭირო მინიმუმის გადიდებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისთვის პოლიტიკური მეურნეობის შექმნისა და არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცების შესაძლებლობა.

7. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანგარიშების საქმის დაყენებას კოლექტიურ მეურნეობებში, რისთვისაც წინადადება მიეცეს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს ანგარიშმწარმოებლის აპარატის საშუალებით გაუწიონ დახმარება ანგარიშების საქმის დაყენებაში.

8. კრედიტების მიცემა კოლექტიურ მეურნეობებზე როგორც რაიონებში, ისე ცენტრის მხრივ მომავალში აუცილებლად უნდა იქნას დაკავშირებული სამეურნეო გეგმასთან.

9. წინადადება მიეცეს აგიტპროპს დაამუშაოს კოლექტიურ მეურნეობათა წევრებს შორის კულტურული მუშაობის ფორმები და საკითხები.

10. მანქანებისა და იარაღების შეძენა უნდა სწარმოებდეს სადგილ-მამულო განყოფილებისა და სათანადო სპეციალისტების დასკვნით. აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ზომები ტრაქტორების სავსებით გამოყენებისათვის (წისქვილების, ხე-ტყის სახერხი ქარხნების მოწყობა და სხ.) და ამასთან დაკავშირებით სასწრაფოდ იქნას მოწესრიგებული ტრაქტორისტების სათბობი მასალის მიწოდების საქმე.

11. კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ არსებული სამანქანო ამხანაგობანი თანდათანობით იქნან გადაყვანილი მიწის საზოგადოებრივად დამმუშავებელ ამხანაგობის, ანუ არტელის წესდებაზე. დაევალოს სადგილ-მამულო განყოფილებას მოაწყოს მოკლევადიანი კურსები ტრაქტორისტების მოსამზადებლად კოლ. მეურნეობების წევრთაგან.

12. დაევალოს კოლმეურნეობათა სექციებს, სისტემატიური ხელმძღვანელობის მიზნით, თბილისის მაზრის კოლმეურნეობათათვის გამოყოს ერთი ინსტრუქტორი. წინადადება მიეცეს სადგილ-მამულო განყოფილებას იყოლიოს ერთი აგრონომი სპეციალურად კოლმეურნეობათათვის.

# კომკავშირში

## კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 14 მაისი. 12 მაისის დილის სხდომაზე განხილულ იქნა ახალგაზრდობის შრომისა და განათლების საკითხები სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ამხ. რუხიმოვიჩმა აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის განხილვით კომკავშირის ყრილობაზე, ხორციელდება მე-15 პარტყრილობის დირექტივა რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირის ფართო მასების ჩაბმას ამ გეგმის განხილვაში. პირველი ამოცანაა—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. საერთო განათლების დარგში აუცილებელია ფართო მუშაობა გაიშალოს ოთხწლედებში სოფლებში და შვიდწლედებში ქალაქებში, სახალხო მეურნ. უმაღ. საბჭოს აზრით, ტექნიკის შემდგომი განვითარება მოითხოვს ისეთ მუშას, რომელიც უნდა იცნობდეს საწარმოო პროცესის ვიწრო ოპერაციას.

მეორე მომხსენებელმა ამხ. შერუდილოვმა გაილაშქრა ისეთი ტიპის მუშის შექმნის წინააღმდეგ, რომელსაც ეცოდინება საწარმოო პროცესის მხოლოდ ერთი ოპერაცია. მან გაილაშქრა აგრეთვე ფაბზავკოლების ქსელის შემცირების და სწავლების ვადის შემოკლების წინააღმდეგ.

სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. რუხიმოვიჩის და შერუდილოვის მოხსენებების გარშემო.

ამხ. სემაშკო, მიუთითებდა რა კულტურული რევოლუციისა და მუშა ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების კავშირზე, კომკავშირს მოუწოდებდა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებულ მუშაობისაკენ. (ადს).

# თბილისის ალმასკომის პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის აღმასკომის მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო: 1) თბილისის აღმასკომის 1927—28 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, 2) ზაჰესის საამშენებლო კომიტეტის ლიკვიდაცია, 3) დახმარება ქუთაისის დაზარალებულთ და მიმდინარე საკითხები.

### ბიუჯეტის დამტკიცება

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ლ. მესხმა, რომელმაც პლენუმს გააცნო საბიუჯეტო კომისიის მიერ თბილისის მაზრის და მაზრის თემების 1927—28 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები. როგორც აღნიშნული გვქონდა, ცვლილებების შემდეგ ყველა ბიუჯეტების საერთო შემოსავლის ნაწილი უდრის — 24.457.262 მანეთს, საგასავლო ნაწილი — 26.774.866 მანეთს, დეფიციტი იფარება სესხით და დოტაციით საკავშირო მთავრობიდან. ამასთანავე მომხსენებელი შეეხო იმ მიზეზებს, რომლებმაც დააგვიანა ბიუჯეტი თავის დროზე დამტკიცება. აგრეთვე აღნიშნა ის ღონისძიებები, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს მომავალში ბიუჯეტის თავის დროზე შესადგენად და დასამტკიცებლად.

აღმასკომის პლენუმმა უცვლელად დაამტკიცა 1927—28 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

### ზაჰესის საამშენებლო კომიტეტის ლიკვიდაცია

მიზეზი იმ გარემოებისა,—ამბობს მომხსენებელი ამხ. მესხი, რომ დღემდე დაგვიანდა ზემოაღნიშნულ ელსადგურის დროებითი საამშენებლო კომიტეტის ლიკვიდაცია, არის ის რომ დღემდე ვერ მოესწრო საფინანსო და ტექნიკური ანგარიშების შედგენა. ამჟამად უკვე შედგენილია საფინანსო ანგარიში, რომელიც საბოლოო არ არის. ზაჰესის აგების ღირებულების ზუსტი გამონაგარიშებისათვის საჭიროა მთელ რიგ ახალ გარემოებათა გათვალისწინება, რომელიც აზანგრძლივებდა რა მშენებლობის დროს, აძვირებდა სადგურის თვითღირებულებას. უკვე შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ზაჰესის აგება დაჯდა 13.900.816 მანეთი. ამ ჯამში არ შედის ის თანხები, რომელიც დაიხარჯა დამხმარე შენობების აგებაზე. თანხების დიდი ნაწილი მიღებულია ელექტრობანკის საშუალებით მიზნობრივი სესხის ფონდიდან (11.187.000 მან.) დანარჩენი თანხა გაღებულია ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

აღმასკომის პლენუმმა უცვლელად დაამტკიცა ზაჰესის საამშენებლო კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა და აგრეთვე პრეზიდიუმის დადგენილება ზაჰესის საამშენებლო კომიტეტის გაუქმების შესახებ.

ვინაიდან ზაჰესის ნახაზებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, პლენუმმა საჭიროდ სცნო მომავალი საბიუჯეტო წლიდან გაღებული იქნეს თანხა ნახაზების კრებულის გამოსაცემად.

### დახმარება ქუთაისის დაზარალებულთ

ამხ. ივანოვ-კავკასიელმა პლენუმს გააცნო ის ზარალი, რომელიც ხანძარმა მიაყენა ქუთაისის მოსახლეობას. მომხსენებელის გადმოცემით, ზარალი 7—8 მილიონ მანეთს აღწევს. ქუთაისის აღმასკომი, რომლის ბიუჯეტი მეტად განსაზღვრულია, უძლურია საკმაო დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ. მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: ქუთ. პირველი დახმარებისათვის გაიღოს 20 ათასი მანეთი. ჯერ-ჯერობით თბილისის აღმასკომს დიდი დეფიციტი საშუალებას არ აძლევს გაიღოს ქუთაისისათვის მეტი თანხა. აღმასკომი შემდეგისათვის ეცდება შეძლებისდაგვარად დახმარება გაუგრძელოს დაზარალებულ ქალაქს.

პლენუმმა დაამტკიცა აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება ქუთაისისათვის 20 ათასი მანეთის გაღების შესახებ.

### ცვლილებები ალმასკომის შემადგენლობაში

ამხ. თხილავას წინადადება შემოაქვს, რომ აღმასკომის წევრები—ნიკო კიკნაძე, ერმილე კალანდაძე, ილია კიკნაძე და კანდიდატი წოთლიძე, რომელნიც უკვე აღარ იზიარებენ კომ. პარტიის ხაზს საბჭოთა აღმშენებლობაში და რომელნიც აღმასკომის წევრებად წამოყენებული იყვნენ კომფრაქციის მიერ, მოხსნილ იქნენ აღმასკომის წევრობიდან. პლენუმი იღებს ამხ. თხილავას წინადადებას.

# ზამთრის შედეგები

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიაში მიღებულია ცნობები ხანგრძლივი ზამთრით და საკვების უქონლობით გამოწვეულ საქონლის დახოცვის შესახებ.

ეს ცნობები წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქების მთავრობების და სამაზრო აღმასკომების და სტატისტიკურ განყოფილებების მიერ.

ადგილები აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი ცნობები არ არის სრული და რომ დაღუპული საქონლის რიცხვი გაცილებით მეტი იქნება, საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა თემები დაამუშავებენ ასეთ ცნობებს.

მაგრამ ნაწილობრივი ცნობებიდანაც სჩანს, თუ რა დიდი ზარალი მოუვიდა საქართველოს მოსახლეობას ამ ზამთარში. მარტო მიღებული ცნობების მიხედვით, ზარალი აღწევს 6 მილიონ მანეთს.

საქონლის გაწყვეტას ადგილი არ ჰქონია მხოლოდ ზემო-სვანეთში. ყველაზე მეტი საქონელი გაწყდა იმ რაიონებში, სადაც ზამთარი ჩვეულებრივ თბილია და სადაც მოსახლეობა მომზადებული არ იყო იმისათვის, რომ თოვლი დიდხანს გასტანდა.

ყველაზე მეტი ზარალი მოუვიდა აფხაზეთს, სადაც გაწყდა 1.216.000 მანეთად ღირებული საქონელი. თბილისის მაზრაში გაწყვეტილი საქონლის ღირებულება გამოიხატება 632.000 მანეთში, სიღნაღის მაზრაში—595.000 მან., გორის—592.000 მან., სენაკის—495.000 მან., ზუგდიდის—573.000 მან. ყველაზე ნაკლებ დაზარალდა რაჭის მაზრა, სადაც გაწყდა 21.660 მან. საქონელი.

გაწყვეტილი საქონლის ღირებულების გამოანგარიშება ძალიან ფრთხილად ხდებოდა: ცხენი შეფასებულია 150 მან., ძროხა—70 მ., ხარი—100 მან. და ცხვარი—15 მან.

სიღნაღის მაზრაში დაიღუპა 39.418 სული ცხვარი; თბილისის მაზრაში დაიღუპა 17.540 ცხვარი, 1.464 ხარი და 1.506 ძროხა. (ადს).

# საბჭოთა საქართველო

## მეფუტკრეობა ლელვან-მარელისის თემში

(წერილი ხარაგოულიდან)

ამის წინად ლელვან-მარელისში შესდგა ამავე თემის პარტორგანიზაციის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა აგრონომის მოხსენება საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარების და მეფუტკრეთა კოლექტივის დაარსების შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოირკვა, რომ ყველა იმ მეურნეობის დარგებში, რომლებსაც მისდევს ლელვან-მარელისის თემის გლეხკაცობა, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ამ რაიონში არის მეფუტკრეობა, რომელიც კოლექტიურად უნდა სწარმოებდეს. ასეთი კოლექტივები მთელ შორაპნის მაზრაში არის ორი: ერთი ჭალის, მეორე ამაშუკეთის თემში, ხოლო მესამე განზრახულია ჩამოყალიბდეს ლელვან-მარელისში. კრებაზე არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა კოლექტივის წესდების შემუშავება და წინასწარი სამუშაოების გეგმის შედგენა. კოლექტივი უნდა შევიდეს წევრად რაიონულ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ლელვან-მარელისის თემი თავისი მდიდარი ბუნებით მეფუტკრეობის საუკეთესო კერაა მთელ შორაპნის მაზრაში. აქაურ თაფლში უხვად სჭარბობს ცაცხვის, აკაციის და მთის ყვავილების ნექტარი.

როდესაც ვეხებით ლელვან-მარელისის მეფუტკრეობას, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამხ. ივანე მასიურაშვილის თავდადებული მუშაობა მეფუტკრეობის გაუმჯობესების საქმეში. 40 წელიწადია რაც მასიურაშვილი აქ მუშაობს მეფუტკრეობის გასაუმჯობესებლად და გლეხობაც დიდი ნდობით ეპყრობა მის მუშაობას.

წინეთ ლელვან-მარელისის გლეხობამ არ იცოდა ფუტკრის მოვლა-პატრონობა. გადაჰყავდა ნაყარ-ფუტკარს ხის როფებში, როცა მოუნდებოდა თაფლის ამოღება, აიღებდა ფუტკრიან როფს, ჩააგდებდა წყალში, ფუტკარი წყალს მიჰქონდა და თაფლიანი ფიჭები კი რჩებოდა პატრონს. ასე ბარბაროსულად ეპყრობოდა გამოუცდელი გლეხი ამ მწერს, რომელსაც სარგებლობის მეტი არაფერი ვნება არ შეეძლო მოეტანა.

ივანე მასიურაშვილმა, რომელსაც ზედმიწევნით შესწავლილი ჰქონდა ეს დარგი და გაცნობილი იყო თითქმის ყველა საზღვარგარეთის და რუსეთის შესანიშნავ მეფუტკრეებს, თვითონ მოაწყო ს. სხვიტორში სამაგალითო საფუტკრე დადანის სისტემის. შემოიკრიბა გარშემო ყველა ადგილობრივი მეფუტკრეები, უხსნიდა მათ, რომ შესაძლოა სკიდან თაფლის ამოღება ისე, რომ ერთი ფუტკარიც არ მოკვდეს. ეს შეუძლიან ჩარჩოიან სკას, რომელშიაც ფუტკრის მოვლაც და მისი თვალყურის დევნაც ძლიერ ადვილია და იმავე დროს შეიძლება მეტი სარგებლობის მიღება.

გლეხობა მალეაც დაინტერესდა მასიურაშვილის საქმიანობით, რომელმაც პრიმიტიული ხის როფები შესცვალა ამერიკული სკებით და გლეხობას შეასწავლა მეფუტკრეობა. ალექსანდრე და ვლადიმერ არევაძეები, გრიშა მაღრაძე, ალექსანდრე და დავით შარიქაძეები და მრავალი სხვა, მასიურაშვილის სკოლის მოწაფენი არიან, რომლებიც დარწმუნებული ვართ შეუერთდებიან ლელვან-მარელისის მეფუტკრეთა კოლექტივს, რომლის გაერთიანებული ძალღონე მეფუტკრეობის განვითარებას უნდა მოხმარდეს.

კოლექტივის საქმიანობა არ უნდა იყოს შეზღუდული მარტო საფუტკრის აწყობის საზღვრებით (ფუტკრის მოვლა-მოშენება, თაფლის ამოღება-წურვა და ფიჭის დამუშავება). ამას გარდა ბევრი რამ არის საჭირო.

ყველა ის დაგროვებული კოლექციები ლელვან-მარელისის მდიდარი ფლორის, ყოველნაირი ტყის მცენარეთა თესლები (ფიჭვის, ნაძვის, რცხილის, კოპიტის, წიფლის და სხვები), რომელსაც თქვენ ნახავთ სატყეოს სამუზეუმო დარბაზში, მაჩვენებელია ერთი რამის. ისეთიც მდიდარი ტყე დღეს მოსპობის გზაზეა დამდგარი. მაშასადამე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აგიტაცია-პროპაგანდის ხე-ტყის რაციონალური სარგებლობისათვის და ახალი გაშენებისათვის. აი რისთვისაა საჭირო მეტყევე მასიურაშვილის მიერ დაგროვებული თესლები. გაჩეხილი ტყეების გვერდით უნდა იზრდებოდეს ხელოვნური ტყეები, სადაც უნდა სჭარბობდეს თაფლის მომცემი მცენარეულობა; ამავე დროს აუცილებლად უნდა ითესებოდეს მინდვრის ბალახები თაფლის მოსავლის გასადიდებლად.

აი, სწორედ ამას უნდა მიაქციოს ლელვან-მარელისის მეფუტკრეთა კოლექტივმა მთელი თავისი ყურადღება.

კოლექტივის უნარიანობაზე და მის ნაყოფიერ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული უხვი კრედიტი და ყოველნაირი დახმარება სათანადო ორგანოების მიერ.

პ. კილენჯერიძე.

## მეაბრეშუმეობა კახეთში

(წერილი თელავიდან)

ცნობილია, რომ მეაბრეშუმეობის ისტორია კახეთში იწყება მეხუთე საუკუნიდან, როდესაც ეს დარგი ისე ყოფილა აყვავებული, რომ ერთ დროს კახეთი აბრეშუმით უხდიდა ხარკს სპარსეთს.

მე-19 საუკუნის დასაწყისშიაც, რომ ძლიერ გავრცელებულიყო აბრეშუმის ჭიის მოყვანა კახეთში, ამას სხვათა შორის მოწმობს ის ურიცხვი თუთის ხეები, რომლის რიგრიგობით ჩარგული ტყეები ეხლაც დარჩენილია შაქრიანის, ნაფარეულის და ფშაველის რაიონში.

შემდეგ კი თანდათანობით დაქვეითდა ეს დარგი და ბოლოს იმდენს მოჰყავდათ, რამდენიც თვით მოსახლეობას ოჯახში ხმარებისათვის დასჭირდებოდა.

1890 წ. ზაქათალის ზოკებმა დაიწყეს თესლის დარიგება თელავის მაზრაში და თვითვე პარკის შესყიდვა. ამან ისე წაახალისა მოსახლეობა და იმდენი პარკის მოყვანა შესძლეს, რომ ამავე ზოკებმა ჯერ პარკის გასახმობი და შემდეგ ამოსახვევი ქარხანა გახსნეს.

მაგრამ ყველა ეს პირველყოფილ სახეს ატარებდა, მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის არავინ არ ზრუნავდა, ვინაიდან კერძო პირების ხელში, მას მარტოდ-მარტო საექსპლოატაციო მიზანი ჰქონდა.

მეაბრეშუმეობის განვითარებას თელავის მაზრაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა 1926 წელს თელავში გაიხსნა აბრეშუმის ამოსახვევი ქარხანა, სადაც დღეს ორი წყებით 250 მუშა-ქალი მუშაობს.

სხვათა შორის ცნობილია, რომ კახეთში საუკეთესო პირობებია, როგორც აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად, ისე პარკის შესანახად, აქ პარკი წლობით ინახება და თავის თვისებას სრულიად არ ჰკარგავს, არა თუ სპეციალურ შენობაში, არამედ უბრალოდ გადახურულ ოთახებშიაც კი.

მეაბრ. განვითარებას უმთავრესად ხელს უშლის თუთის ხეების სიმცირე. ამისათვის საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა ყურადღება მიაქცია და მოაწყო სანერგეები თელავში, იყალთოში და კურდღელაურში. წელს თელავის მაზრაში დარიგდა 2.000 ცალი ორწლიანი თუთის ნერგი.

ვიდრე ნერგი დარიგდებოდა „საქ. აბრეშუმის" რწმუნებულმა აღმოსავლეთ საქართველოში ამხ. ალიბეგაძემ მეაბრეშუმეობის შესახებ ყველა რაიონში ჩაატარა კამპანია, რომლის შემდეგ მოსახლეობა მოითხოვდა როგორც თუთის ნერგს, ისე ჭიის თესლსაც.

წელს თელავის მაზრისათვის მიიღეს 3.500 კოლოფი თესლი, უკვე დარიგებულია 3.000 კოლოფი. მაშინ, როცა შარშან სულ დარიგდა 2.900 კოლოფი.

გასულ წელს მოსახლეობას უსწავლიდნენ პარკის მოყვანას და აძლევდნენ ინსტრუქციებს ყველა რაიონში, შარშან სანაქებო პარკის მოსავალი იყო; თითო კოლოფზე საშუალოდ მოვიდა ორი ფუთი პარკი, ხოლო იყო ზოგიერთ შემთხვევა 3—4 ფუთის მოსავლისაც.

წელს როგორც შარშან, მეაბრეშუმეობას ადგილობრივ უხელმძღვანელებენ „საქართველოს აბრეშუმი"-ს ინსტრუქტორები, რომელნიც უკვე გავიდნენ რაიონებში.

ვან-ლი.

## ნუ დასტოვებთ უყურადღებოდ

(წერილი დუშეთიდან)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით დუშეთის მაზრაში მარტის პირველი რიცხვებიდან მიმდინარეობს და ყველა სოფლებში აგიტაცია-პროპაგანდა, რათა არ დაეტოვებინათ არც ერთი ნაკვეთი მიწა მოუხნავათ, ხოლო სათესლე მასალას გლეხები მიიღებდნენ საკრედიტო ამხანაგობებიდან სესხის სახით.

დიდი ზამთრისა და საკვების უქონლობით გაძვალტყავებულ მუშა-საქონლით, გლეხობა დაიმედებული თესლის მიღებაზე, ენერგიულად მოეკიდა საგაზაფხულო ხვნას და უნდა ითქვას, რომ ზოგან მოსახლეობამ გადახნა სათივე ნაკვეთებიც კი.

დუშეთის მაზრამ მიიღო სათესლე სიმინდი, ახალი თესლის ქერი და თანახმად სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო ბანკის მიერ მოცემული დირექტივებისა, განაწილებული იქნა საკრედიტო ამხანაგობის მიერ ღარიბებს და საშუალო შეძლების გლეხ-წევრებზე. ამხანაგობის არა წევრი ღარიბი მოსახლეობა—კი დარჩა სათესლის მიღების გარეშე, მართალია წევრთათვის თესლზე უარის თქმა და არა წევრებზე გაცემა გამოიწვევს ამხანაგობისადმი უნდობლობას, მაგრამ ვერც ის ჩაითვლება მიზანშეწონილად, რომ ვალითა და ვახშით დახრუტული არა წევრ ღარიბების გლეხების მიწები დარჩეს დაუთესავად. ამისათვის საჭირო იყო სას.-სამ. სახელმწიფო ბანკს გამოენახა საშუალება და მიეცა შესაძლებლობა, რათა არა წევრ უსახსრო გლეხობის მიერ დახნული მიწების დასათესათაც გაეცათ სესხის სახით სათესლე მასალა ქერი თუ არა, სიმინდი მაინც.

ზერდიანელი.

## სამაგალითო თემი

ალპანა,— ლეჩხუმის მაზრა

ალპანის თემი ლეჩხუმის მაზრის საუკეთესო თემად უნდა ჩაითვალოს. აქ არსებობს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, თემაღმასკომი, აგრონომიული პუნქტი, საფერშლო პუნქტი, ხუთი ოთხწლედი, სამკითხველო, კოოპერატივი, კლუბი, თეატრი და რადიომიმღები, რომელთა თანამშრომლები თავიანთ შრომას უნარიანობით დიდი ხალისით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ისინი არ არიან მარტო თავიანთ დაწესებულებებში მომუშავენი, არამედ მუშაობას აწარმოებენ როგორც სამშენებლო, ისე კულტურულ დარგში.

მათი ხელმძღვანელობით მთელი გლეხობა დაინტერესებულია საბჭოთა აღმშენებლობით. ალპანის თემში გასაღდა 1.000 მანეთის სახელმწიფო სესხის ობლიგაციები. სასოფლო-სამეურნეო და სხვ. დაზღვევის გადასახადი სავსებით შეკრებილია.

ჩატარდა სათემო აღმასკომის და საბჭოს სექციების საანგარიშო კამპანიები ყველა საარჩევნო უბნებში. გლეხობამ საბჭოს დიდი მადლობა გამოუცხადა ნაყოფიერ მუშაობაში.

ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, როგორც კვანძი რაჭა-ლეჩხუმის, დიდ მუშაობას ეწევა.

კოოპერატივს სრულუფლებიანი წევრი ჰყავს 200-მდე; ხოლო დანარჩენი ხმასი კომლი კი 6 მანეთიანი. კამპანიის ჩატარების შემდეგ იმედია 1000 [illegible] სრულუფლებიანი წევრი იქნება, რაც პირველი მაგალითია მაზრის მასშტაბით. მხოლოდ კოოპერატივის ნაკლი ის არის, რომ ეხლა გამგეობამ ვერ შესძლო მომხმარებელთა სრული დაკმაყოფილება, რასაც იმედია გამოასწორებენ.

გლეხობა გამოსთქვამს სურვილს და აუცილებელი საჭიროც არის, რომ ალპანის თემში გაიხსნას კოოპერატივის საწყობი. საჭიროა აგრეთვე აფთიაქი, ვინაიდან ალპანის თემი დაშორებულია აფთიაქებს 10—15 ვერსით, რაც ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას.

ვიმედოვნებთ, რომ მაზრის ხელისუფლება ანგარიშს გაუწევს ალპანის თემის გლეხობას და გახსნის აფთიაქს.

ლუკლ.

—:—

## [illegible] ექიმბაშ - მკითხავებმა

დუმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა

ჩვენ თემში დღითი-დღე ფეხს იკიდებს ექიმბაშ-მკითხაობა. ასეთ „მოღვაწეობას" თემში ეწევიან სოფელ ყალამშის მცხოვრ. მარიამ ომაროვა და კაცელაშვილის ქალი. სოფ. ძველ დუმანისში მარკოზ ურუმაშვილი და ვარდისუბნიდან მკითხავი მარუშკა ენგაზაროვა.

ა.-წ. 5 იანვარს ძაღლმა დაკბინა სოფ. მიჯის მცხოვრები ერემია ბალანაძის ბავშვი. ხსენებულმა ექიმბაშმა კაცელაშვილმა და ომაროვამ შეამოწმეს, როგორც ცოფიანი ძაღლის ნაკბენი და „წამალი" დაალევინეს. ბავშვი იქვე გარდაიცვალა.

სოფ. ვარდისუბნის მცხოვრებ სარქის ყაზაროვს ბავშვი ავად გაუხდა. მისცვივდნენ მარუშკა მკითხავს: შენ გენაცვალე გვიკითხე, რომელმა ეკლესიამ გვიკითხავო (შებოჭაო). მარუშკამ ჩვეულებრივად ჯამი შეატრიალა, სარქისას სახეში გაუშალა და კბილები ჩაამტვრია; დუმანისის ეკლესიას დაუკუნძლია, წადი და საკლავი დაუკალიო „უწინასწარმეტყველა" მკითხავმა. გლეხი სარქისა ყაზაროვიც ასე მოიქცა და დუმანისის ეკლესიისთვის ერთი საკლავი გადმოაბრუნა. ბავშვი მოკვდა, ხოლო ეხლა სარქისა დადის კბილების საექიმოდ.

სოფ. ძველი დუმანისის მცხ. გლეხი ფილიპა ურუმაშვილის ცოლმა ხელი იღრძო. მივიდა ამავე სოფლის „განთქმულ ექიმ" მარკოზ ურუმაშვილთან და შველა სთხოვა. ექიმბაშმა მარკოზ ურუმაშვილმა იმოდენა აქანა ქალის ხელი ფანჯარაში, რომ ეხლა ხელი შეახმა ქალს.

აგრეთვე ამავე სოფლის მცხოვრებსა მალარია მალრაძე ხიდან გადმოვარდა და ხელი მოიტეხა. შორს არ წასულა, ისევ მარკოზ ურუმაშვილს მიმართა. ამ უკანასკნელმაც „წამალი" გაუკეთა და ისეთივე ბედი ეწია, როგორც ურუმაშვილის ქალს.

ასე დაამახინჯა ხალხი მოქ. ურუმაშვილმა.

საბჭოთა კანონი სჯის ექიმბაშ-მკითხაობას, ამიტომ პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცე-

## მოგვაშორეთ ეს მხეცი

ს. ჭაკიჯვარი, გურია

ამ სოფლის მცხოვრებ ისიდორე გიორგაძემ ქალი სთხოვა ამავე სოფლის გლეხს გიორგი ფიფიას, რომლისაგან უარი მიიღო, რადგან გიორგაძე არის გარყვნილი და არამზადა ადამიანი. განაწყენებული გიორგაძე დაემუქრა ფიფიას, რომელმაც ეს ამბავი მილიციას აცნობა, ამ საქმეზე მან სცემა აგრეთვე ერთი მოხუცი ქალი. გიორგაძე არა ერთხელ ყოფილა დაპატიმრებული იარაღის უნებართვოდ ტარებისა და მილიციელის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის. ის ამჟამადაც არ ისვენებს. საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ სასტიკი პასუხი მოსთხოვოს ამ ულირს პიროვნებას.

ტურფაგორელი.

## აგრონომიული დახმარება სოფლად

სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის, რაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანათ აქვს დასახული კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრონომიული დახმარების საქმის მოწესრიგებას. გლეხობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ მომზადებული კულტურული მეურნეობის საქმის წარმოებისათვის, როგორიცაა მაგალითად, მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, ბამბისა და ჩაის მოშენება და მრავალი სხვა. და სწორედ ამ კულტურების ფართოდ გავრცელებას აქცევს დღეს ხელისუფლების მიერ განსაკუთრებული ყურადღება.

ამ საქმეში გლეხობისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ აგრონომიულ პუნქტებს გამოცდილი და მცოდნე აგრონომებით. მართალია საქართველოს ყველა თემებში ჯერჯერობით არა გვაქვს აგრონომიული პუნქტები, მაგრამ უმთავრეს რაიონებში ისინი უკვე არსებობენ და აგრონომების საკმაოდ დიდი რიცხვიც მოგვეპოვება, მხოლოდ საჭიროა ამ ძალების რაციონალურად გამოყენება, რომ მათგან უფრო მეტი სარგებლობა მივიღოთ, ვინემ დღემდის.

თავისთავად ცხადია, თვითეულ სოფელს ჩვენ ცალკე აგრონომს ვერ მიუჩენთ, მაგრამ საჭიროა დროგამოშვებით მაინც აგრონომების მიერ ლექცია-საუბრების მოწყობა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ყველა პუნქტებში. ასეთ საუბრებს გლეხობა დიდი ხალისით მოისმენს და მიიღებს მისგან საჭირო გამოცდილებას.

ასეთი საუბრების გამართვის ინიციატივა ადგილობრივ უნდა იკისროს სამკითხველოს გამგეებმა. სამკითხველოებს დღეს გლეხობა მრავლად ეტანება, განსაკუთრებით კვირა-უქმე დღეებში და აი, ეს დღეები უნდა იქნეს გამოყენებული ლექცია-საუბრებისათვის, აგრონომი თავის საუბარში განუმარტავს მეურნეებს თუ როგორ უნდა მოუარონ მათ ვენახს, ჩაის, ბამბის ნათესს, აბრეშუმის ჭიას, მანდარინებს და სხვა. ამ განმარტების შემდეგ გლეხობა ადვილად შესძლებს კულტურული მეურნეობის გაჩაღებას და ასეთი მეურნეობიდან მიიღებს გაცილებით მეტ ნაყოფს, ვიდრე დღემდის. ეს ამავე დროს აჩენს ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებას.

ვიმეორებთ, აგრონომიული დახმარების საქმის მოწესრიგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და ის უნდა დავაყენოთ საჭირო სიმაღლეზე.

—ჩ.

—:—

## გლეხკორთა წერილებიდან

### სანიტკომისიამ გააცხოველოს მუშაობა

ქ. სამტრედია

ჯანმრთელობის დასაცავად სისუფთავეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ეს ითქმის სამტრედიაზე, სადაც მალარია ფართოდ არის გავრცელებული ზაფხულობით. საჭიროა სანიტკომისიამ თავის დროზე მიიღოს ზომები ქალაქში სისუფთავის დაცვისათვის და აგრეთვე საექიმო პუნქტებმა მომარაგონ ხინა მალარიის საწინააღმდეგოდ.

მერიკვილი.

### საეკლესიო დღეობის მაგიერ სკოლა

სოფ. ოსიაური, გორის მაზრა

ამას წინედ შესდგა სოფ. ოსიაურის დელეგატ და გლეხ - ქალების გაერთიანებული კრება, რომელზედაც ერთხმად გამოიტანეს დადგენილება უარყონ საეკლესიო დღეობა „ხლურდობა". სოფ. ოსიაურს დღემდის არა აქვს სკოლის შენობა. ამიტომ გადასწყდა ის ხარჯები, რომელიც სწირდებოდა დღეობის გადახდას, მოხმარდეს სკოლის შენობის აგებას. ამ დადგენილებას ხელს აწერს ასი კაცი.

ოსიაურელი.

### სად გაჰქრა გლეხკომების ქონება?

კაკაბეთის თემი, სიღნაღის მაზრა

კაკაბეთის თემში ორი გლეხკომი იყო სოფ. ჩაილურში და თვით კაკაბეთში. ორივე გლეხკომს საკმაო ქონება ჰქონდათ, განსაკუთრებით ჩაილურის გლეხკომს, მაგრამ ორივე გლეხკომების ქონება სადღაც გაჰქრა. კაკაბეთის გლეხკომის ნოქრათ იყო ძველი ვაჭარი ნიკა მღებრიშვილი, დღეს ის კოოპერატივის ნოქარია, ხოლო ჩაილურის გლეხკომის ნოქარი [illegible] კირაკოზაშვილი დღეს საკრედიტო ამხანაგობაში მსახურობს. ამ ხალხმა გლეხკომების ქონება გაანიავეს და მათთვის პასუხის მოთხოვნის ნაცვლად უკეთეს სამსახურში მოეწყვნენ.

მაჩხანელი.

### ნაყოფიერი მუშაობა

ხიდისთავის თემი, გურია

ამ თემში 1925 წლიდან არსებობს საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც ღარიბებს გლეხობას დიდ დახმარებას უწევს. ამხანაგობამ შეიძინა სათესლე სიმინდი და კულტურული მცენარეები, რომელსაც აძლევს გლეხობას კრედიტის სახით. მოწყობილ კოლექტივებს ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სამსონ ჭანიშვილი. საერთოდ საკრედიტო ამხანაგობა ყოველნაირად ცდილობს გააუმჯობესოს ღარიბ და საშუალო გლეხობის მეურნეობა.

ზროლ-იაზმი.

# მუშათა ცხოვრება

**ხვალ 16 მაისს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხებია დასმული. ჩვენი გაზეთის ყველა მუშკორის დასწრება სავალდებულოა.**

## მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის ფიზიკურად განვითარებისა და გაჯანსაღების საქმეს.

ახალგაზრდობა, როგორც მემკვიდრე განახლებული ცხოვრებისა, უნდა შეიქნეს საღი, მტკიცე და ძლიერი, როგორც ხასიათით ისე ფიზიკურად.

ამასვე ემსახურება დღეს გადახალისებული სკოლა და გარდაქმნილი სწავლის ახალი მეთოდი.

თბილისის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც გამომხატველია მშრომელ მასის ნებისყოფისა, ფხიზელ ყურადღებას აქცევს ფიზკულტურის განვითარების საქმეს.

აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის მორიგ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ფიზკულტურის საბჭოს მუშაობის შესახებ და საბჭოს მიერ წარმოებული მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ფიზკულტურის მომავალი მუშაობის განსაძლიერებლად პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებანი: შეკეთებულ იქნეს აღმასკომის განათლ. განყოფილების გამგებლობაში მყოფი სასპორტო დარბაზები, გადიდდეს ფიზკულტურისათვის დათმობილი გაკვეთილების რიცხვი სკოლებში, მიჩნიოს ფიზკულტურის საბჭოს ვარჯიშობის საწარმოებლად შესაფერისი სადგომები და სათანადოთ მოწყობილი სკოლებთან არსებული ეზოები, მიექცეს უაღრესი ყურადღება პიონერთა ფიზიკურ აღზრდის საქმის გაუმჯობესებას, ეთხოვოს საქართველოს პროფკავშირებთან არსებულ ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროს გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ფიზკულტურის მოძრაობის გასაძლიერებლად, დაევალოს კეთილმოწყობის ქვე-განყოფილებას შეიტანოს ქალაქის კეთილმოწყობის 5 წლიან პერსპექტიულ გეგმაში ფიზკულტურისათვის საჭირო ნაგებობათა (სასპორტო დარბაზები, მოედნები, წყლის სადგურები, სასპორტო მოედნებზე მცენარეთა მოშენება და სხ.) გეგმები. გავრცელებულ იქნეს ფიზკულტურის ორგანიზაციებზე კომუნალური ხასიათის შეღავათები (წყლით სარგებლობა და სხ.).

პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე გაძლიერებულ იქნას მუშაობა ფიზკულტურის დარგში სოფლადაც. აღნიშნულ მუშაობაში ჩაბმული იქნეს სოფლისა და ქალაქის კავშირის საზოგადოება და თბილისის პოლიტგანი. მასვე დაევალოს სოფლისათვის შედარებით მარტივი პროგრამის გამომუშავება. წინადადება მიეცეს თემაღმასკომებს მიუჩინონ ფიზკულტურას შესაფერისი სადგომები და მოედნები.

პრეზიდიუმმა სასურველად სცნო გაძლიერებულ იქნეს ფიზკულტურის საკითხების გაშუქება ადგილობრივ პრესაში.

ასეთ ყურადღებას აქცევს თბილისის აღმასკომი მშრომელთა ფიზკულტურის საქმეს, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდ თაობას ჯანმრთელობით. პროფკავშირების ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ აღმასკომის ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

ჯაფარ-ფაშა.

## როგორ ვიდღესასწაულეთ პირველი მაისი

ღამის ათი საათია, მატარებელს მიუბეს განსაკუთრებული ვაგონი, რომელიც მცირე ხანში გაივსო საყუდის მუშებით. ისინი მიდიან [illegible] მაისობის ჩასატარებლად, ვაგონიდან მოისმის დოლის, დუდუკის, სალამურის და თარის ხმები. მატარებელი დაიძრა; გორის სადგურამდი ვაგონში მხიარულება არ შეწყვეტილა. მუშებმა ღამე სად. გორში გაათენეს. მეორე დღეს, დილით აღმასკომთან ერთად მუშები გაემგზავრნენ სოფ. ვაყისკენ. წვიმს გაუვალი ტალახია, მაგრამ მუშები მაინც ხალისით მიდიან, მუსიკით, წინ მიუძღვით გლეხებისათვის სახუქრებით დატვირთული ურემი.

დილის ათ საათზე სოფ. ვაყის კლუბში იხსნება გლეხების მიტინგი. საყუდის მუშა, ამხ. დევაძე ულოცავს გლეხებს საზეიმო დღეს და უსურვებს გამარჯვებას კულაკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამის შემდეგ ამხ. რიგავა აკეთებს მოხსენებას პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ. მომხსენებელმა გასაგები ენით გააცნო გლეხებს პირველი მაისობის ისტორია და მოუწოდა, რათა არ გაეწყვიტათ კავშირი ქალაქის მუშებთან. დასასრულ მუშებმა გადასცეს გლეხებს საჩუქარი; საკერავი მანქანა, ას ორმოცი წიგნი, 26 სხვადასხვა სახის სურათი, ლენინის სურათი ჩარჩოთი და სხვ. გლეხების სახელით სოფლის საბჭოს წევრმა მადლობა გადაუხადა საყუდის მუშებს. შემდეგ გაიმართა კონცერტი. ამხ. დევაძემ წარმოსთქვა სიტყვა სახალხო მუსიკის შესახებ. კონცერტი დაათავეს ცეკვით. საღამოსხანს საყუდის ავია-ქიმის უჯრედის წევრთა თაოსნობით გაიმართა სავარჯიშო სროლა, რაშიც გლეხებმა დიდი ინტერესით მიიღეს მონაწილეობა.

ასე ჩაატარეს პირველი მაისობა თბ. საყუდის მუშებმა, თავიანთ საშეფო სოფლის გლეხებთან ერთად.

სურამელი.

## ნაყოფიერად ვმუშაობთ

(სამტრედიის ძაფ-საღები ფაბრიკა)

სამტრედიის ძაფ-საღები ფაბრიკის მუშების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ამასთან ერთად როგორც ნივთიერი, ისე კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებასთან შრომის ნაყოფიერება იზრდება და ნაწარმოების ხარისხიც ყოველდღიურად უმჯობესდება, რაც უნდა მიეწეროს საწარმოო თათბირის ნაყოფიერ მუშაობას.

ფაბრიკაში უმთავრესად მუშა-ქალები მუშაობენ. თითქმის ყველა მათგანი ჩაბმულია სხვადასხვა პროფესიონალურ და საზოგადოებრივ მუშაობაში. ფაბრიკასთან ჩამოყალიბებულია: ფიზკულტურის, კოოპერატიული, სიმებიანი ორკესტრის, პროფესიონალური და სხვა წრეები, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მუშა-ქალები.

არსებობს აგრეთვე პირველი და მეორე საფეხურის სკოლა, სადაც მუშა-ქალები ღებულობენ სწავლა-განვითარებას. გამოდის კედლის გაზეთიც, რომელიც აერთიანებს ოცამდე მუშკორს. ფაბრიკის სამკითხველოს აქვს 500 სხვადასხვა წიგნი. გარდა ამისა გამოწერილია 440 გაზეთი, რომელიც ურიგდებათ ხელისმომწერლებს.

ფაბრიკის წითელ კუთხეში, მუშა-ქალთა სალიტერატურო წრის მიერ ხშირად ეწყობა ლიტერატურული გასამართლება, რომელსაც აუარებელი მუშები და მათი ოჯახის წევრები ესწრებიან. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო შენობის უქონლობა ცოტა არ იყოს აფერხებს კულტურულ მუშაობას. აბრეშუმის ტრესტი გვპირდება ფაბრიკის ეზოში დამწვარ შენობის შეკეთებას და კლუბის მოწყობას, მაგრამ როდის შეასრულებს ტრესტი ამ დაპირებას, ჯერ-ჯერობით არავინ იცის. მუშები მოითხოვენ აღნიშნულ შენობის სასწრაფოდ შეკეთებას და კულტურული მუშაობის უფრო გაცხოველებას.

მუშა-ქალი.

## სარედაქციო კოლეგიას სძინავს

საზ.-ბა „სამშენი"-ს მთავარ კანტორაში კარგა ხანია რაც გამოდის კედლის გაზეთი. გაზეთი ორგანიზებული იყო, მაგრამ უკანასკნელ ხანებში არც ორ კვირაში და არც ორ თვეში ერთხელ არ უშვებენ. სარედაქციო კოლეგია თითქმის არაფერს აკეთებს. არამც თუ კედლის გაზეთის გამოცემაზე ზრუნავს, არამედ თავის სხდომასაც კი არ იწვევს და არ არჩევს გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებს. კედლის გაზეთის მუშკორების კრება, ხომ სარედაქციო კოლეგიის სრულებით არ მოუწვევია. ის არც კი ცნობს კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილების ავტორებს.

მართალია სარედაქციო კოლეგიამ ერთხელ მოიფხანა თავი და გამოაკრა განცხადება, რომ მიეწოდებინათ მისთვის მასალები კედლის გაზეთისათვის, რომელიც უნდა გამოსულიყო განცხადებაში აღნიშნულ დროზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კედლის გაზეთის ყუთი სავსე იყო მასალებით, გაზეთი მაინც არ გამოვიდა. ასე იყო მაგალითად 8 და 18 მარტს. ასევე გრძელდება დღესაც.

სად არის ადგილკომი, ან კომუჯრედი, რატომ არ უწევენ სწორ ხელმძღვანელობას კედლის გაზეთს და არ გამოაღვიძებენ დიდი ხნით მიძინებულ სარედაქციო კოლეგიას?

დაჩაგრული.

## ბოროტმოქმედი კარპენკო

(ბორჯომის შუშის ქარხანა)

ბორჯომის შუშის ქარხნის უფროსმა მუშამ მოქ. კარპენკომ კარგა ხანი იბატონა ქარხანაში. მისი თვითნებური მოქმედება, მკაცრი და უხეში მოქცევა მუშებისადმი, უკმაყოფილებას ჰქონდია მუშებში. ქარხნის კედლის გაზეთის თითქმის ყველა ნომერში გამომჟღავნებული იყო ამ ადმინისტრატორის საქმენი საგმირონი. ადგილობრივ სატირამაც თავის რეპერტუარში შეიტანა მოქ. კარპენკოს საქმიანობის მაჩვენებელი სახუმარო სიმღერები. მაგრამ მის გამოსწორებას საშველი მაინც არ დაადგა. უმაღლესი ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევდა მუშების ჩივილს.

ქარხნის კომიტეტმა ანგარიში გაუწია მუშების მოთხოვნილებებს და გამოჰყო კომისია მოქ. კარპენკოს საქმიანობის გამოსაკვლევად. გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ქარხნის დროებით მომუშავეთა მუშათა ჯგუფის 1928 წ. იანვრის თვის მეორე ნახევრის ხელფასის მოთხოვნილების [illegible], ქარხნის ერთ მუშას, [illegible] მეორე ნახევარში ნამუშევარში ნამუშევარი აქვს ცხრა დღე და ხელფასი კი გამოწერილი აქვს 19 მან. 6 კ. ნამდვილად მას უმუშავნია ექვსი დღე, რისთვისაც უნდა მიეღო 12 მან. 6 კ. ხელფასის მიღების დროს, ემილიან კარპენკოს, არ უჩვენებია მუშისთვის მოთხოვნილების [illegible] და ხელმოუწერლად გაუცია ფული.

გარდა ამისა მოქ. კარპენკოს კიდევ სხვა ბევრი ბოროტმოქმედებები აღმოჩნდა, რისთვისაც იგი ამჟამად დატუსაღებულია. საჭიროა უფრო გულდასმით განხილვა მოქ. კარპენკოს მუშაობისა და დამნაშავის სასტიკ პასუხისგებაში მიცემა.

ცეცი.

## სხვადასხვა თანრიგით ღებულობენ

(საჭილიის ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს, დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ერთიდაიმავე საქმეზე მომუშავეთა ხელფასის გათანასწორებას. ყველა პროფკავშირები ცდილობდნენ რათა მუშების თანრიგები შეძლებისდაგვარად გაეთანაბრებინათ. მაგრამ საჭილიის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებსა და ადმინისტრაციის შორის დადებული ახალი კოლექტიური ხელშეკრულება არამც თუ ათანასწორებს ერთ და იმავე საქმეზე მომუშავეთა ხელფასს, არამედ შედარებით წინანდელთან საგრძნობლად ასხვავებს კიდეც.

მაგალითად, აღნიშნულ ქარხნის დახერხილ მასალის საწყობში მუშაობს რვა მუშა. ყველა მათგანი ერთნაირ და ერთი სახის სამუშაოს ასრულებენ. ახალი კოლექტიური ხელშეკრულებით კი ოთხ მათგანს ხელფასი ეძლევა მესამე თანრიგის მიხედვით, დანარჩენ ოთხს კი მეორე თანრიგის მიხედვით. ეს იმით აიხსნება, რომ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი, ქარხკომმა ვერ გააცნო საფუძვლიანად მუშებს.

კავშირმა რამენაირად უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა.

ტყეური მუშა.

## შეცვალეთ ფულის მიღების დრო

„ტელასი", თბილისში ერთ-ერთ დიდ დაწესებულებას წარმოადგენს, რომელთანაც დაკავშირებულია ქ. თბილისის მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი—აბონენტები. სამწუხაროდ ეს დაწესებულება არ აქცევს ყურადღებას თავის აბონენტებს, რომელთათვისაც ამ დაწესებულებაში შექმნილია სპეციალური შტატი. საქმე იმაშია, რომ რამოდენიმე ათას აბონენტს, თვითონ შეჰქვთ ენერგიით სარგებლობის ქირა თვეში ერთხელ—დანიშნულ ვადაზე. ქირის შეტანა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა 13 ნახევარ საათამდე. ე. ი. ფულის მიღება სწარმოებს იმ დროს, როდესაც ყველა წარმოებაში და დაწესებულებაში სწარმოებს მუშაობა. თუ გადააცილე აღნიშნულ ვადას, ქირას აღარ მიიღებენ და გადაგახდევინებენ საურავს; შეგიწყვეტენ ენერგიის მიწოდებას და სხ. არის შემთხვევები, როდესაც ჯარიმასაც ახდევინებენ მუშებს.

ამრიგად, აბონენტი ელექტრო-ენერგიის ქირის შესატანად (თუ მას სურს არ დაიტვირთოს თავი ზედმეტი გადასახადებით) უნდა მოსცდეს სამუშაოს რამოდენიმე საათით, რათა მოასწროს ქირის შეტანა 13 ნახ. საათამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოკლებული იქნება ელექტრო-ენერგიით სარგებლობის საშუალებას. თვეში ერთხელ რამოდენიმე საათით სამუშაოს მოცდენა, ყველა აბონენტებისათვის—კი საერთო ჯამით მეტად დიდია და საზიანო წარმოება-დაწესებულებათათვის. არის მრავალი შემთხვევები, როდესაც მუშა-მოსამსახურეს, აბონენტს; რომლის ჯამაგირი არც ისე დიდია, უხდება გადაიხადოს საურავიც [illegible] ფული და ჯარიმაც ერთად.

თუ ამას დაუმატებთ იმას, რომ „ტელასი"-ს გამგის მოადგილე ცდილობს მალე მოიშოროს თავიდან აბონენტი და მთავარი ბუხჰალტერი კი წესიერად არც კი გაგცემს პასუხს, დავრწმუნდებით, რომ „ტელასი" მხოლოდ თავის მოსამსახურეების კეთილდღეობაზე ფიქრობს, სხვებს კი—აბონენტებს, არ დაეძებს.

საჭიროა „ტელას"-ში არსებული წესი აბონენტებისაგან ქირის მიღების შესახებ, შეიცვალოს და ფულის მიღების დრო დაინიშნოს ისეთ საათებში, როდესაც ხელსაყრელი იქნება მუშა მოსამსახურეების—აბონენტების უმრავლესობისთვის.

აბონენტი.

## ასე ვმუშაობდით

ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მუშკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა მუშკომის თავმჯდომარემ ამხ. ჩილაჩავამ. მომხსენებელმა გააცნო კრებას მუშკომის მუშაობა და აღნიშნა როგორც მიღწევები, ისე ნაკლიც, რომელიც უნდა გამოსწორდეს მომავალში. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, მუშები მოითხოვდნენ კავშირისაგან, მიიღოს ზომები, რათა დაწესებულებებიდან დიდ მანძილზე მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებს მიეცეთ ტრამვაის ბილეთები, ან ფული, როგორც ეს ხდება რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. ეს საკითხი საწარმოო თათბირზეც—გაირჩა, მაგრამ მის მოწესრიგებას საშველი მაინც არ დაადგა. კრებაზე, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის თავმჯდომარემ, ამხ. კომახიძემ, თავის სიტყვაში შეპირდა მუშებს ამ საკითხის ახლო მომავალში მოწესრიგებას.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ჩილაჩავამ ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კრებამ მუშკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

საჭიროა მუშა-მოსამსახურეთა მომავალი საერთო კრებაზე, დაისვას ტელეგრაფის ადმინისტრაციის მოხსენება. ეს ხელს შეუწყობს ადმინისტრაციის მუშაობის გაჯანსაღებას.

გრ. ამირელი.

## „საქართველოს ღვინო"-ს [illegible]

კოოპერატიული [illegible] „საქართველოს ღვინო", უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაიზარდა და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პირველი ადგილიც დაიჭირა. „საქართველოს ღვინო"-ს ნაწარმოებმა: ღვინო, არაყი, კონიაკი და სხვა ტკბილი სასმელები, ვრცელდება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკებში. აღნიშნული წარმოება წინად ცუდი ხელმძღვანელი ჰყავდა, მაგრამ ხელისუფლების დახმარებით და ადგილობრივ მუშების ენერგიული მუშაობის წყალობით, წარმოება არ დაცემულა, იგი მაინც იზრდებოდა და ვითარდებოდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი გამგეობა უფრო გააუმჯობესებს საზოგადოება „საქართველოს ღვინო"-ს მდგომარეობას და ამასთანავე ერთად ხელს შეუწყობს მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ზედმეტ მუშაობას; თითქმის ყველა სახელოსნოში სწარმოებს ზედმეტი მუშაობა. მართალია, ზედმეტი მუშაობა აუცილებლობით არის გამოწვეული და მუშებიც არ თხოულობენ ზედმეტ საათებში მუშაობის ხელფასს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამგეობამ არ მისცეს მუშებს თავიანთი კუთვნილი ხელფასი. მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, მუშებს უნდა მიეცეთ ზედმეტი საათების ხელფასი. ამასთანავე ერთად გამგეობამ ზომები უნდა მიიღოს ზედმეტი მუშაობის მოსასპობად.

გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ დაბალ ადმინისტრაციისა და მუშებს შორის, ვერ არის კარგი დამოკიდებულება. ადმინისტრაცია ხშირად ვერ ეპყრობა მუშებს წესიერად, იყო შემთხვევა ადმინისტრაციის მიერ მუშებზე უსაფუძვლო ყვირილისა, მათი უმიზეზოდ შეურაცხყოფისა, მუშებს ხშირად ავალებენ კანტორის დალაგებას, ქიქების დასუფთავებას და სხ. რაც არ შეადგენს მუშების მოვალეობას. გამგეობამ ამასაც უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება.

იქაური.

## მუშკორთა წერილებიდან

**ექიმბაშის ამბულატორია.** რიყის ქ. სახლ № 17-ში მოთავსებულია ვინმე კილაძის ამბულატორია, სადაც ყოველდღე აუარებელი ავადმყოფები მიდიან სამკურნალოდ. ექიმბაში კილაძე, ავადმყოფებს პირობით იყვანს და აწვენს ამავე შენობის დარბაზში მოწყობილ საავადმყოფოში. ამჟამად ამ „საავადმყოფოში" წევს ორი ქლიქით დაავადებული და ერთი წყალმანკიანი ავადმყოფი, რომლებიც მოქ. კილაძის შეპირებით ორ კვირაში სავსებით უნდა განიკურნონ. ასეთია ექიმბაშ კილაძის ამბულატორია და საავადმყოფო.

ვინმე.

**ნამუშევარს არ გვაძლევენ, (სად. ნატანები).** სად. სუფსა-ნატანებს შუა მუშაობს 33 მუშა შეშის გადმოტვირთვაზე. გადმოტვირთეს სულ 11 ვაგონი, რისთვისაც უნდა მიეღოთ ვაგონზე 10 მანეთი, მაგრამ სამუშაოების ხელმძღვანელი მოქ. ტ. გუჯაბიძე, რატომღაც აგვიანებს ხელფასის დარიგებას. შრ. ინსპექტორო, მოგვხედე.

მუშა.

**ასეთ ხელმძღვანელობას გვიწევს.** თბილისის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის ახ. კომკავშირის უჯრედის მდივანი ამხ. ვ. რაქვიაშვილი, ხელს უშლის ადგილობრივ კედლის გაზეთის ნორმალურ გამოშვებას. ამას წინად მან ერთი ამბავი დატეხა სარედაქციო კოლეგიას იმიტომ, რომ უკანასკნელმა არ აიღო ნებართვა ერთ-ერთი კარიკატურის გამოშვებაზე: ასეთია ამხ. რაქვიაშვილის ხელმძღვანელობა კედლის გაზეთზე.

მოწაფე.

**ნაკლებს მისცემ.** რკ. გზის აფთიაქში, ფხვნილებს არ ამზადებენ რეცეპტის მიხედვით. № 70262 რეცეპტში გამოწერილი იყო 9 ფხვნილი, მაგრამ აფთიაქში დაამზადეს 6, რატომ ხდება ასე?

გოგია მეჩიხელური.

**ყველანი ღებულობენ მონაწილეობას.** ამჟამად რკ. გზის მთ. სახელოსნოში მიმდინარეობს ავია-ქიმის საზ.-ბის ლატარია „ფორტუნა"-ს გათამაშება. მუშები დიდი სიხარულით ღებულობენ მონაწილეობას ლატარიის გათამაშებაში.

იქაური.

**უთავბოლო შვებულება.** № 1 ხე-ტყის ქარხნის მუშები 9 აპრილს გაუშვეს შვებულებაში და მისცეს სამშვებულებო ფულიც, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ, მუშები უკან დააბრუნეს და ამუშავეს ჩვეულებრივი წესით. ასეთმა უთავბოლო შვებულებამ ქარხანას საკმაოდ დიდი ზარალი მოაყენა.

სოფლელი.

**მოსამსახურე ქალს სცემენ (ქუთაისი).** ქ. ქუთაისში, უტრაცკის ქ. № 4-ში მცხოვრები მოქ. პ. თალაკვაძე და მისი მეუღლე უდიერად ეპყრობიან თავიანთ სახლის მოსამსახურე ქალს. ისინი რიგ-რიგობით სცემენ საბრალო ქალს და ათასგვარ შეურაცხყოფას აყენებენ. აღსანიშნავია აქ ისაა, რომ მოქ. პ. თალაკვაძეც და მისი მეუღლეც პროფკავშირის წევრები არიან და სამსახურშიც ითვლებიან.

გამამხილე.

# მეცნიერება და ტექნიკა

## როგორ ისწავლა ადამიანმა ფრენა *)

### ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატები

აეროპლანის მამად უნდა ჩაითვალოს გერმანელი ლილიენტალი, რომელსაც თავისი მიღწევა სიცოცხლით დაუჯდა. მისი აზრი იყო ჰაერში ფრენა ძერასავით, რომელიც მთელი საათობით ტრიალებს ჰაერში და მხოლოდ იშვიათად გაიქნევს ფრთებს.



ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატები: 1) ლილიენტალის პლანერი, 2) ძმ. რაიტების აეროპლანი, 3) მონოპლანი „ტაუბე" (1910 წ.), 4) თანამედროვე აეროპლანი.

აპარატს ასეთი ფრენისათვის ეწოდება პლანერი. ეს არის არსებითად, უმოტორო ჰაეროპლანი. ასეთი აპარატით ლილიენტალი 80 მეტრის სიმაღლიდან დაახლოვებით 260 მეტრის მანძილზე გადაფრინდა. მაგრამ 1896 წელს ერთ-ერთი ასეთი ფრენის დროს იგი სასიკვდილოდ დაიმსხვრა. მისმა მიმდევარმა ამერიკელმა ძმებმა რაიტებმა 1903 წელს პლანერზე დასდგეს მოტორი, მიამაგრეს პროპელერი (საჰაერო ხრახნილი) და შექმნეს აეროპლანი. მათმა მიმდევრებმა, მრავალი ადამიანის სიცოცხლის გაწირვის შემდეგ, თანდათან გააუმჯობესეს საფრენი აპარატები და იმ ზომამდე განავითარეს ფრენის ხელოვნება, რომ ახლა აეროპლანით გადაფრენა წარმოადგენს მიმოსვლის ყველაზე უფრო სწრაფსა და საკმაოდ უხიფათო საშუალებას. ეს მიღწევა შემდეგი ციფრებით გამოიხატება: თანამედროვე აეროპლანს აჰყავს 100 მგზავრი, სისწრაფე საათში 400 კილომეტრს აღწევს, აფრენის სიმაღლე დაახლოვებით 12 კილომეტრს უდრის, შეუწყვეტელი ფრენა სწარმოებს დაახლოებით 4.000 კილომეტრის მანძილზე და 40 საათის განმავლობაში. ყველაზე შორეული გაფრენა მოხერხდა 35.000-მდე კილომეტრის მანძილზე, რასაც დასჭირდა 300 საათი (შესვენების დროს გარდა), აეროპლანის თვითეული მამოძრავებელის ძალა დაახლოვებით 1.000 ცხენის ძალას უდრის. ამ მძლავრ აეროპლანებთან ერთად შემუშავებულია აერომოტოციკლეტი, ე. ი. აეროპლანი ერთი კაცისათვის, 6 ცხენის ძალიანი მამოძრავებლით. ასეთმა აპარატმა გაჩერებულის მოტორით განახორციელა ლილიენტალის ოცნება და ჰაერში გაჩერდა დაახლოვებით 9 საათს.

### რას წარმოადგენს თანამედროვე აეროპლანი?

ხანგრძლივი გაუმჯობესების შემდეგ შემუშავებულია ორი მთავარი ტიპი: ბიპლანი და მონოპლანი. ორივე ტიპის მთავარი ნაწილებია სხეული, ფრთები, საჭე და მამოძრავებელი თავისი პროპელერით. სხეული წარმოადგენს დიდ კოლოფს. იქ მოთავსებულია მფრინავი და მგზავრები. მასზევე მიმაგრებულია დანარჩენი ნაწილებიც. ფრთები — ზედაპირებია, რომლებითაც ჰაეროპლანი მიფრინავს ჰაერში. ორ ფრთიანი აეროპლანი — მონოპლანია. თუ სხეულს ერთი მხრიდან მიმაგრებული აქვს 2 წყვილი ფრთა, აეროპლანს ეწოდება ბიპლანი. აეროპლანი ფრთებს არ იქნევს, როგორც ფრინველი; ეს ფრთები უძრავია და მაგარი. მათ აკეთებენ გალაქული მატერიისაგან ან მსუბუქი ლითონისაგან (მაგ. იუნკერსის ფრთები). პირველ შემთხვევაში ფრთების უძრავი ხერხემალი კოლოფზე მიმაგრებულია საგანგებო მოწყობილობის შემწეობით. „იუნკერსის" ფრთები თითქმის გაბერილია, ე. ი. შეკრულია ალუმინის თხელი ფურცლებისაგან ისე, რომ ფრთა წარმოადგენს საკმაოდ სქელ სხეულს, რომელიც თავში დაწვრილებულია, რომ ნაკლები წინააღმდეგობა გაუწიოს ჰაერს. იგი იმდენად მაგარი და მკვიდრია, რომ მის სიგრძეზე შეიძლება მხარ და მხარ დავაყენოთ რამოდენიმე ადამიანი. საჭეები წარმოადგენენ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეებს; ეს სიბრტყეები რომ აეროპლანის სხეულის ღერძისაგან გადაიხრებიან, მაშინ ფრენის ხაზი სათანადოდ იზნიქება. ამგვარად მფრინავი რომ მაღლა ან დაბლა გადახრის ჰორიზონტალურ საჭეს, აეროპლანი ან მაღლა აიწევს ან დაბლა დაეშვება, ხოლო როდესაც ვერტიკალურ საჭეს გადახრის, აეროპლანი მარჯვნივ ან მარცხნივ მიუხვევს. ორივე საჭის ერთად ამუშავებას მოჰყვება რთული მოძრაობა. ზოგიერთი მფრინავების სიმარჯვე იმდენად მიდის, რომ ისინი ჰაერში მეტად რთულ მოძრაობას აკეთებენ — „სალტომორტალესაც" კი, ე. ი. აეროპლანი ყირამალა გადად-გადმოდის.

მაგრამ აეროპლანით ფრენის სიადვილე მოჩვენებითია. ნამდვილად კი საამისოდ დიდი დახელოვნება და ნებისყოფაა საჭირო. ჩვენ ვხედავთ წყლის გაფართოებულ დინებას და ტალღებს მდინარეებში, ჩვენ ვხედავთ და გვესმის კიდევ ზღვის შემზარავი ტალღების თამაში. მაგრამ ადვილად ვერ წარმოიდგენთ, რომ ჰაერის ოკეანე უფრო მოუსვენარია, ვიდრე ზღვები და მდინარეები. ჩვენთვის, რომლებიც მკვიდრად ვდგევართ დედამიწაზე, იგი იშვიათად წარმოადგენს მრისხანე და გამანადგურებელ ძალას. მფრინავი კი მუდამ უნდა ებრძოდეს მის ტალღებს და დინებას და მხოლოდ ერთი დასაყრდენი უნდა ჰქონდეს — ისევ ჰაერი. მფრინავი რომ დიდ სიმაღლეზე საჭირო მიმართულებას ასცდება, მას დრო აქვს გამოასწოროს აეროპლანის გეზი მანამდე, ვიდრე დედამიწაზე დაეცემოდეს. დაბლა ფრენის დროს კი მფრინავი სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება: ჰაერის ოკეანის ტალღას შეუძლია მიაგდოს „ფსკერს", ე. ი. დედამიწას. როცა მფრინავი მოტორს გააჩერებს დაბლა დასაშვებად, აეროპლანი პლანერად გადაიქცევა და ჰაერში მოძრაობს მხოლოდ გაქანების დარჩენილი სიჩქარის წყალობით. აეროპლანი რომ ამ სიჩქარეს დაჰკარგავს, იგი ძირს დაეცემა, რასაც ბოლოს კატასტროფა მოსდევს. აეროპლანი თუ სიჩქარეს შეინარჩუნებს იმ დრომდე, ვიდრე დედამიწას შეეხება, მისი შეჩერება უცებ არ შეიძლება; თუ უცებ შევაჩერებთ, ნამტვრევებად იქცევა.

ამიტომ აეროპლანს აქვს ავტომობილისებრი ბორბლები, რომელთა წყალობითაც იგი დედამიწაზე მიგორავს, ვიდრე გაჩერდება ბოლოს. ამიტომ ყველგან ადვილად და უხიფათოდ არ შეიძლება მას გაჩერება. ამის გამო დასაშვები მოედანი ფართო უნდა იყოს, რომ აეროპლანს ჰქონდეს მანძილი აფრენის ან დაშვების დროს გასარბენად. ზოგ აეროპლანებს ბორბლების მაგიერ დახურულ ნავებს უკეთებენ. ასეთი აეროპლანები, რომლებსაც ჰიდროპლანები ეწოდება, ჰაეროდრომის მაგიერ სარგებლობენ ზღვით, ტბით ან მდინარით.

### 5) ავიაციის მშვიდობიანი ამოცანები

საავიაციო საქმე სამხედრო მიზნებისათვის განვითარდა. მაგრამ რაც უფრო მეტი ხანი გადის, მით უფრო ძვირფასი ხდება იგი მშვიდობიანი ცხოვრების ამოცანებისათვის. პირველი ასეთი ამოცანა სწრაფი სამგზავრო და საფოსტო მიმოსვლა, შემდეგ ტყის ხანძრების აღმოჩენა, სასოფლო მეურნეობის მავნე ცხოველთა და მწერების (მაგალითად, კალიის) აღმოჩენა და მათთან ბრძოლა, ბოლოს, არა მარტო ვაკე, არამედ მთიანი ადგილების გეგმათა მეტისმეტად სწრაფი და იაფი გადაღება.

ფრენის უდიდესი სისწრაფე ყოველგვარ ქარიშხალთან ბრძოლას აადვილებს. აეროპლანზე მოწყობილი რადიო თითქმის სპობს მგზავრობის მთავარ საფრთხეს — ნისლს. ბოლოს, საფრთხის აცილება მფრინავის გულის წასვლის ან სხვა ავადმყოფობის დროს შეიძლება ავტომატიური აპარატის შემწეობით, რომელიც ფრენის გეზს იცავს უსაფრთხოდაც კი.

ამგვარად, ადამიანმა არა მარტო ყველა სხვა ცხოველს გაასწრო თავისი ნიჭით, არამედ ლამის ფრინველსაც აჯობა ფრენაში, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, აჯობა კიდეც—ფრენის სისწრაფისა და ხანგრძლივობის მხრივ.

ინჟ. ა. ლემანი.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 104.

## მცენარეთა გული, ნერვიული სისტემა და სხვა ორგანოები

ინდოელმა მეცნიერმა იაგადის ბუზმა გამოაქვეყნა შესანიშნავი გამოკვლევა მცენარეთა აგებულების შესახებ, რომელიც ძირფესვიანად სცვლის შეხედულებას მცენარეულობის ორგანიზმზე.

ბუზე ამტკიცებს, რომ მცენარეებს მოეპოვება ნერვიული სისტემა, გული, სასუნთქი და სხ. ორგანოები. მან გამოარკვია, რომ მცენარეები ძლიერ ფხიზლად უპასუხებენ გარემო-პირობების ყოველგვარ გამოცვლაზე: ჰაერის თბილობის და განათების სიძლიერის, ცვალებადობაზე, მექანიკურ ზეგავლენაზე (შერყევა, დარტყმა) და სხ. ფოთლებში და ღეროებში მოიპოვება ორი სახის ნერვები—შეგრძნობის და მამოძრავებელი. პირველი სახის ნერვები არიან იმ შეგრძნობათა გამტარებლები, რომლებიც წარმოიშობა მცენარის პერიფერიაში (კიდეებში); მეორე სახის ნერვები კი—კანტროლს უწევენ მიზანშეწონილ რეაქციას (პასუხს) ამ შეგრძნობაზე. მცენარის „გული" წარმოადგენს უჯრედების განსაკუთრებულ ფენას, რომელიც მდებარეობს მცენარის ქერქის მახლობლად. ეს ფენა იმყოფება განუწყვეტელი პულსაციის (ძგერის) მდგომარეობაში, რაც ხელს უწყობს წვენების მოძრაობას მცენარის ტანში, ეს არის თავისებური „სისხლის მიმოქცევა" მცენარეში.

მცენარის შეგრძნობიერება ზოგიერთ გარეშე ზეგავლენათა მიმართ პირდაპირ განსაცვიფრებელია. თუ ადამიანის ენის წვერით შეუძლია შეიგრძნოს 6 მილიონ ამპერის სიძლიერის ელექტრო-დენი, ზოგიერთ სახის მცენარეები შეიგრძნობენ ერთი მეათმილიონედი ამპერის სიძლიერის დენს.

შემდეგ ბუზმა გამოარკვია, რომ მცენარეები „იღლება" და „თვრება" ნარკოტიკების (მათრობელ ნივთიერებათა) და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. ელექტრო-დენით მცენარის გაღიზიანების დროს ბუზმა შენიშნა, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ მცენარის პასუხი გაღიზიანებაზე თანდათანობით სუსტდება და ბოლოს სრულიად წყდება. მაგრამ საკმაო იყო ერთი საათის „დასვენება", რომ მცენარეს აღდგინა გაღიზიანებაზე პასუხის გაცემის უნარი. ერთი ასეთი ცდის დროს მეცნიერი ერთიან გაკვირვებული დარჩა, როცა მცენარეს დაღლილობის ნიშნები გამოაჩნდა დიდი ხნით ადრე, ვიდრე ჩვეულებრივ. მაგრამ ჩქარა ეს დროებითი ღონემიხდილობა გაქრა. მეცნიერმა მრავალი დაკვირვებების შემდეგ მოახერხა ამ მოვლენის ახსნა. აღმოჩნდა, რომ მცენარე „სუსტდება" იმ დროს, როცა მზეს ფარავს ღრუბლები და ნელდება განათების ძალა.

ერთ-ერთი ფრიად საინტერესო მოვლენა, რომელიც შენიშნა მეცნიერმა, ეს არის—მცენარისა და მისი ცალკე ნაწილების „სიკვდილი". მცენარის მარცვლების გათბობის დროს ბუზმა, შენიშნა, რომ განსაზღვრულ მომენტში მარცვალი იძლეოდა ძლიერი ელექტრო-დაცლას, რომლის ძალა აღწევდა 0,5 ვოლტამდი. ამ მომენტამდე მოყოლებული მარცვალს კიდევ ჰქონდა აღმოცენების უნარი. ელექტრო-დაცლის შემდეგ კი მარცვალი „კვდებოდა". ამგვარად მეცნიერმა დაასკვნა, რომ ელექტრო-დაცლის მომენტი არის მარცვლის „სიკვდილის" მომენტი. „სიკვდილის" ელექტრო-დაცლის ძალის შესახებ წარმოდგენის მოცემა შეუძლია შემდეგ გამოანგარიშებას: თუ მოვაგროვებთ მუხუდოს 1000 მარცვალს და გავათბობთ მათ, იმ შემთხვევაში; თუ მარცვლების „სიკვდილი" ერთ მომენტში მოხდება,—წარმოიშობა 500 ვოლტიანი ელექტრო-დენი, რომელსაც შეუძლია ადამიანის მოკვლა. თუ ამას სინამდვილეში არასდროს არა აქვს ადგილი მუხუდოს ხარშვის დროს,—ეს იმიტომ, რომ მარცვლების „სიკვდილი" ერთდროულად არ ხდება და მეორეც იმიტომ რომ მარცვლები ქვაბში მოყრილი და ცალკე ელექტრო-დაცლები ერთიმეორის ძალას.

თავისი ცდების და გამოკვლევების დროს ინდოელი მეცნიერი სარგებლობდა ზედმიწევნით ზუსტ ხელსაწყოებით. ამისი ხელსაწყოების მგრძნობიარობის შესახებ წარმოდგენის მოცემა შეუძლია შემდეგს: მეცნიერი თავისი ხელსაწყოს საშუალებით აზომავდა მცენარის [illegible] დიუმის სისწრაფით ზრდას წამში. მეორე ხელსაწყოს საშუალებით მან მოახერხა ამ სისწრაფის გადიდება ათმილიონჯერ და ეკრანზე მიიღო სურათი მცენარის ზრდის, რომელიც იწევდა ზევით (იზრდებოდა) ერთი ფუტის (30-დე სანტიმეტრის) სისწრაფით წამში.

## ავტო-ექსპრესი

საფრანგეთ-გერმანია-იტალიას შორის ამჟამად სწარმოებს მოლაპარაკება განსაკუთრებული დანიშნულების გზატკეცილების მოწყობის შესახებ. დანიშნულება ამ გზატკეცილების, რომელთა თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მათზე ავტომობილებით მოძრაობა იწარმოებს მხოლოდ 40-ზე მეტი კილომეტრის სისწრაფით საათში (ევროპის უმთავრეს ქალაქებში ავტომობილების სვლის ნებადართული სისწრაფე საათში 20—25 კილომეტრს არ აღემატება),—იქნება ამ სამი ქვეყნის დაკავშირება ავტო-მიმოსვლის საშუალებით. უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ეს სპეციალური გზატკეცილები ზევიდან გადაუვლის რკინის გზებსა და ჩვეულებრივი გზების ჯვარედინებს. განზრახულია ქსელის ერთ ერთი ხაზი შეაერთებს ქალაქებს: შტრასბურგ-[illegible]-ტური—ნიცცა, გენუა-რომი-ნეაპოლი; მეორე: გენუა—ვერონა — მიუნხენ-ლეიპციგ-ბერლინი შტეტტინი; მესამე: გენუა-მილანი-ციურიხი-ბაზელი-ჰამბურგი.

ახალ გზებზე ივლიან სპეციალური სწრაფად მავალი ავტომობილები. ამ ავტომობილების საშუალო სისწრაფე იქნება 80 კილომეტრი საათში.

## პერგამენტის „გაახალგაზრდავება"

ინგლისის მუზეუმში უკვე 50 წელიწადია ინახება ძველი ეგვიპტური პერგამენტი, მასზე დახატული იეროგლიფებით (ლურსმნული წარწერებით), პერგამენტი გათხრების დროს ისეთი დაძველებული სახით იპოვეს, რომ არქეოლოგებმა, დაშლის შიშით, ვერ გაბედეს მისი გახსნა, ასე წაუკითხავად ინახებოდა იგი ინგლისის მუზეუმში. ამ რამოდენიმე ხნის წინათ მუზეუმის სპეციალისტებმა მოახერხეს პერგამენტის „გაახალგაზრდავება". ამ მიზნით მათ ხელთნაწერი რამოდენიმეჯერ გაჟღინთეს ცელულოიდის ხსნარით. დიდი ცდების შემდეგ პერგამენტი იმდენად გამაგრდა, რომ შესაძლებელი გახდა მისი გაშლა. ამ ცდების დროს იეროგლიფები სრულიად არ დაზიანებულა.

## სისწრაფის რეკორდი

ამერიკელმა მფრინავებმა დაამყარეს სისწრაფის ახალი რეკორდი: მათ მოახერხეს 450 კილომეტრის გავლა საათში. ასეთი სისწრაფის პირობებში გადაფრენის ეკვატორის გარშემო (40.000 კილომეტრის მანძილზე) მოუნდება მხოლოდ ოთხი დღე.

მაგრამ ეს სარეკორდო სისწრაფე ძლიერ ჩამორჩება სისწრაფეს ყუმბარისას, რომელიც წამში 800 მეტრის სისწრაფით მოძრაობს. ყუმბარას დედამიწის გარშემო წრის გასაკეთებლად დასჭირდებოდა მხოლოდ 17 საათი. მაგრამ ავტომობილიც, რომელიც მიჰქრის 100 მეტრის სისწრაფით წამში, აეროპლანი, რომელიც 130 მეტრს აკეთებს ჰაერში, ყუმბარაც, რომელიც თავისი ნიშნისკენ წამში 800 მეტრის სისწრაფით მიექანება,—ყველა ესენი ძლიერ ნელა მოძრაობენ დედამიწასთან შედარებით. ჩვენი დედამიწა მზის გარშემო მოძრაობს 30 კილომეტრის სისწრაფით საათში. თვით მზე კი, როგორც ვიცით, ყველა პლანეტებთან და კუდიან ვარსკვლავებთან ერთად, რომელიც მის სისტემაში შედის, მიჰქრის სამყაროს სივრცეში, მაგრამ ეს ქროლვა გაცილებით ნელია, ვიდრე დედამიწის მოძრაობა—იგი მხოლოდ 19 კილომეტრს უდრის წამში.

სისწრაფე ე. წ. „უძრავ" ვარსკვლავების, რომლებიც შორეულ მზეებს წარმოადგენენ, სხვადასხვანაირია. ასტრონომების დაკვირვებით, ყველაზე უსწრაფესი მათ შორის წამში მიჰქრის 450 კილომეტრის სისწრაფით.

მაგრამ დედამიწაზეც კი ჩვენ ვართ მოწმე უფრო დიდი სისწრაფეების. მართალია, სისწრაფის ეს „ჩემპიონები". თავისი სიდიდით სრულიად არ წააგავენ მზეს ან პლანეტებს ეს არის ატომები, რომელთაც საშინელი სისწრაფით გამოჰყოფს რადიუმი. ეს უხილავი ნაწილაკები (რადიუმის ე. წ. „ალფა-სხივები") წამში მოძრაობენ 2.000 კილომეტრის სისწრაფით.

იმავ რადიუმის სხვა სხივები უფრო მეტის სისწრაფით მოძრაობენ, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე სინათლის სხივები, რომელთა სისწრაფე 300.000 კილომეტრს უდრის წამში. სინათლის სხივს ერთი წამის განმავლობაში შეუძლია 8-ჯერ შემოუაროს ჩვენს დედამიწას. მისთვის საკმაოა წამნახევარი, რომ გაიაროს მანძილი დედამიწიდან მთვარემდე, 8 წამი, რომ მზიდან დედამიწამდე მიაღწიოს და ოთხი საათი, რათა მიაღწიოს ნეპტუნამდე—მზის სისტემის პლანეტამდე (ე. ი. გაიაროს 4.320.000.000 კილომეტრი).

მაგრამ, თუ რადიუმის სხივებს ეკუთვნის ერთ-ერთი პირველი ადგილი სისწრაფის მხრივ, მასვე ეკუთვნის სინელის რეკორდიც. რადიუმი, რომელიც გამოჰყოფს სამგვარ სხივებს, თანდათანობით იცვლის თავის ბუნებას, მაგრამ ეს ცვლილება ხდება არაჩვეულებრივად ნელა. საჭიროა 1.700 წელიწადი, რომ ნახევარი მილიგრამი რადიუმი გადაიქცეს სხვა ნივთიერებათ. მაგრამ თვით რადიუმიც სხვა ნივთიერებიდან წარმოიშობა და ამ ნივთიერების ნახევარ მილიგრამის გადაქცევისათვის რადიუმათ საჭიროა 100.000 წელიწადი.

## მედიცინა ძველ ეგვიპტეში

ძველი ეგვიპტის საექიმო პაპირუსების (ხელთნაწერების) შესწავლამ დ-რი დაუსონი (ინგლისი) იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ ფარაონების დროის მედიცინა შეიძლება გაყოფილ იქნას ორ, ერთი მეორის საწინააღმდეგო ნაწილად. საექიმო ხელთნაწერები უდაოთ ამტკიცებენ, რომ ყველა გადამდებ ავადმყოფობათა მკურნალობა ძველს ეგვიპტეში ეყრდნობოდა „ჯადოქრობაზე", ყველა წამლებისათვის, იმათთვისაც კი, რომლებიც მართლა შველოდენ ავადმყოფობის წინააღმდეგ, უნდა „შელოცვათ" წინასწარ, ვინაიდან მაშინდელ „ექიმთა" აზრით, ავადმყოფობა „ავი სულის" ბრალი იყო და მისი „განდევნა" სხეულიდან შეიძლებოდა მხოლოდ „შელოცვით".

ქირურგია კი, პირიქით, მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული. აიხსნება ეს იმით, რომ ეგვიპტეში გავრცელებული იყო მიცვალებულთა შემუმიების წესი.

## წყლის ენერგიის გამოყენება

### ევროპასა და ამერიკაში

შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს ცნობით, ძალოვნება ჰიდრო-ელსადგურების (სადაც გამოყენებულია წყლის ვარდნის ენერგია) 1927 წ. შეერთებულ შტატებში შეადგენდა 11.700.000 ცხენის ძალას. ევროპის ყველა სახელმწიფოთა ჰიდრო-ელსადგურების საერთო ძალოვნება კი ამავე წელს 13.100.000 ცხ. ძალას უდრიდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შეერთებული შტატების ჰიდრო-ელსადგურების ძალოვნება გაიზარდა 3.800.000 ცხ. ძალით, ე. ი. 32 პროცენტით, ევროპის ჰიდრო-ელსადგურების კი—4.200.000 ცხენის ძალით, ე. ი.—33 პროც.

## „ჰაერის ორმოები"

ე. წ. „ჰაერის ორმოები" მთავარ საფრთხეს წარმოადგენენ თანამედროვე ავიაციისათვის. „ჰაერის ორმოში" მოხვედრილი აეროპლანი საშინელის სისწრაფით ვარდება დაბლა, მფრინავი ვერ ახერხებს აპარატის მართვას და მგზავრებს შიშის [illegible] უვლის ტანში. სამოქალაქო ავიაციის პრაქტიკაში ცნობილია ისეთი ფაქტები, როცა მფრინავი იძულებული იყო დაშვებულიყო, რადგან „ჰაერის ორმომ" არ მისცა მას ფრენის გაგრძელების საშუალება.

თუ რას წარმოადგენენ ეს „ჰაერის ორმოები", ეს დღემდე დაწვრილებით არ არის გამოკვლეული. იციან მხოლოდ შემდეგი: „ჰაერის ორმოებს" თითქმის მუდამ უჭირავთ ერთი და იგივე ადგილი ისე, რომ მფრინავი, რომელიც დიდი ხანია ფრენს ერთი მარშრუტით, იმდენად ეჩვევა თავის გზას ჰაერში, რომ აპარატი მიჰყავს, როგორც გამოცდილ ლოცმანს გემი წყალქვეშა კლდეებით სავსე ყურეში.

„ჰაერის ორმოების" შესწავლას ამ რამდენიმე ხნის წინად შეუდგა შეერთებული შტატების ავიაციის სამინისტრო. გამომკვლევი პირები შემდეგ დასკვნამდე მივიდნენ: „ჰაერის ორმოების" წარმოშობა შეიძლება ორმა მიზეზმა გამოიწვიოს: ან დედამიწის ზედაპირის უსწორმასწორობამ, რაც ჰქმნის ჰაერის ზეამავალ და ქვემოთ ჩამომავალ დინებას, რომელთა შეხვედრა წარმოადგენს „ჰაერის ორმოს", ან დედამიწის ორი მეზობელი რაიონის ჰაერის თბილობის სხვადასხვაობამ: უფრო თბილი რაიონიდან ჰაერი ზევით მისწრაფვის, უფრო ცივი ჰაერი კი მეორე რაიონში დაბლა ეშვება.

## მსოფლიოში უდიდესი ჰიდროპლანი

სურათზე ნაჩვენებია მსოფლიოში უდიდესი ჰიდროპლანი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ ააგეს გერმანიაში. ჰიდროპლანი იწონის 44 ტონას და გარდა რაზმისა იტევს 50 მგზავრს. ჰიდროპლანზე დადგმულია ექვსი მოტორი.

# სააფთიაქო საქმე ჩვენში

### (აფთიაქების ნაციონალიზაციის 7 წლის თავის გამო)

საბჭოთა აფთიაქის შესახებ, ძალიან ცოტა იწერება. ამიტომ დღეს, აფთიაქების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების 7 წლის თავზე, ზედმეტი არ იქნება, რომ მკითხველი გავაცნოთ სააფთიაქო საქმის მდგომარეობას ჩვენში. აფთიაქი უმთავრესად მესაკუთრეთა შემოსავლის წყარო იყო. მეპატრონე თავის გაუმაძღარ მადის დასაკმაყოფილებლად, ფალსიფიკაციასაც კი არ თაკილობდა. არა ერთი და ორი შემთხვევა იყო თავის დროზე აღნიშნული, როცა აფთიაქის მეპატრონე, ექიმის მიერ გამოწერილ ძვირფასი წამლის მაგიერ, სულ სხვა იაფ წამალს, ანდა გამოწერილის, ბევრით ნაკლები რაოდენობით აძლევდა ხოლმე ავადმყოფს, ლოგიკურად, რა თქმა უნდა, [illegible]. არა ერთი შემთხვევა იყო აგრეთვე ისეთი, როცა მეპატრონე შესაზავებლად გამოწერილ ორ-სამ თავ წამლიდან, ერთს სრულიად აკლებდა. წამლეულობის დამზადების, წესის და კანონების დაცვის შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ყოველივე ამის გამომჟღავნებელი „ურჩი" აფთიაქის მუშაკი, არა ერთხელ გვინახავს ქუჩაში გამოსროლილი აფთიაქიდან მეპატრონის მიერ.

აფთიაქის მუშაკთა უუფლებრივი მდგომარეობა, ყოველგვარ კრიტიკის გარეშე იდგა. გაფიცვები და შეხლა-შემოხლა აფთიაქების მუშაკთა და მეპატრონეთა შორის მუდამ ხასიათს ატარებდა. ასე იყო განსაკუთრებით 1921 წლის წინა ხანებში.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს ჩვენ? კერძო მეპატრონეებს ჩამოერთვათ სამასამდე აფთიაქი, მათგან გაუქმდა და გაერთიანდა რამოდენიმე აფთიაქი, რადგან ისინი იყო გახსნილი ისეთ პუნქტებში და რაიონებში, სადაც ეს ხელსაყრელი იყო ვაჭრობის და მოგების მხრივ მეპატრონეებისათვის. ზოგი ცენტრალური რაიონი გადატვირთული იყო აფთიაქებით, განაპირა უბნები კი თითქმის სრულიად მოკლებული იყო ამ „კომფორტს". ამისათვის საჭირო შეიქნა ზოგიერთ ცენტრალური რაიონებში შეჯგუფულ აფთიაქების გაუქმება და განაპირა ადგილებში გადატანა, ეს მით უფრო შესაძლებელია ეხლა, როცა საბჭოთა აფთიაქი არ მისდევს მოგებას, ზედმეტ ვაჭრობას, არამედ მისი მიზანია ემსახუროს მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს.

ბევრია გაკეთებული სააფთიაქო საქმის რაციონალიზაციის დარგშიაც; თბილისში მოწყობილია საჩვენებელი აფთიაქი, ახალი სასისტემო მაგიდებით და ყველა სამუშაო იარაღების განახლებით. ასეთ მაგიდებით მოწყობილია თბილისის აფთიაქების 80 პროც. გაუკეთდა რემონტი თითქმის 75-80 პროც. ყველა აფთიაქებს, რომლებიც აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ. რა თქმა უნდა, ყველა საჭირო სამუშაოების ამ მოკლე ხნის განმავლობაში დამთავრება შეუძლებელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ მხრივ განუწყვეტლივ სწარმოებს. დაწყებულია აგრეთვე წამლეულ მცენარეთა პლანტაციის მოშენება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და ჩვენს სინამდვილეში მას დიდი მომავალი აქვს.

იმის გამოსარკვევად, თუ რა გაკეთდა სააფთიაქო საქმის დარგში საბჭოთა ხელისუფლების დროს, საკმარისია გადავათვალიეროთ რამოდენიმე ციფრი თბილისის აღმასკომის სააფთიაქო სამმართველოს მუშაობის ანგარიშიდან.

სააფთიაქო სამმართველო დაარსდა 1924 წ. ივნისში და დაარსების დღიდან მან გაუკეთა კაპიტალური რემონტი ქალაქის 9 და სოფლის 6 აფთიაქს და აგრეთვე ცენტრალურ სააფთიაქო საწყობს; გარდა ამისა, მან გაუკეთა რემონტი კიდევ 3 აფთიაქს, რომელიც ამჟამად გადაცემული აქვს ჯანმრთელობის განყოფილებას. სულ რემონტზე დახარჯულია 22.000 მანეთი. შეძენილია აფთიაქებისათვის სამუშაო ინვენტარი 58.000 მანეთის. გაუკეთდა შეღავათი დაზღვეულებს გაცემულ მედიკამენტებზე 1924 წ. განმავლობაში 46.785—19 კაპ., 1924-25 წელში 231.649—88 კაპ., 1925-26 წელში 168.037—48 კ. და 1926-27 წელში 183.232—36 კაპ.; სულ 629.704—91 კაპ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მოვახდინეთ რამოდენიმეჯერ მედიკამენტების ფასის დაკლება და ამჟამად აფთიაქებიდან მედიკამენტებს ვყიდით დაახლოვებით მშვიდობიანი დროის ფასებში, ეს მაშინ, როდესაც თვით აფთიაქებისათვის წამლეულობის ყიდულობა მშვიდობიან დროის ფასებთან შედარებით 25—100 პროცენტით უფრო ძვირად, ხოლო შტატი აფთიაქებში მომუშავეთა გვყავს 30 პროცენტით უფრო მეტი, ვინემ ჰყავდა კერძო მეაფთიაქეს ამავე სამუშაოს შესასრულებლად. ეს იმიტომ, რომ ეხლა აფთიაქებში მომუშავეები მუშაობენ გაცილებით ნაკლებ დროს, საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, ვინემ კერძო მეაფთიაქეებთან მუშაობდნენ.

ჩვენ არ გვინდა, რა თქმა უნდა, დავმალოთ ჩვენი ნაკლი, ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. სამუშაო და გასაკეთებელი, როგორც სააფთიაქო საქმის რაციონალიზაციის, ისე აფთიაქის მუშა-მოსამსახურეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში ბევრია, მაგრამ წარსული 7 წლის მუშაობის შედეგები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საბჭოთა აფთიაქი დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას და იმ სათანადო სიმაღლეზე აიყვანს ამ საქმეს, რომელიც მას საქართველოს მშრომელმა დააკისრა.

**სანდრო კოპალაძე.**

# სამრეწველო წარმოებების მუშაობის აღრიცხვა

ამიერ-კავკასიის მრეწველობის მოწესრიგების მიზნით, ა.-კ. უმაღლეს ეკონომ. საბჭომ აუცილებლად სცნო სამრეწველო წარმოებათა მუშაობის ყოველმხრივი აღრიცხვა.

ამ მიზნით, ა.-კ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან მოწყობილი იქნება მრეწველობის ზედამხედველი ბიურო, რომელშიაც შევლენ ა.-კ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს, ა.-კ. შრომის სტატისტიკის ბიუროს, ა.-კ. პროფსაბჭოს, ა.-კ. სახეგმო კომისიის ეკონომიურ-სტატისტიკური და სამრეწველო სექციის წარმომადგენლები. აღნიშნულ ბიუროს ევალება ყოველთვიურად შეკრიბოს მოკლე ცნობები სახელმწიფო ცენზიან მრეწველობის და სახელმწიფო მნიშვნელობის კოოპერატიულ და კერძო წარმოებათა მუშაობის შესახებ და დაამუშაოს ეს მასალები ამიერ-კავკასიის მრეწველობის საქმიანობის გაშუქების მიზნით. ა. კ. სტატსამმართველოს დაევალა ა.-კ. სახეგმო კომისიასთან ერთად შეადგინოს სია იმ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო წარმოებათა, რომლების მუშაობის აღრიცხვა უნდა აწარმოოს მრეწველობის ზედამხედველმა ბიურომ.

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო წარმოებათ დაევალათ ყოველთვიურად გადაუგზავნონ სტატისტიკური ცნობები თავის მუშაობის შესახებ ა.-კ. სტატ. სამმართველოსთან ახლათ დაარსებულ მრეწველობის ზედამხედველ ბიუროში.

# მკითხველთა საქალაქო კონფერენცია

კვირას მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგა თბილისის ბიბლიოთეკების მკითხველთა პირველი საქალაქო კონფერენცია. პროფსაბჭოს სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ზ. მაჩაიძე, რომელმაც აღნიშნა ბიბლიოთეკების როლი მუშა-მკითხველების განვითარების საქმეში.

— ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემა,—ამბობს ამხ. მაჩაიძე,—ჩვენს წინაშე აყენებს მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღლების ამოცანას. კარგი წიგნის საშუალებით მუშა შეისწავლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს. დღევანდელი მკითხველთა მასიური კონფერენციის მოწვევა ამტკიცებს, რომ მშრომელ მასების კულტურული განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

**მკითხველთა კონფერენციების შედეგები**

მისალმების შემდეგ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ამხ. მხითარიშვილის მოხსენება ცალკე პროფკავშირების ხაზით მოწვეულ მკითხველთა კონფერენციების შედეგების შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მკითხველთა კონფერენციებზე მუშა-მკითხველების მიერ აღნიშნული იყო საბიბლიოთეკო მუშაობაში შემჩნეული შემდეგი დეფექტები: ქართული წიგნების სიმცირე თითქმის ყველა ბიბლიოთეკებში, ახალი წიგნების ნაკლებობა, მხატვრული ლიტერატურის (უმთავრესად კლასიკების) სიმცირე და სხვა. ყველა კონფერენციებზე მკითხველები აღნიშნავდენ, რომ ის ქართული წიგნები, რომლებიც მოიპოვება ბიბლიოთეკებში უცხოეთის თარგმნილი ლიტერატურა, რომელსაც მუშა-მკითხველები არ ეტანებიან და სხვა.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საბიბლიოთეკო მუშაობის დეფექტებზე და აღნიშნავს, რომ არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად საჭიროა მკითხველთა კრიტიკას ფართო გასაქანი მიეცეს და სისტემატიურად სწარმოებდეს მკითხველთა ინტერესების შესწავლა.

დასასრულ, ამხ. მხითარიშვილს შეაქვს წინადადება მიღებულ იქნეს დადგენილება, რომლითაც წინადადება მიეცემა სახელგამს და სხვა გამომცემლობებს გააძლიერონ ქართული წიგნების გამოცემის საქმე, ვინაიდან ის ქართული წიგნები, რომელთა გამოცემაც მოისწრო გასული 2 წლის განმავლობაში (1000-მდე სახელწოდების წიგნი) სრულიად ვერ აკმაყოფილებს მრავალრიცხოვან მკითხველთა მოთხოვნილებას.

**ბიბლიოთეკების მუშაობა**

2 წლის წინად სულ თბილისში არსებობდა 91 პატარა ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკების გაერთიანების შემდეგ ქალაქში დატოვებულ იქნა 26 ცენტრალური ბიბლიოთეკა, 5 საბავშვო სამკითხველო და 300 მოძრავი ბიბლიოთეკა. ყველა ბიბლიოთეკებში ამჟამად მოიპოვება 148.000 ტომი წიგნები. გასულ 2 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკებს ყავთ 20.000 მუდმივი მკითხველი. მკითხველთა შორის პროპორციონალურად უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, შემდეგ რუსები და სომხები.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია საბიბლიოთეკო მუშაობის მიღწევები და შემჩნეული დეფექტები; რეზოლუცია მოუწოდებს საგამომცემლო ორგანიზაციებს მიიღონ ზომები ბაზარზე მუშა-მკითხველებისათვის საინტერესო წიგნების გამოსაშვებათ.

# ნათესების მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

### (ა. კ. სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მასალებიდან)

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობებით, ამინდი აპრილის მეორე ნახევარში თბილი იყო, რამაც ხელი შეუწყო თესლის სწრაფად გაღივებას და ხვნა-თესვის სამუშაოების წარმატებით ჩატარებას.

მთავარი პურეულის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: შემოდგომის ხორბალი—3,5, შემოდგომის ქერი—3,5 გაზაფხულის ხორბალი—3,1, გაზაფხულის ქერი—3,1, სიმინდი—3,6 (საქართველოში).

გასულ წელთან შედარებით ყველა პურეულის მდგომარეობა წელს უკეთესია: შემოდგომის ხორბალის მდგომარეობა უკეთესია 0,3 ნიშნით, შემოდგომის ქერის—0,4 ნიშნით, გაზაფხულის ხორბლის—0,1, გაზაფხულის ქერის—0,1 ნიშნით.

საქართველოში ნათესების მდგომარეობა გამოიხატება შემდეგში: შემოდგომის ხორბალი—3,4, შემოდგომის ქერი—3,4, გაზაფხულის ხორბალი—3,1, გაზაფხულის ქერი—3,1; სიმინდი—3,6.

ცალკე მაზრების მიხედვით მდგომარეობა ასეთია: ახალქალაქის მაზრაში: შემოდგომის ხორბალი—2,8, ჭვავი—2,8, ახალციხის მაზრაში შემოდგომის ხორბალი—2,4, გაზაფხულის—3,0, გაზაფხულის ქერი—3,2; ბორჩალოს მაზრაში შემოდგომის ხორბალი—3,6, ქერი—3,6; გორის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—3.0, შემოდგომის ქერი—3,3; დუშეთის მაზრაში—შემოდგომის და გაზაფხულის ხორბალი—3,0; სიღნაღის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—4,0, გაზაფხულის—3,5, შემოდგომის ქერი—4,0, გაზაფხულის—3.5; თბილისის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—3,3, გაზაფხულის—3,0, შემოდგომის ქერი—3,1, გაზაფხულის—3,0; თელავის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი და ქერი—4,0; სამხრეთ-ოსეთში—შემოდგომის და გაზაფხულის ხორბალი და ქერი—0,3; ქუთაისის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—3,5; რაჭის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—2.0, ქერი—0,4; სენაკის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი—4,0; შორაპნის მაზრაში—შემოდგომის ხორბალი და ქერი—2,5; დანარჩენი მაზრებიდან ცნობები არ არის მიღებული.

ხილის ბაღების მდგომარეობა ხასიათდება 3,4 ნიშნით, ვენახების—3,0.

# თბილისის მაზრის კურორტებში

მიმდინარე სეზონისათვის მაზრის კურორტების მოწყობა თითქმის დამთავრებულია. ყველა ბინებს გაუკეთდა დეზინფექცია და ჩატარდა მათი ნაწილობრივი შეკეთება. აგრეთვე შეკეთებული იქნა აგარაკების ავეჯეულობა. ზოგიერთ აგარაკებისათვის შეძენილია ახალი მოწყობილობა.

ამჟამად მანგლისში ეწყობა კურზალი სასადილოთი. წელს მანგლისის ყველა აგარაკებში გაყვანილი იქნება ელექტრონის სინათლე და წყალსადენი.

სწარმოებს გზა-ტკეცილის შეკეთება მანგლისამდე.

კოჯორში ეწყობა სასტუმრო 12 ოთახით, სასტუმროსათვის შეძენილია ახალი ავეჯეულობა.

სასტუმრო მუშაობას დაიწყებს სეზონის გახსნისთანავე. კოჯორში ყველა შენობა გასუფთავებული და წესრიგში მოყვანილია.

მიღებულია ზომები ყველა კურორტებზე სანიტარული პირობების დასაცავად. მოაგარაკეთათვის სამედიცინო დახმარების გაადვილების მიზნით გადიდებულია სამკურნალო დაწესებულებების რიცხვი.

აგრეთვე მიღებულია ზომები კურორტების სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად. იმ საკურორტო ადგილებში, სადაც დღემდე გახსნილი არ არის კოოპერატიული სავაჭრო, მაგალითად კიკეთში, მოეწყობა მოძრავი კოოპერატიული სავაჭროები.

კოჯორისა და მანგლისში გაიხსნება კინო-თეატრები და მოეწყობა სასპორტო მოედნები, როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილებისათვის.

საკურორტო ქვე-განყოფილების ცნობით, მაზრის ყველა კურორტებზე წელს გაიგზავნება დაახლოებით 8000 სული; საკურორტო ქვე-განყოფილებას კოჯორში აქვს 1.089 ოთახი, მანგლისში—203, კიკეთში—66, წყნეთში—27.

ყველა ოთახების უმრავლესობა უკვე გაცემულია.

ოთახები ეძლევათ მუშა-მოსამსახურეებს შეღავათიან პირობებში, კერძო პირებზე წელს გაცემული იქნება ყველა ოთახების მხოლოდ 25 პროცენტი.

მაზრის კურორტებზე აგარაკები დაყოფილია 3 ხარისხად. I ხარისხის ოთახის თვითეულ მეტრზე, ის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც ჯამაგირს იღებენ 75 მანეთამდე, გადაიხდიან 2 მ., ისინი, რომლებიც ჯამაგირს იღებენ 75 მანეთიდან 160 მანეთამდე იხდიან—3 მ.; 160 მანეთიდან 210 მანეთამდე—3 მ. 40 კ., ხოლო ვინც 210 მანეთზე მეტს იღებს—4 მანეთს.

მეორე ხარისხის ოთახების თვითეულ მეტრზე იხდიან: მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც იღებენ თვეში 75 მანეთს—1 მ. 20 კ.; 75 მანეთიდან 160 მანეთამდე—1 მ. 80 კ.; 160 მანეთიდან 200 მანეთამდე—2 მ. 40 კ., ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ 210 მ. მეტს—3 მ. 80 კ.

მესამე ხარისხის ოთახების თვითეულ მეტრზე 75 მან. ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურე იხდის—80 კ.; 75—160 მანეთამდე—1 მ. 20 კ.; 160—210 მანეთამდე—1 მ. 60 კ.; ხოლო ისინი, რომლებიც იღებენ 210 მანეთზე მეტს, იხდიან—2 მანეთს.

თბილისის მაზრის ყველა კურორტებზე სეზონის გახსნა განზრახულია 1 ივნისიდან.

# საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

### სენაკის მაზრაში

ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებულ ანგარიშების მიხედვით: სენაკის მაზრაში გლეხკომებს ამჟამად აქვს 56 ქცევა სახნავ სათესი მიწა, 1 ქცევა ვენახი და ბაღი, 118 ქცევა საბალახო მიწები, აქვთ სამჭედლოები, წისქვილები, ფურნები, სასადილოები, ბირანი და აგურ-კრამიტის დასამზადებელი ქარხნები. გლეხკომების მთელი წარმოებები და ქონება შეფასებულია 39.904 მანეთად. 1926 წლის პირველ ოქტომბრიდან 1928 წ. პირველ იანვრამდე მაზრაში გლეხკომებს სულ შემოუვიდა საწევრო გადასახადიდან—6.398 მან. 20 კაპ., წარმოებიდან—10.711 მან. და 89 კაპ., ადგილ-მამულიდან—1.047 მან. და 50 კაპ., ირაო, ანუ უპატრონო საქონლიდან—14.910 მან. და 29 კაპ., ზემო-აღნიშნულ დროის განმავლობაში გლეხკომებმა სესხათ მისცეს ღარიბ გლეხებს მეურნეობაში მოსახმარათ—2.481 მან. და 34 კაპ., ქვრივებს, ობლებს და ინვალიდებს ერთდროული და ხმარებათ დაურიგდათ—2.934 მან. და 1 კაპ., ღარიბი გლეხებისათვის შეძენილია 1.000 მანეთის კოოპერატივის საწევრო პაიები და დაიხარჯა ახალი წარმოებების მოწყობაზე 16.257 მან. და 75 კაპ. სენაკის მაზრაში გლეხკომებში სულ გაერთიანებულია—187 სოფელი. ამ 187 სოფელში ამჟამად სულ ცხოვრობს—29.902 კომლი გლეხი, ამათში გლეხკომებშია წევრებათ ჩაწერილი ეხლა—19.181 კომლი გლეხი.

**პენსიების მისაცემათ**

დამსახურებული, რევოლუციონერების საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, მსახიობების და მათი ოჯახებისათვის პენსიების მისაცემათ მაისში საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ რესპუბლიკის მთავარ შემნახველ სალაროს გადასცა 14.069 მანეთი და 50 კაპ. შემნახველი სალარო აღნიშნულ პირებს პენსიებს დაურიგებს 20 მაისიდან.

**დოტაცია მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს**

სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარათ მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს მაისში გადაეგზავნა 7.255 მანეთი.

# საყოველთაო სავალდებულო სწავლება

### თბილისსა და მის მაზრაში

თბილისის აღმასკომმა მიიღო დადგენილება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ თბილისსა და მის მაზრაში და განათლების განყოფილებას დაავალა ჩაატაროს შესაფერი მოსამზადებელი მუშაობა.

განათლების განყოფილება უკვე შეუდგა სკოლის ქსელის გაფართოებას. განათლების განყოფილების ცნობით ქალაქ თბილისში არსებული სკოლების რიცხვი საკმაოა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოსაღებათ.

7 წლიდან 11 წ. ასაკის ბავშვებიდან ამჟამად სკოლის გარეშე დარჩენილია მხოლოდ 2 ნახევარი პროცენტი (580 ბავშვი). მათი ნაწილი შეიძლება მოთავსდეს არსებულ ჯგუფებში, ხოლო დანარჩენთათვის გაიხსნება ახალი ჯგუფები, რისთვისაც უკვე მიღებულია შესაფერი ზომები.

მიღებულია აგრეთვე ზომები სკოლების შენობების განსატვირთავად კერძო მცხოვრებლებისაგან და მათ გასაფართოებლად.

პედაგოგიური ძალების მხრივ თბილისი სავსებით უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება თბილისის მაზრას, იქ ასეთი მდგომარეობაა: საბჭოთა წყობილების დამყარებამდე თბილისის მაზრაში არსებულ სკოლებში ირიცხებოდა 3.696 მოსწავლე, ამჟამად კი ითვლება—16.808. მიუხედავად მოსწავლეთა რიცხვის ასეთი ზრდისა, მაზრაში კიდევ არის დარჩენილი სკოლის გარეშე ბავშვების დიდი რაოდენობა.

ამის გამო განათლების განყოფილებამ შეიმუშავა მაზრაში ახალი სკოლების გახსნის გეგმა. სკოლები უმთავრესად გაიხსნება ჩამორჩენილ რაიონებში.

იმ სოფლებში, სადაც მოსახლეობის მცირე რიცხვია, სკოლები არ გაიხსნება. სამაგიეროდ სკოლა გაიხსნება მახლობელ ცენტრებში და ამ სკოლებთან დაშორებულ სოფლებში მცხოვრებ მოწაფეთათვის მოეწყობა ინტერნატები, სადაც ღარიბ ბავშვებს უფასოდ მიეცემათ ტანისამოსი, სასწავლო ნივთები და სხ.

მაზრაში საყოველთაო სწავლის შემოღება განზრახულია 1929—30 წლიდან.

ქ. თბილისში საყოველთაო-სავალდებულო სწავლა კი შემოღებული იქნება მომავალ სასწავლო წლიდან.

# ბრძოლა სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან

**კალია სიღნაღის მაზრაში**

სიღნაღის მაზრაში, ალაზნის ველზე და ბადიაურის რაიონში გამოჩნდა კალია. კალიასთან საბრძოლველად მავნებლებთან მებრძოლმა განყოფილებამ (რომელიც მიწსახკომთან არსებობს), გააგზავნა სპეციალური რაზმი სხვადასხვა ქიმიური წამლეულობით.

**ბრძოლა ვაზის მატლებთან**

მიწათმოქ. სახ. კომისარიატის სოფლის მეურნეობის მავნებლებთან მებრძოლი განყოფილება კახეთში წინანდალის რაიონში შეუდგა ვაზის მატლებთან ბრძოლას ახალი საშუალებით. ამ რაიონში ვაზის მატლებთან ბრძოლა სწარმოებს საკავშირო სამეცნიერო-გამოკვლევითი ლაბორატორიის წარმომადგენლებთან ერთად.

**ბაღების გამოკვლევა**

მიწათმოქ. სახ. კომისარიატის მიერ გაგზავნილმა სპეციალურმა კომისიამ დაამთავრა გორის მაზრაში ხეხილის ბაღების გამოკვლევა. კომისიამ გამოიკვლია ხეხილის ბაღები სოფ. ქარელეთში, ტყვიავში, ტირძნისში, მერეთში, შინდისში, ფხვენისში და [illegible]. გამოირკვა, რომ ხეხილის ფოთლებს გაჩენია ე. წ. „სისხლიანი ბუგრი", რომლის წინააღმდეგ უკვე სწარმოებს შესაფერი წამლობა.

ხეხილების ბაღების წამლობას ხელმძღვანელობს სახ. მამული „მერეთი".

# ავიაქიმში

**სამხედრო ლაშქრობა**

თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის ორგანიზაცია მოკლე ხანში აწყობს კომკავშირის სამხედრო ლაშქრობას. ლაშქრობის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებს თადარიგის მეთაურთა მთელი შემადგენლობა.

ლაშქრობას ხელმძღვანელობენ № ქართ. დივიზიის ნაწილების მეთაურნი.

**მუშაობა თადარიგის მეთაურთა შორის**

თავდაცვა-ავიაქიმის ქუთაისის ორგანიზაცია შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას თადარიგის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობას შორის. ჩატარებულ იქნა სამხედრო თამაში, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუთაისში მცხოვრებმა თადარიგის მეთაურებმა.

ყოველ ლაშქრობაში, რომელსაც მოაწყობს ავიაქიმის ორგანიზაცია, მონაწილეობას მიიღებენ თადარიგის მეთაურნი.

**ქიმიური რაზმები**

საქ. თავდაცვა-ავიაქიმში მიღებული ცნობების თანახმად საქართველოს დაბა-ქალაქებში ეწყობა ქიმიური რაზმები. ასეთი რაზმები უკვე მოწყობილია სიღნაღში, გორში, თელავში, ოზურგეთში და ბათომში.

# სახ. უნივერსიტეტში

### სტუდენტთა გასამხედროება

10 მაისს დასრულდა ლექციების კითხვა სამხედრო საგნებში და დაიწყო გამოცდები ყველა ფაკულტეტებზე. გამოცდები გაგრძელდება ა.-წ. 20 ივნისამდე. სამხედრო საგნები—ტაქტიკა და ტოპოგრაფია შეტანილია 1—2 კურსის აკადემიურ მინიმუმში. გამოცდები სწარმოებს სამხედრო „კაბინეტში" (ყოფ. სემინარია). გამოცდებს ხელმძღვანელობს სტუდენტთა გასამხედროების ხელმძღვანელი ამხ. გედევანიშვილი. მომავალი წლის გასამხედროების კურსში შეტანილია ახალი საგნები—სამხედრო ძიება, ფორტიფიკაცია, პოლიტ. მუშაობა და სხვ. ზაფხულისათვის (1929 წ.) სტუდენტები გაწვეულ იქნებიან ბანაკად.

**უნივერსიტეტის გამომცემლობა**

უნივერსიტეტის გამომცემლობას სხვადასხვა საჭიროებისათვის გამგეობამ გადასცა 6 ათასი მანეთი. ამასთან გამოყოფილია კომისია პროფ. შ. ნუცუბიძის, კ. სულაქველიძის და ს. კაკაბაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და გეგმის შედგენა, ლითოგრაფიის მდგომარეობის გამორკვევა, ჰონორარის საკითხის მოგვარება და სხვა. უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიის ახალ შემადგენლობაში არჩეული არიან: პროფ. კეკელიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, დ. გვაზავა და ფაკულტეტის ორი წარმომადგენელი.

# „ტყის დღე"

„ტყის დღე"-ს ჩასატარებლად მიწადმოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილების მიერ შემუშავებულია შესაფერი გეგმა.

ამ დღეს ახალი ტყეების გასაშენებლად საჭირო ნერგები გაცემული იქნება სატყეო სანერგეებიდან. ამჟამად სწარმოებს იმ ადგილების და მიდამოების აგეგმვა, რომლებზედაც ტყის დღესასწაულის დღეს იწარმოებს ახალი ტყეების გაშენება.

„ტყის დღე"-ს გარდა ახალი ტყეების გაშენებისა, იწარმოებს ხეების გამაგრება ახლად გაშენებულ ტყეების დასაცავად ნიაღვრებისაგან.

„ტყის დღე"-ს წარმატებით ჩასატარებლად განზრახულია კონკურსის გამოცხადება.

დაჯილდოვებული იქნება ის რაიონი, რომელიც „ტყის დღე"-ს სანიმუშოდ ჩაატარებს და გააშენებს ახალ ტყეებს.

„ტყის დღე"-ს მთელ საქართველოში მოეწყობა შესაფერი ლექცია-საუბრები ტყის მნიშვნელობის და მისი დაცვის შესახებ. ამავე დღეს გლეხებს, რომლებიც მოისურვებენ ტყეების გაშენებას, უფასოდ მიეცემათ სხვადასხვა ჯიშის ხეების ნერგები.

# ბარონი ოკურა

### თბილისში

**ამხ. ს. ჯუღელთან**

გუშინ დღის 1 საათზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ჯუღელმა მიიღო მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე ბარონი ოკ'ურა, მისი მდივანი მაიდა და სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის წარმომადგენელი ქუმანო.

სტუმრებმა ამხ. ჯუღელს მისცეს კითხვები საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკ. ეკონომიური კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი ამიერ-კავკ. ხალხების და კერძოთ ქართველი ხალხის ისტორიით. კითხულობდნენ, თუ როგორია მიღწევები სასოფლო მეურნეობასა და მრეწველობაში ძველთან შედარებით, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე ამიერ-კავკ. და კერძოთ საქართველოში არის თუ არა განვითარებული ტექნიკური სას.-სამ. კულტურები და როგორია ამ მეურნეობის პერსპექტივები.

სტუმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს ამხ. ს. ჯუღელისაგან ამომწურავი პასუხის მიღების გამო. მათი დარბაზობა ამხ. ს. ჯუღელთან გაგრძელდა ნახევარსაათს.

**ს. მ. უ. საბჭოში**

გუშინ დილით ბარონი ოკურა თავისი ეკონომისტების ჯგუფის თანხლებით ესტუმრა ს.მ.უ. საბჭოს, სადაც მათ შეხვდნენ პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ს. ლობჟანიძე და ს. წარმოო.-სახეგმო განყოფილების უფროსი ამხ. ერზინკიანი.

ბ. ოკურა დაინტერესებული იყო ჩვენი მრეწველობის მუშაობით, რის შესახებაც მან ამომწურავი ცნობები მიიღო. შემდეგ იაპონელი სტუმრები დაინტერესდნენ საქართველოში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების მრეწველობით და საერთოდ ჩვენი სამრეწველო აღმშენებლობის პერსპექტივებით.

ბარონ ოკურას საუბარი ს.მ.უ.ს. წარმომადგენლებთან გაგრძელდა 2 საათი.

**ბარონ ოკურას გამგზავრება**

გუშინ ღამით ბარონი ოკურა გაემგზავრა ბაქოში.

# მიწისძვრა

კვირას, 13 მაისს, ღამის 11 საათზე და 7 წუთზე ქ. თბილისში იძრა მიწა. მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხი შეშინებული გამოცვივდა ქუჩაში თეატრებიდან, კინოებიდან, კლუბებიდან და ბინებიდანაც.

ხალხში სწრაფად გავრცელდა ხმა, თითქოს მიწისძვრა კიდევ განმეორდება სამი საათის შემდეგ.

შუაღამის ორი საათისათვის მიწისძვრის განმეორების მოლოდინში მცხოვრებნი კვლავ გამოეფინენ ქუჩებში.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფიული სადგურის ცნობით, მიწისძვრის ძალა თბილისში უდრიდა 5 ბალს. მიწის ძვრის მთავარი კერა თბილისიდან დაშორებული იყო 90 კილომეტრით. მთავარ კერაში მიწისძვრის ძალა არ აღემატებოდა 6—7 ბალს.

ბიძგები მიმართული იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. მიწისძვრას კატასტროფიული ხასიათი არ ჰქონია. თბილისში ზოგიერთ სახლებში გაიბზარა კედლები.

**ლენინაკანი**, 13 მაისი. 12 მაისს ღამის 8 საათზე ადგილი ჰქონდა სუსტ მიწისძვრას. ასეთივე სუსტი ბიძგები იყო 13 მაისს ღამის პირველ საათზე.

**დელიჟანი**, 14 მაისი. დილის 11 საათსა და 10 წუთზე საგრძნობი იყო საკმაოდ ძლიერი მიწის ქვეშა ბიძგები.

# რკინისგზეზე

**დაჯახება**

13 მაისს, საღამოთი სადგ. ერევნის ქალაქის შტოზე სწარმოებდა მანევრები. ვაგონების ერთი ხაზიდან მეორეზე გადაყვანის დროს, მუშებმა თვითნებურად სადგ. ულუხანლუსაკენ წაიყვანეს ოთხი ვაგონი.

ამ დროს ულუხანლუდან ერევანში მოდიოდა სახალხო მატარებელი № 3. მატარებელი გზაში დაეჯახა ვაგონებს.

დაჯახების დროს სახალხო მატარებლის ორთქლმავალი გადავარდა ლიანდაგიდან და დაზიანდა უმნიშვნელოდ. ორი საბარგო ვაგონი სრულიად დაიმსხვრა. მესამე საბარგო ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან.

ამ შემთხვევის გამო მოძრაობა შეჩერებული იყო ორი საათის განმავლობაში. გზაში დაიგვიანეს მატარებლებმა.

ადამიანთა მარცხი არ ყოფილა.

**რკინისგზის სახლებით სარგებლობის ახალი წესი**

გზათა კომისარიატმა შეიმუშავა რკინისგზის სახლებით სარგებლობის ახალი წესი.

გზის სახლებში ბინების მიღების და მათი სარგებლობის უფლება ეძლევათ პირველ რიგში: გზის ყველა მუდმივ თანამშრომლებს, პროფმუშაკებს, სატრანსპორტო და საბინაო კოოპერაციაში და დამზღვევ სალაროში არჩეულ მუშაკებს. ასეთივე უფლება ეძლევათ საექიმო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაკებს.

უმუშევარ რკინისგზელებს, ინვალიდებს და გარდაცვლილ რკინისგზელთა ოჯახის წევრებს რკინისგზის სახლებში შეუძლიათ იცხოვრონ ექვსი თვის განმავლობაში.

**საზაფხულო პრაქტიკაზე**

გზათა კომისარიატის ცხრილის მიხედვით, ა.-კ. რკინისგზებზე ამ ზაფხულს პრაქტიკაზე გამოიგზავნება 317 მოწაფე ტექნიკუმებიდან და პროფესიონალურ სკოლებიდან.

# ქრონიკა

**ამხ. ჯუღელის დაბრუნება**

ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჯუღელი. ამხ. ს. ჯუღელთან ერთად ჩამოვიდა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ლეჟავა.

**სილოვან ხუნდაძის გარდაცვალების გამო**

დღეს, 15 მაისს, ქ. ქუთაისში მოხდება სილოვან ხუნდაძის დაკრძალვა.

თბილისიდან დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად 14 მაისს ღამით გაემგზავრა განათლების სახ. კომისარიატის და საბჭოთა მწერლების ფედერაციის დელეგაცია: შალვა დადიანის, არისტო ჭუმბაძის და ბეს. ჟღენტის შემადგენლობით.

მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადგინა სილოვან ხუნდაძის ცხედრის გვირგვინით შემკობის ნაცვლად, 50 მანეთი გადაეცეს ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

**გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟები**

სახკავშირო ფინსახკომმა დაადგინა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის სარაიონო ტირაჟები მოაწყოს განჯაში და ქუთაისში. განჯაში ტირაჟი შესდგება 1 ივნისს, ქუთაისში—14 ივნისს. ამ დღეებში თბილისში ჩამოვა სახკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მოსამზადებელ მუშაობას ტირაჟისათვის.

**ზარალი წყალდიდობისაგან**

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, ახალციხის მაზრაში წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი 33.000 მანეთს უდრის. ახალქალაქის მაზრაში კი—15.000 მანეთს.

**ავტომობილების მოძრაობა კოჯორის გზაზე**

პირველი ივნისიდან დაიწყება ავტომობილების მოძრაობა თბილის-კოჯორ-მანგლისის ხაზზე.

„ზაკტრანსპორტ"-ის მანქანების გარდა ამ ხაზზე ივლიან აგრეთვე შოფერების კოოპერატიული ამხანაგობა „ძრავი"-ს ავტომობილებიც.

პირველ ივნისიდან გაიხსნება მოძრაობა საქართველოს სამხედრო გზაზე.

**მუშათა ექსკურსია ბაქოში**

ქიმიკოსთა, ხეზე მომუშავეთა და მედსანშრომის კავშირები 16 მაისიდან 23 მაისამდე აწყობენ ექსკურსიას ბაქოში. ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 57 კაცი. თბილისიდან ექსკურსანტები გაემგზავრებიან 16 მაისს ღამის 12 საათ. 30 წუთზე. ბაქოში ექსკურსანტები გაეცნობიან ბაქოს კომუნალურ მეურნეობას, საბუნჩის ელექტრო-სადგურს, მონტინის სახ. მუშათა ახალშენს, ბიბი-ეიბათის ნავთის სარეწაოებს, შავი ქალაქის ნავთსაქაჩ ქარხნებს, „აზნეფთის" ქიმიურ მრეწველობის და სხვა.

**კულტგანყოფილებათა გამგეების თათბირი**

პარასკევს, 18 მაისს, დილის 9 საათზე, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში დანიშნულია კავშირების ც. გ. კულტგანყოფილებათა გამგეებისა და კლუბების გამგეებათა თავმჯდომარეების თათბირი.

დღის წესრიგშია: შვებულებში დათხოვნილთა შორის მუშაობისა და ტერიტორიალურ ნაწილებთან კავშირისა და მათთვის სამსახურის გაწევის შესახებ.

**ბიბლიოთეკების მუშაობის გამოფენა**

ოთხშაბათს, 16 მაისს, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნება პროფკავშირთა ბიბლიოთეკების მუშაობის გამოფენა, რომელიც გასტანს მაისის 20-მდე. გამოფენაზე წაკითხული იქნება ლექციები საბიბლიოთეკო მუშაობის შესახებ.

**თბილისის აღმასკომში**

◆ ფუტკრის ავადმყოფობის „სიმყალ"-ს წინააღმდეგ საადგილ-მამულო განყოფილებამ მაზრაში გაგზავნა ინსტრუქტორები.

◆ სანიტარული უჯრედები. სანიტსექცია შეუდგა წარმოება-დაწესებულებებში და სახლებში ახალ სანიტ. ჯგუფების მოწყობას.

◆ სკოლის მშენებლობისათვის თელეთის თემში აღმასკომმა გადასცა 20.000 მანეთი.

◆ ხელფასის მომატება. თბ. აღმასკომმა დაადგინა მომავალ საბიუჯეტო წლიდან მაზრის ქოხ-სამკითხველოების გამგეების ხელფასი გაუთანაბროს 4-წლედის მასწავლებლების ჯამაგირს.

◆ ბრძოლა წ.-კ. უცოდინარობასთან. პოლიტგანს დაევალა, შეადგინოს ქალაქსა და მის მაზრაში წ-კ უცოდინარობის სალიკვიდაციო 5 წლიანი გეგმა.

◆ რადიოფიკაცია. პოლიტგანმა გადასწყვიტა თბ. მაზრის ყოველ თემში წელს მოაწყოს რადიო-მიმღები სადგურები.

**სხვადასხვა**

◆ საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება იუწყება, რომ დაბალ საფეხურის კურსების ხელმძღვანელთა მოსამზადებელ კურსებზე მორიგი მეცადინეობა შესდგება (მუშათა სასახლე, რუსთაველის გამზ., 17), სამშაბათს, მაისის 15-ს, საღამოს სრულ 6 საათზე. ლექციის თემა: „ჩვენი მხარე".

—:—

**ხელოვნების ქრონიკა**

**„პოეზიის დღის" საღამო**

კვირას, 13 მაისს, ხელოვნების სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოაწყო ტრადიციული „პოეზიის დღის" საღამო.

პოეზიის დღის მნიშვნელობისა და საქ. საბჭოთა მწერლების ფედერაციის ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა გრიგოლ რობაქიძემ. ამავე საკითხზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რაჟდენ გვეტაძე და ბესარიონ ჟღენტი.

საღამოს მეორე ნაწილი შეიცავდა სალიტერატურო განყოფილებას, რომელშიაც ლექსები წაიკითხეს: გრ. ცეცხლაძემ, ი. გრიშაშვილმა; ტ. გრანელმა, შანშიაშვილმა; სიმ. ჩიქოვანმა, ვ. ჟურულმა; რ. გოგოხიამ, ვ. გაბესკირიამ და სხვ.

—:—

◆ როადნოვას საღამო. კონსერვატორიაში 18 მაისს გაიმართება ნინო როადნოვას საღამო ყანჩაველის მონაწილეობით.

◆ კამერული თეატრის გასტროლები დამთავრდა 13 მაისს.

◆ ს. დოლონაძის კონცერტი. განათლების მუშაკთა სახლში 16 მაისს გაიმართება მომღერალ ს. დოლონაძის კონცერტი.

◆ მცირე თეატრის გასტროლები. 19 მაისიდან ოპერის თეატრში დაიწყება მცირე თეატრის გასტროლები.

◆ დისპუტი მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედებაზე. ოთხშაბათს, 16 მაისს, ტრამვაის მუშათა კლუბში გაიმართება მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ შემოქმედების კრიტიკის საღამო. მოხსენებას გააკეთებს ს. ამაღლობელი.

◆ „ბოშური სისხლი". გუშინდელიდან თბ. კინოებში დაიწყო სახკინმრეწვის ახალი სურათის „ბოშური სისხლი"-ს ჩვენება.

# შემთხვევები

**მკვლელობა**

კვირას, 13 მაისს, დღისით ყოფილ სემინარიის მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა (მე-8 სამილიციო რაიონი), ხევში აღმოაჩინეს მოკლული კაცის გვამი. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები და მორიგე გამომძიებელი დ. აბაშიძე.

ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები დაუყონებლივ შეუდგნენ მკვლელობის ადგილის დათვალიერებას. შემოწმებული იქნა აგრეთვე მოკლულის გვამი.

გვამი პირაღმა ჩაფლული იყო დიდ ტალახში და სხეულის ნახევარი ნაწილი დაფარული იყო სილითა და ქვიშით. მოკლული იყო საცვლების ამარა, რომელზედაც ბლომად იყო სისხლის წვეთები.

მოკლულს აქვს რამდენიმე ჭრილობა დანით —თავზე და სახეზე.

თუ როგორ და რა პირობებში მოხდა მკვლელობა, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, მხოლოდ წინასწარი გამოძიება ცხადჰყოფს, რომ ბოროტმოქმედებს მკვლელობა მოუხდენიათ ყოფილ სემინარიის და არსენალის შუა მდებარე პატარა გამოქვაბულში და ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით გვამი გადაუგდიათ ხევში.

გუშინ, დღისით თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში თითების ანაბეჭდების საშუალებით მოკლულის ვინაობა გამორკვეული იქნა.

იგი აღმოჩნდა ჯიბგირი—ვაგან აბგარის ძე არაქელიანცი (16 წლისა).

მკვლელები ჯერ ვერ აღმოაჩინეს. კვლევა-ძიება გრძელდება.

**დაჯახება**

გუშინწინ, დღისით, საბჭოთა და დავით კლდიაშვილის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონი (№ 42, მაშრუტი მეოთხე), რომელსაც მართავდა ვატმანი გიორგი ქებაძე, დაეჯახა მოქ. ი. ისაგულიანს და მსუბუქათ დააშავა.

**ხანძარი**

გუშინწინ, ღამით ტრამვაის შესახ., № 4, ორსართულიან სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩქარა ჩააქრეს. როგორც გამოირკვა, ხანძარი გამოიწვია მდგმურ ს. თოფურიძის ოთახში „კეროსინკის" აფეთქებამ.

**თვითმკვლელობის განზრახვა**

გუშინ, დღისით, ნიშადურის სპირტით თავი მოიწამლა ელენე გიგოს ასულმა მიქელაძემ (მცხ. ტულის მე-2 ქ.), მიქელაძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

—:—

გუშინწინ სახკინმრეწვის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი, 165), მიმდინარე მუშაობის დროს, თვითმკვლელობის მიზნით, თავი მოიწამლა ალექსანდრა ფილიპეს ასულმა ფარულავამ (მცხ. გრიბოედოვის ქ., 3). სასწრაფოთ მიღებული ზომების წყალობით ფარულავას ქალი სიკვდილს გადარჩა. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

**ქურდობა**

გუშინ, დღისით გაქურდეს გიორგი გაშიტაშვილის მაღაზია (ბაიაზეთის ქ., 22); წაიღეს 150 მანეთის საქონელი.—გაქურდეს ანტონ თათეოსიანცის ტანსაცმლების სახელოსნო (ბებუთოვის ქ., 42); წაიღეს 280 მანეთის ტანსაცმელი.—გაქურდეს ეკატერინა ბერაძის ბინა (პუშკინის ქ., 11); წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები.—გაქურდეს არამაის მიკირტუმოვის ბინა (ბებუთოვის ქ., 42); წაიღეს 137 მანეთის ტანსაცმელი.—გაქურდეს სერგო ჯანიძის საპარიკმახერო (კომუნალური ქ., 77); წაიღეს სხვადასხვა ხელსაწყოები. ამ საქმეზე დააპატიმრეს მელიქ ცარციძე პოპოვი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში.

გუშინწინ, ღამით ვილაც ჯიბგირმა სოფ. [illegible] ჩამოსულ გიორგი ჯოხილაშვილს საბჭოთა ქუჩაზე ჯიბიდან ამოაცალა 50 მანეთი და მიიმალა.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**ვ. ლენინი.**

### „იმპერიალიზმი როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა"

სახელგამი, 1928 წ. მეორე გამოცემა გვ.—184, ფასი—60 კაპ.

ფინანსიური კაპიტალი მისი დამთავრებული სახით წარმოადგენს უმაღლეს საფეხურს სრულყოფილ ეკონომიურ და პოლიტიკური ხელისუფლებისა, რომელიც ხელთ უპყრია კაპიტალისტური ოლიგარქიას. ის აგვირგვინებს კაპიტალის მაგნატების დიქტატურას. „საწინააღმდეგო ინტერესთა მძლავრ ჭიდილში კაპიტალის მაგნატთა დიქტატურა ბოლოს და ბოლოს იცვლება პროლეტარიატის დიქტატურით". ასეთი სიტყვებით ამთავრებს თავის ცნობილ შრომას „ფინანსიური კაპიტალი"-ს ავტორი რ. ჰილფერდინგი.

მოსალოდნელი იყო, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის შინაგან დაუძლეველ წინააღმდეგობათა მიერ გამოწვეული მსოფლიო ომი, კლასიური ანტაგონიზმის არჩეულებრივი გამწვავება, რამაც ცხადი გახადა, რომ „კაპიტალის ბატონობა სავსებით ეწინააღმდეგება მშრომელთა მასების ინტერესებს, რომელნიც განიცდიან ფინანსიური კაპიტალის ექსპლოატაციას" კიდევ უფრო განამტკიცებდა ჰილფერდინგში მის მიერ წამოყენებულ დებულების ჭეშმარიტებას.

მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს ჰილფერდინგი რადიკალურად სცვლის თავის შეხედულებას და კაუცკისთან ერთად ანვითარებს ოპორტუნისტულ თეორიას „უდიდესი იმპერიალისტური ჰარმონიის ეპოქის დადგომის შესახებ", რომლის შემდეგ იწყება იმპერიალიზმის ბუნების ძირითადი შეცვლა, მისი ორგანიული და მშვიდობიანი განვითარება „ზესახელმწიფოებრივი კავშირებისა და ორგანიზაციების საშუალებით". ჰილფერდინგი გვერდში ამოუდგა კაუცკის, რომელიც ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმი შედის თავის მშვიდობიან განვითარების „ულტრა-იმპერიალისტურ" ფაზისში, როდესაც ხდება ფინანსიური კაპიტალის ინტერნაციონალური გაერთიანება და იწყება მსოფლიოს საერთო შეთანხმებული ექსპლოატაცია.

ეს რეაქციონური თეორია წარმოადგენდა ომის დროს და წარმოადგენს დღესაც მე-2-ე ინტერნაციონალის თეორიულ დასაყრდენს, იგი კვებავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიების პაციფისტურ იდეოლოგიას, რომელიც წინ ეღობება ევროპის მუშათა მასების რევოლუციონური მოძრაობის განვითარებას.

საჭირო იყო ამ რეაქციონური თეორიის დარღვევა. ეს როლი ბრწყინვალედ შეასრულა ლენინმა თავის შესანიშნავ თეორიულ გამოკვლევებში „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა". მოკლე სარეცენზიო წერილში შეუძლებელია ვრცლად შევეხოთ ლენინის შეხედულებებს იმპერიალიზმზე. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, მხოლოდ ხაზი გაუსვათ მის დებულებებს, რომლებიც მიმართულია კაუცკის „ულტრა-იმპერიალისტური" თეორიის წინააღმდეგ. ლენინი განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებს სოციალ-იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელთა მეოხებითაც იმპერიალიზმით გატაცება, იმპერიალისტური იდეოლოგია თვით მუშათა კლასშიაც კი შეიჭრა. მთავარი და არსებითი მნიშვნელობის საკითხს პროლეტარიატისათვის წარმოადგენს იმის გარკვევა—შესაძლებელია თუ არა იმპერიალიზმის მშვიდობიანი გზით დაძლევა, მისი უარყოფითი მხარეების შესწორება რეფორმების საშუალებით, თუ იმპერიალიზმი წარმოადგენს ფინანსიური კაპიტალიზმის აუცილებელ ელემენტს, ურომლისოთაც იგი ჰკარგავს თავის კაპიტალისტურ ხასიათს.

ამ საკითხზე კაუცკი გარკვევით უპასუხებს, რომ იმპერიალიზმი სრულიადაც არ არის ფინანსიური კაპიტალიზმის აუცილებელი თანამგზავრი, იგი მხოლოდ კაპიტალისტური განვითარების ერთ-ერთი ბნელი მხარეა, მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება დაძლეულ იქნას რეფორმების საშუალებით. კაუცკის აზრით შესაძლებელია გიგანტიური მონოპოლიების მშვიდობიანი ექსპანსია ფრიტრედერული პოლიტიკის მხრით.

წინააღმდეგ კაუცკისა ლენინი იძლევა იმპერიალიზმის ცნების ამომწურავ განსაზღვრას. „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიაა—სახელდობრ ისეთი, როდესაც უკვე არსებობს მონოპოლიათა და საფინანსო კაპიტალის ბატონობა, როდესაც კაპიტალის გატანას უკვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დაწყებულია ქვეყნიერების განაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და უკვე მოთავებულია დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის". აქედან ცხადად სჩანს, რომ ფინანსიურ კაპიტალიზმს არ ძალუძს აწარმოოს სხვა პოლიტიკა თუ არა იმპერიალისტური. რამდენად შეეფერება სინამდვილეს კაუცკის მოსაზრება კაპიტალიზმის ახალი ულტრა-იმპერიალისტური ფაზისის შესახებ ინტერნაციონალურ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ ტრესტის საფუძველზე?

ლენინს ასეთი მოსაზრება მიაჩნია სრულიად უნიადაგო, მკვდარ აბსტრაქციად, რომელიც ოდნავადაც არ შეეფერება თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის კონკრეტიულ-ეკონომიურ სინამდვილეს, ვინაიდან ასეთი მოსაზრება ემყარება მცდარ თეზისს, რომ საფინანსო კაპიტალის ბატონობა ასუსტებს უთანასწორობას და წინააღმდეგობას მსოფლიო მეურნეობის შიგნით. ლენინი კი მდიდარი ფაქტიური მასალის ანალიზის საშუალებით ამტკიცებს, რომ ეს წინააღმდეგობანი, არამც თუ სუსტდება, არამედ პირიქით ძლიერდება.

იმისათვის, რომ მოისპოს ყოველგვარი წინააღმდეგობა მსოფლიო მეურნეობის შიგნით და მოხდეს შეთანხმება იმპერიალისტურ სახელმწიფოების შორის, საჭიროა ამ სახელმწიფოების ძალთა თანასწორობა მსოფლიო ბაზარზე დაახლოვებით მაინც. „ვინაიდან,—ამბობს ლენინი,—კაპიტალიზმის არსებობის დროს, წარმოუდგენელია გავლენათა სფეროების, ინტერესების, კოლონიების და სხვ. განაწილების სხვა საფუძველი, გარდა მონაწილეთა ძლიერების, საერთო ეკონომიურის, საფინანსო, სამხედრო წონის მხედველობაში მიღებისა"-ო.

მაშასადამე იმპერიალისტურ სახელმწიფოების შეთანხმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირველი—ეკონომიური თანასწორობა,—ეკონომიურად უფრო ძლიერ სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ ტრესტისათვის სრულიად არ არის ხელსაყრელი შეთანხმება უფრო სუსტ მხარესთან, მეორე—ეკონომიურ-პოლიტიკური თანასწორობა—უფრო ძლიერი სახელმწიფო კაპიტალიზმის გაცილებით უფრო მეტი უპირატესობა აქვს საკონკურენციო ბრძოლაში და ამიტომ მისთვის შეთანხმება უფრო სუსტ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საზარალოა; ასევე ითქმის სამხედრო ძლიერების შესახებაც. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ძალთა ასეთი თანასწორობა ხანგრძლივად?

ლენინის აზრით ეს სრულიად შეუძლებელია კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების გამო. კაპიტალიზმის დროს სხვადასხვა ქვეყნების ცალკე საწარმოები, ტრესტები თანაბრად არ ვითარდებიან, ნახევარ საუკუნის წინად გერმანია მაშინდელ ინგლისის კაპიტალისტურ ძლიერებასთან შედარებით, საცოდაობას, არარაობას წარმოადგენდა; ასეთივე იყო იაპონია რუსეთთან შედარებით. განა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ათ-ოცი წლის შემდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთ შორის ძალთა განწყობილება კვლავ უცვლელად დარჩება? ეს ყოვლად წარმოუდგენელია". (გვ. 163). ლენინის ეს მოსაზრება, რომ სავსებით გამართლდა ამის ცხადი დამამტკიცებელია მსოფლიო იმპერიალისტურ სახელმწიფოების ძალთა შეთანხმება იმპერიალისტური ომის შემდეგ, რომელმაც სრულიად დაარღვია ძალთა წონასწორობა როგორც თვით კონტინენტალურ სახელმწიფოებს შორის, ისე ამერიკასა და ევროპას შორისაც.

ლენინის გამოკვლევა იმპერიალიზმზე მიჩნეულია კლასიკურ შრომად, რომელშიაც ფართოდ მოხაზულია ფინანსიური კაპიტალიზმის მთელი ბუნება და ამავე დროს მკაფიოდ გარკვეულია მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლის გეზი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც უნდა შეცვალოს პროლეტარიატის დიქტატურამ.

თავის გამოკვლევით ლენინი ჩვენ გვევლინება არა როგორც მარქსიზმის უბრალო პოპულარიზატორი, არამედ როგორც დამოუკიდებელი მოაზროვნე-მკვლევარი, რომელიც ამდიდრებს მარქსიზმის თეორიულ საუნჯეს.

მეორე გამოცემის თარგმანი დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული.

**ქ. ბ—ე.**

### ლენინის წერილები მ. გორკისადმი

სახელგამი, გვ. 115, ფასი 65 კაპ.

ლენინი მაქსიმ გორკის დიდ მეგობრად ითვლებოდა. მეგობრობა ამ ორ დიდ ადამიანთა შორის მეტად ხანგრძლივი და ამავე დროს საინტერესო იყო. აღსანიშნავია, რომ ლენინი აფასებდა მაქსიმ გორკის უმთავრესად, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას რუსეთის მხატვრულ ლიტერატურაში და კერძოთ პროლეტარულ ხელოვნებაში. დღის საბჭოთა კავშირში გაცხარებული დავაა გორკის ირგვლივ, გორკის შემოქმედების შეფასებაში. ლენინისათვის კი პირიქით, საკითხი გორკის მნიშვნელობისა მეტად გარკვეული იყო თავიდანვე. ჯერ კიდევ 1916 წელს ლენინი „ოტზოვისტების" პლატფორმის მომხრეთა და მის დამცველთა კრიტიკის დროს ხაზს უსვამდა იმას, რომ ამ პლატფორმაში იფარება ერთი დადებითი შინაარსი. „ეს დადებითი შინაარსი ჩვენ შეგვიძლია გამოვსთქვათ ერთი სიტყვით: მ. გორკი". გორკი—ლაპარაკობს ლენინი—უსათუოდ, ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია პროლეტარულ ხელოვნებისა; მან ამ ხელოვნებისთვის გააკეთა დიდი საქმე და კიდევ შესძლებს გააკეთოს", „გორკი—ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნებაში" და სხვა.

სარეცენზიო კრებულში მოთავსებულ თითქმის ყოველ წერილში, ლენინი ესაუბრება გორკის ჯანმრთელობაზე და ურჩევს მას ზრუნავდეს საკუთარ თავზე, რადგან, ლენინის შეხედულებით, გორკის შენარჩუნება საჭიროა, როგორც პროლეტარული ხელოვნების ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენლისა".

პირადი, მეგობრული მომენტებით არ ამოიწურება არავითარ შემთხვევაში საყურადღებო მიმოწერა ლენინის და გორკის შორის. ამავე წერილებში ლენინი გორკის აცნობს პარტიული მუშაობის მიმდინარეობას, არალეგალური მუშაობის სიძნელეებს, მენშევიზმის გახრწნას და ლიკვიდატორობის დამღუპველობას.

ლენინი ხშირად არა მარტო მეგობრულად ესაუბრება გორკის, არამედ ცხარე კამათსაც აწარმოებს მასთან იმ პოზიციის გამო, რომელიც გორკიმ დაიკავა ლიკვიდატორობის ფილოსოფიისადმი. ლენინი უმტკიცებს გორკის, რომ ის თავისი გამოსვლებით (კერძოთ მ. გორკის მიერ დოსტოევსკის რომანის „Бесы"-ს დადგმის შეფასება) ხელს უწყობს ე. წ. ღვთის მაძიებლობას, აადვილებს ლიკვიდატორების მომწამვლელ და დამღუპველ აზრების გავრცელებას.

ლენინის წერილები გორკისადმი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ აქ მოცემულია საკმაო მასალა თვით ლენინის პიროვნების, მისი პირდაპირობის, იდეოლოგიური სიმტკიცის და ჭეშმარიტი რევოლუციონერობის დასახასიათებლად. ყველგან და ყოველთვის ლენინს აწუხებს საერთო საქმე, ის სულ პარტიის საჭირბოროტო კითხვებზე დასტრიალებს, მისი ფიქრი პირველ რიგში აქეთკენაა მიმართული. ამიტომ ლენინი აძლევს დავალებას მ. გორკის და მის ცოლსაც, ის სთხოვს მათ ხელის შეწყობას პარტიულ ორგანოთა გამოცემაში, მათ გავრცელებაში ან კიდევ მენშევიკების უსინდისო ცილისწამების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინი პირდაპირ მოითხოვს გორკისაგან გაბედულად გამოსვლას უსინდისო მენშევიკის (მარტოვის) მიერ ტალახში ამოსვრილ ბოლშევიკის (სემაშკოს) დასაცავად. ლენინი ურჩევს გორკის პროლეტარულ ორგანოებში თანამშრომლობას, დახმარებას ამ ორგანიზაციისათვის და კავშირის გაწყვეტას პროლეტარიატის აშკარა თუ მალულ მტრებთან.

რადგან ხსენებულ წერილები ლენინის მიერ გორკისადმი მიწერილია ბოლშევიკური პარტიის მუშაობის ყველაზე მწვავე პერიოდში, ამიტომ მეტ ადგილს ლენინი ამ წერილებში უთმობს ბრძოლას საერთოდ ლიკვიდატორობის და კერძოთ ლიკვიდატორული ფილოსოფიის (ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, ბაზაროვის და სხვათა მოძღვრების) წინააღმდეგ. ლენინმა ამ დავას ფილოსოფიურ საკითხების ირგვლივ სპეციალური გამოკვლევაც კი უძღვნა („მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი".) სადაც ის თავს ესხმის ყოფილ მეგობარს და „საუკეთესო ამხანაგს" ბოგდანოვს და მის ანტიმარქსისტულ თეორიას. ლენინი სწერს გორკის, რომ ბოგდანოვი უმთავრესია და მამამთავარი მარქსიზმის შეცვლაში მახიზმით, რომ ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის და სხვათა მოძღვრება პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსიზმის ძირითად დებულებებს, ის აფერხებს რევოლუციონური პარტიის მუშაობას მასების დაპყრობის და განათლების საქმეში.

ლენინი აპყრობს გორკის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ბოგდანოვმა კარგა ხანია შეიმუშავა ანტიმარქსისტული ე. წ. ენერგეტიული თეორია, რომლითაც ბოგდანოვს სურს საზოგადოებრივი მოვლენების განხილვა, ნამდვილად კი, ლაპარაკობს ლენინი—ამ თეორიის მიხედვით არავითარი განხილვა საზოგადოებრივი მოვლენებისა არ შეიძლება, იმას პირიქით მივყევართ ისტორიულ მატერიალიზმის დამახინჯებისაკენ. საგულისხმოა, რომ ბოგდანოვის თანამოაზრე ბაზაროვს ამ თეორიაზე დღემდეც არ უთქვამს უარი, პირიქით ის მას კიდევ უფრო ავრცელებს, ავითარებს და ცდილობს, რითი ენერგეტიული თეორია, ანუ როგორც თვით ბაზაროვი უწოდებს ენერგიის შენახვისა და განაწილების თეორია გადააქციოს უნივერსალურ თეორიად და ის უცვლელად მიუყენოს საზოგადოებრივ პროცესებს. „ბაზაროვი ბუნებისმეტყველების მეთოდიკაზე დაყრდნობით ცდილობს შექმნას საზოგადოებრივი მეურნეობის ენერგეტიული თეორია" (მაკსაკოვსკი). ეს სცადა ბაზაროვმა თავის საყურადღებო წიგნში „კაპიტალისტური ციკლი და ს.ს. რესპ. მეურნეობის აღდგენითი პროცესი", რომელიც გასულ წელს გამოვიდა. ბაზაროვი ამ თეორიამ იქამდე მიიყვანა, რომ მან მოისურვა სავსებით წაეშალა საზღვარი, რომელიც არსებობს ბუნებისმეტყველებასა და საზოგადოებათმეცნიერების შორის, რითაც სრულიად საწინააღმდეგო დასკვნებამდე მივიდა, ვინემ ეს დასაშვებია დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ლენინი თავს ესხმის მთელ რიგ წერილებში გორკის იმის გამო, რომ გორკი ობიექტიურად ბოგდანოვის და ლუნაჩარსკის პოზიციებზე დადგა, როდესაც ის ერთის მხრივ უარყოფდა ღვთის მაძიებლობას (богоискательство,) მაგრამ სამაგიეროთ იღებდა ღვთის მშენებლობას (богостроительство). ერთ ცდომილებას—ლაპარაკობს ლენინი— გორკი მეორე შეიძლება ითქვას, უფრო უარესი და სამარცხვინო ცდომილებით ცვლის. „გამოდის რომ—სწერს ლენინი გორკის—თქვენ მხოლოდ დროებით ხართ ღვთის მაძიებლობის წინააღმდეგი!!. გამოდის, რომ თქვენ ხართ ღვთის მაძიებლობის წინააღმდეგი მხოლოდ იმისათვის, რომ ის შეცვლილ იქნეს ღვთის შენებით. ღვთის მაძიებლობა განსხვავდება ღვთის შენებიდან, ან ღვთის მოპოვებიდან, ან ღვთის შექმნიდან და სხვათაგან არა უმეტესად, ვიდრე ყვითელი ეშმაკი განსხვავდება ლურჯ ეშმაკისაგან... არა პირადული, არამედ საზოგადოებრივ თვალსაზრისით, ყოველგვარი „ღვთის შენება"—არის [illegible] მეშჩანის საყვარელი „თვითმჭვრეტელობა".

საერთოდ ლენინის მიერ გორკისადმი მიწერილ წერილებში მრავალი საყურადღებო აზრია გამოთქმული, იქ ბევრი რამეს ამოკრეფა შეიძლება არა მარტო მარქსიზმის ფილოსოფიის დამახინჯების, ლიკვიდატორულ დაცემულობის და მენშევიზმის თაღლითობის შესახებ, არამედ იმ ტაქტიკის შესახებაც, რომელიც უნდა აწარმოოს რევოლუციის დამარცხების შემდეგ პროლეტარულმა პარტიამ, იმ მუშაობის შესახებ, რომელიც უნდა გასწიოს რევოლუციონურმა პარტიამ, რეაქციის მიერ განადგურებულ ორგანიზაციის გამაგრებისა და მასების მომზადებისათვის ახალ ბრძოლების საწარმოებლად.

**დ. გვაზავა.**

### ჯ. ბოკაჩიო. „დეკამერონი". ნაწ. I. თარგმანი თ. სახოკიასი

ს გამოცემა. 1928 წ. გვ.—190, ფასი—2 მან. 50 კ. საქ. მწერალთა კავშირის წიგნის მაღაზია

ჯოვანი ბოკაჩიოს „დეკამერონი" პირველი და საუკეთესო ძეგლია, რომელშიაც ნათლად გამოიხატა მეთოთხმეტე საუკუნის ეკონომიური და ლიტერატურული რევოლუცია. მასში მოცემულია დასახელებულ ეპოქის როგორც ეკონომიურ, ისე მორალურ ღირებულებათა გადაფასება. თავის გენიალურ ნოველებში ბოკაჩიო იშვიათის ენამახვილობით გმობს ფეოდალურ ცრუმორწმუნეობას. მაგრამ „დეკამერონი" წარმოადგენს არა მარტო პროტესტს ფეოდალიზმის წინააღმდეგ, არამედ მასში განსაკუთრებული ხერხით არის დაგმობილი მაშინდელი სასულიერო წოდება. მკითხველის წინ საუკუნეთა აკლდამებიდან სდგებიან „წმინდა მამანი", რომლებიც სხვებს უმანკოებას, სათნოებას და ხორციელ სწრაფვათა დათრგუნვას უქადაგებენ და თვითონ კი ყველაზე მეტად არიან გატაცებული ანგარებით და ქვეყნიურ „სიტკბოებით";

კითხულობთ ბოკაჩიოს და სავსებით გრძნობთ თავხედურ ცბიერებას იმ ხალხისას, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აღშფოთებდნენ ადამიანის გონებას. „დეკამერონის" ფორმა რეალისტურია და მის სტილს განსაკუთრებული სიმარტივე ახასიათებს.

„ეს ნაწარმოები,— როგორც ცნობილი მკვლევარი პ. კოგანი აღნიშნავს, „დონ-კიხოტთან და „გულივერთან" ერთად ეკუთვნის ადამიანის გენიოსობის იმ შემოქმედებათაგანს, რომელსაც მკითხველი ხელიდან მანამ არ გაუშვებს, სანამ ბოლომდე არ წაიკითხავს.

ბოკაჩიო წინდაწინვე გრძნობს მომავალ ბურჟუაზიულ-ქალაქურ კულტურის დასაწყისს და მის შეჯახებას კათოლიკურ-ფეოდალურ წეს-წყობილებასთან. ამ ორი კულტურის, ორი ეპოქის შეჯახებას, შექსპირი და ბოკაჩიო სხვადასხვა სახით გადმოგვცემენ. პირველი ფეოდალიზმის რღვევის დაწყების პროცესს ტრაგიკულ ფორმებში გვიხატავს; ბოკაჩიომ კი ინგლისელ დრამატურგამდე ორი საუკუნით ადრე ისტორიის ერთი უთვალსაჩინოესი მომენტი გადმოგვცა კომიკურ ეპიზოდებით, სასაცილო შეხლა-შემოხლით, სახუმარო მდგომარეობით, რომელთა გამოგონება ასე აადვილებდა ხოლმე ცხოვრებას. ამიტომ ჩვენს დროშიაც ბოკაჩიო დიდი მნიშვნელობის და საჭირ-ბოროტო კითხვათა მწერლად ითვლება. ის ინსტიქტიურად მატერიალისტია და ეგრეთ წოდებულ კლასიკოსთა შორის შეიძლება ყველაზე უფრო ახლოს იდგეს ჩვენს დროებასთან".

საბიბლიოგრაფიო წიგნის გამოცემა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან გარდა ორ-სამი მოთხრობისა, ბოკაჩიოს ნოველები ქართულად ჯერ არ ყოფილა გამოცემული.

პირველ წიგნში შეტანილია სულ 25 მოთხრობა და დართული აქვს შესაფერი წინასიტყვაობა.

მოთხრობების შერჩევა-დალაგებაზე აღსანიშნავია ერთი მოვლენა: როგორი [illegible] არ უნდა იყოს დაწერილი ბოკაჩიოს ნოველები, ისინი ისეა დალაგებული, რომ გარკვეულ პროგრამულ ხასიათს ატარებენ. და „დეკამერონში" ასკეტიურ მსოფლმხედველობის უარყოფის გარდა სხვა საყურადღებო საკითხებიც არის დაყენებული. დასახელებულ გამოცემაში კი მოთხრობები მთარგმნელს თავის საკუთარი გეგმაზე აქვს დალაგებული და ცალმხრივად არის შერჩეული.

გარეგნულად წიგნი დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

**ს. წ—ლი.**

### ИНЖ. В. Н. ФЕЛЬДТ

### ПРОБЛЕМА ЭКСПОРТА КАВКАЗНЕФТИ В СВЯЗИ С РАЗВИТИЕМ ТРАНСПОРТА

თბილისი, 1928. ტირაჟი 2.000.

ეს წიგნი წარმოადგენს კავკასიის მთავარ ქედზე გასაყვან ელექტრო რკინის გზის საგამომკვლევო საქმეთა საზოგადოების გამოცემას და არკვევს ამ.-კავკასიის ნავთის მარაგს და ამასთან დაკავშირებულ ნავთის სატრანსპორტო გზების საკითხებს.

წიგნში განხილულია კავკასიის ნავთის სამრეწველოები, არსებულ ტრანსპორტის სიმცირე, ნავთსადგურის ფოთი—როგორც კავკასიის ნავთის ექსპორტის განვითარების დასაყრდენი და სხვა.

ნავთის ღირებულებას მისი სიმცირე ადიდებს. მსოფლიოში ნავთის მთელი მარაგი მხოლოდ რამდენიმე ათეულ წლის განმავლობაში თუ იკმარებს. ნავთით უმდიდრეს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს ის 15-20 წლით შეიძლება ეყოს.

კავკასიაში ნავთის მსოფლიო მარაგის მეექვსედი არის, შეერთებულ შტატებსა და მექსიკის შემდეგ მას პირველი ადგილი უჭირავს.

კავკასიაში შვიდ რაიონში სწარმოებს ამჟამად ნავთის ამოღება. მათში მთავარია აზერბეიჯანისა და გროზნოს რაიონი. ნავთის მრეწველობის შემდეგი განვითარება დამოკიდებულია: მის შინაურ მოხმარებაზე, ექსპორტზე და ტრანსპორტზე. მომავალ საბიუჯეტო წელში განზრახულია ექსპორტის გადიდება 4 მილ. ტონამდე, მაგრამ ეს მაინც ვერ დააკმაყოფილებს ევროპის ბაზარს; რომ კავკასიის ნავთმა სავსებით დაიპყროს ეს ბაზარი, საჭიროა მისი სიიაფე, განსაკუთრებით შესაფერი ტრანსპორტი. ამჟამად ექსპორტის გადიდება განზრახულია გროზნოს ნავთით, ტუაპსეში უკვე ეწყობა ნავთსადენი, მაგრამ ექსპორტის შემდეგი ზრდის გამო, ეს საკმაო არ იქნება. ისმება საკითხი ამ საქმის გაფართოებისა და ტვირთის უმოკლესი გზით გადაზიდვის შესახებ.

ნავთის ექსპორტის შემდგომი განვითარება აყენებს საკითხს შავ ზღვაზე დამატებით მესამე ნავთსადგურის (ბათომ-ტუაპსეს გარდა) აგების შესახებ. ქალაქი ფოთი საუკეთესო იქნება არა მარტო კავკასიის ნავთისათვის, არამედ სპარსეთის ნავთისათვისაც, რომლის გაზიდვა სპარსეთის ზღვის ყურეთი გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ფოთით. ეს საკითხი მით უფრო საყურადღებოა, რომ საბჭოთა კავშირის სამთომადნო მრეწველობაში, კავკასიის ნავთის პროდუქცია 60 პროც. შეადგენს.

გაძლიერებულმა ექსპორტმა გამოიწვია გროზნოს ნავთის გადასაზიდად ტუაპსეში ნავთის საქაჩავი მილების მოწყობა. ბათომისა და ტუაპსეს ნავთსადგურის ნაკლი იმაშია, რომ ისინი ვერ დაიტევენ კვლავ გაძლიერებულ ექსპორტს. ფოთის ნავთსადგური ამ მხრივ უფრო შესაფერია.

თუ როგორია ფოთის ბუნებრივი მდებარეობა, ამას შემდეგი ამტკიცებს: 100 მილ. ფუთ ნავთის ექსპორტი ტუაპსით ჯდება 6.900.000 მანეთი, ხოლო ფოთით—600.000 მან. მაგრამ ფოთის უპირატესობანი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ კავკასიის ქედზე—ბესლან—მამისონ—ახალსენაკის მიმართულებით გაყვანილ იქნება ელექტრონის რკინის გზა, რაც გროზნოს რაიონს დაუახლოვებს შავ ზღვას, და მარტო 300 მილ. ფუთი ნავთის ექსპორტი წლიურად 11.650.000 მანეთის ყაირათს მოგვცემს.

მაგრამ ეს ადვილი არ არის. მას დასჭირდება თანხები. მარტო რკინის გზის გაყვანა 120 მილ. მანეთი დაჯდება, ფოთის ჭაობის ამოშრობა და რიონის მიმართულების შეცვლა 15 მილ. მან., ნავთის ახალი ქარხნების აგება და მილების დაგება 200 მილ. მანეთი,—საერთოდ საჭიროა 335 მილიონი, ომის წინა დროის მანეთებში.

როგორ უნდა გაკეთდეს ეს? ცხადია, ჩვენ საამისო თანხები არ გვაქვს. აუცილებელია მისი საკონცესიოდ გაცემა. უნდა დაარსდეს დიდი კომბინატი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ახლო მომავალში ევროპის ბაზრის ხელში ჩაგდებაზე რამე ფიქრი.

ეს სარეწაოები კი გაადიდებს ჩვენს ექსპორტს. 1950 წლ. მას აიყვანს 15 მილ. ტონამდე, იგი შეცვლის ქვეყნის ხასიათსაც, ფოთის ჭაობიანი ადგილები გადაიქცევა უმაღლესი კულტურის მომცემ ნიადაგად, რაც 80.000 დესეტინა თავისუფალ მიწას შემატებს ქვეყანას. ასეთია საბიბლიოგრაფიო წიგნის შინაარსი.

წიგნში განხილულია კონცესიის შესაძლებლობანი, საკონცესიო პირობები ორივე მხარისათვის და ზოგიერთი ავტორიტეტის აზრი.

წიგნი რუკებით, პროექტებით, მდიდარ და საინტერესო მასალას იძლევა კავკასიის ნავთის მრეწველობის მომავალ განვითარებისა და სატრანსპორტო შესაძლებლობათა შესახებ.

წიგნში ბევრია ციფრიანი მასალა და, როგორც ყოველი პროექტი, ზოგიერთი მათგანი აპრიორულია; ნავთის მომავალ ექსპორტში შეტანილია გურიის ნავთი 1 მილ. ფუთი., შირაქის 1 ნახევარი მილიონი, მაშინ, როდესაც თვით მათი არსებობა ჯერ კიდევ პრობლემატიურია. წიგნს აქვს აჩქარებით შედგენილი ზოგიერთი დასკვნები.

**ვ. მ.**

# სასამართლო

## მოგონილი ამბავია, თუ სიმართლე?

— პირველ აპრილს ჩემს მშობლებს თბილისიდან სოფელ კარალეთში (გორის მაზრა) წავყევი. დედა სოფელში დარჩა. მამა მე გამომყვა და იმავე საღამოს დავბრუნდით თბილისში. როცა თბილისში ჩამოვედით მამაჩემს ნაცნობი შეხვდა, დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი. მამაჩემი გაჰყვა ნაცნობს. მე წავედი სახლში.

—ძალიან დაღლილი ვიყავი. თანაც გვიანი იყო. გავიხადე და დავწექი. ჩემს პირდაპირ ლოგინში ეძინა ჩემს უმცროს დას ვაროს. დაღლილს უკვე მიმეძინა.

უეცრად გამომეღვიძა. ოთახში ბნელა. ჩემს გვერდით მამაკაცი წევს. მოუსვი სახეზე ხელი, —მამას ჰგავს. რა იყო მამა? რატომ შენს ლოგინში არ წევხარ?—ვეკითხები. მამამ მიმიკრა გულზე. გავკვირდი. წადი მამილო! პატარა დასთან დაწექი, არ შეეშინდეს!—ვეუბნები მე და თანაც ვფიქრობ, პატარა ვარო თუ ვეგონე მეთქი!

მამამ კიდევ უფრო მაგრად ჩამიკრა გულში და რომ ვიგრძენი მისი ხელების ფათური, მიუხვდი ცუდი განზრახვა ედო გულში... ერთი შევკივლე და ოფლ დასხმული წამოვვარდი ლოგინიდან და გიჟივით გავვარდი გარეთ.

გარეთ საშინელი წვიმა იყო. სად უნდა წავსულიყავ! შემოვბრუნდი ისევ ოთახში. ავანთე სინათლე. მამა უკვე თავის ლოგინში იწვა. მე ისევ ჩემს ლოგინს მივაშურე იმ იმედით, რომ მამა უკვე გონზე მოსულია და ასეთ სისაძაგლეს აღარ გაიმეორებს.

ის იყო ძილმა თვალები დამიხუჭა. ვიგრძენი სინათლე ჩაქრა. მამაჩემი ჩემს ლოგინში ჩამოწვა ხელმეორედ და ისევ განაგრძო ხვევნა. გაუსხლტი ხელიდან, ათრთოლებული და შეშინებული გავვარდი გარეთ. ვიდექი დიდხანს, სანამ მამას ჩაეძინებოდა. შემდეგ ქურდულად შევიპარე ოთახში და ჩემს უმცროს დასთან დავწექი. როგორც კი გათენდა, გავიქეცი სახლიდან და სამი დღე დეიდასთან ვიმალებოდი...

ასე უამბო ხუთმეტი წლის გოგონამ თავისი თავგადასავალი ჯერ თავის ყოფილ მასწავლებელ ქალს ბალავაძეს და მერე მილიციის თანამშრომელს.

კომისარიატში შედგა ოქმი. თავის ჩვენებას ხელი მოაწერა ქალმა. საქმეს მიეცა კანონიერი მსვლელობა და ქალის მამა ვასილ მელიქის ძე გოგიაშვილი დააპატიმრეს.

გამომძიებელი შეუდგა გამოძიების წარმოებას. დაიბარეს ქალი. რას იტყვით საქმის შესახებ?—ეკითხება გამომძიებელი.

— ...მე გაჯავრებული ვიყავი მამაჩემზე. მკაცრად მეპყრობოდა. მიჯავრდებოდა, როცა სკოლიდან გვიან დავბრუნდებოდი. ამიტომ მოუგონე, ვითომ ჩემი გარყვნა უნდოდა. ეს ყველაფერი ტყუილია,—ქალმა გადათქვა პირველი ჩვენება.

იმავე დღეს მასწავლებელ ქალს ბალავაძეს ეწვიენ დაპატიმრებულ გოგიაშვილის ცოლი, ძმა და ქალიშვილი, რომელმაც ამას წინად ტირილით მოუთხრო მას ეს საზიზღრობა.

— დავიღუპებით. სიმშილით ამოვწყდებით. არაფერი სთქვა ცუდი გამომძიებელთან, ემუდარებიან ბალავაძის ქალს.. მის მეტი არავინ გვყავს ოჯახში. ვინ უნდა შეგვინახოს!

თვითონ გოგონა არაფერს ლაპარაკობს. გაფითრებული. ღელავს.

— მომატყუე, თუ მართალი მიამბე!? ეხლა სთქვი ამათ თანდასწრებით,—ეუბნება ქალს მასწავლებელი.

ქალს ტირილი აუვარდება და ლუღლუღებს:

— ოღონდ მამა გამოუშვან და რასაც დამავალებენ, იმას ვიტყვი!..

ამის შემდეგ მასწავლებელმა ბალავაძის ქალმა უარი უთხრა მილიციელებს ჩვენების გადათქმაზე და დაწვრილებით უამბო გამომძიებელს ახალგაზრდა ქალიშვილის ნაამბობი.

გოგიაშვილი ეხლაც ზის. საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო.

—:—

## შავგულიძე მეურნეობაზე „ზრუნავს“

ივანე პავლეს ძე შავგულიძესაც შეუძლია სთქვას, რომ ნიკოლოზის დროს ციხეში იჯდა და დიდი „ნაწამები“ კაცია. მართლაც რევოლიუციონურ სტაჟად გაასაღებს ამ ამბავს შავგულიძე ისეთ ხალხში, ვინც არ იცნობს, რომ იგი მევახშეობისათვის იყო დასჯილი თვითმპყრობელობის დროსაც.

ოქვენ კარგად წარმოიდგენთ, რა ნაირი უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომელიც თვითმპყრობელობის დროსაც მევახშეობისათვის იჯდა ციხეში.

შავგულიძემ არ დაჰკარგა ძველი გზა საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. როცა სადმე ნახავდა გაჭირვებულ კაცს, ეს იყო მისთვის ბედნიერი დღე.

-- მომცემ ამდენ პროცენტს, მიიღე ფული. არ მომცემ და სხვა მეძებნე!—ეუბნებოდა გაჭირვებულ მოქალაქეს შავგულიძე.

რამდენ პროცენტს თხოულობდა შავგულიძე? აი მაგალითი. ტარასი ზვიადაძეს შავგულიძემ ასესხა 20 მანეთი. თამასუქი გააკეთებია 50 მანეთის. ზვიადაძემ მგონი ორჯერ გადაიხადა თავნი, მაგრამ ნურას უკაცრავად! შავგულიძე ქვას წვენს ადენს. პროცენტის პროცენტებს მოითხოვს. აპროტესტებს თამასუქს.

„თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“.ასე მოუვიდა შავგულაძეს. სასამართლომ დააგროვა მასალები და შავგულიძის პროტესტმა შედეგად მოიტანა, ის რომ შავგულიძე წამოსკუპდა საბრალმდებლო სკამზე, როგორც გაუსწორებელი მევახშე.

**ივანე შავგულიძეს ქუთაისის მე-3-ე უბნის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 18 თვით თავისუფლების აღკვეთა.**

შავგულიძემ ქუთაისის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საინტერესოა, მოტივი საჩივრის. მოვიყვანთ ტექსტიდან რამდენიმე სიტყვას.

...„ქუთაისის სასამართლოს დადგენილება არ არის სწორი და უნდა გაუქმდეს. ამით იქმნება საოცარი და საშიში პრეცედენტი, რადგან თამასუქს, როგორც ერთგვარ სამეურნეო მნიშვნელობის მოვლენის ფაქტს (სტილი დავტოვეთ უცვლელად)!, რომელიც ხელს უწყობს საკრედიტო ოპერაციების და საქონლის ბრუნვის განვითარებას,—ეკარგება ყოველგვარი მნიშვნელობა“...

სასაცილოა, უსათუოდ! მევახშე ივანე შავგულიძე თამასუქის სამეურნეო მნიშვნელობაზე ლექციას უკითხავს ქუთაისის მოსამართლეებს!!

ზერ.

# ფეხბურთი

## „დინამო—ა“—„საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი“

კვირას, 13 მაისს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პირველი კატეგორიის გუნდების ორი კალენდარული შეჯიბრი.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდენ საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ახალგაზრდა გუნდი და „დინამო—ა“.

მატჩი საინტერესო გამოდგა. სატყეო მრეწველობის ტრესტის გუნდი საკმაოდ ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა გამოცდილ დინამოელებს. შეჯიბრი დამთავრდა 3:1 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ წრევანდელ სეზონში ეს პირველი დამარცხებაა სატყეო მრეწველობის ტრესტის გუნდის. ყველა დანარჩენი შეჯიბრები პირველი კატეგორიის გუნდებთან („გემო-კვების მუშაკები“, „საბჭოთა მუშაკები“, „დინამო-ბ“) ფრედ დამთავრდა.

## „დინამო—ბ“—„გემო.-კვების მუშაკები“

გაცხოველებით ჩატარდა მეორე შეჯიბრი „დინამო-მეორესა და „გემო-კვების მუშაკებს“ შორის. გუნდები თითქმის თანაბრად თამაშობდენ. შეჯიბრის ბედი გადასწყვიტა ერთმა ბურთმა, რომელიც ლამაზად გაიტანა მ. ასლამაზოვმა.

მატჩი დამთავრდა 1:0 გემო-კვების მუშაკების სასარგებლოდ.

# ველო-გადარბენა

## თბილისი—მცხეთა—თბილისი

ველოხიპედისტები გადარბენის დაწყების წინ თავისუფლების მოედანზე.

13 მაისს, თბილისის მოტო-ველო საზოგადოებამ მოაწყო ველო-გადარბენა თბილისი-მცხეთა-თბილისი (დისტანცია 40 კილომ.), რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა; ყველა მონაწილენი წინადვით შემოწმა სპეციალურმა კომისიამ.

სტარტი გაიმართა თავისუფლების მოედანზე დილის 11 საათსა და 15 წ.; გადარბენის მონაწილეთ დისტანცია 40 კილომეტრი უნდა დაეფარათ შეუსვენებლად.

ავტო-მანქანების და სხვა გადასაზიდ საშუალებების განუწყვეტელი მოძრაობა და გზის მდგომარეობა ძალიან აფერხებდა გადარბენის მონაწილეთა მოძრაობას. თბილისი-მცხეთის გზაზე ორ მანქანას მარცხი შეემთხვა, მანქანებზე მსხდომნი დაშავდენ, მათ აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

მანქანების დაზიანების გამო, სამი მონაწილე იძულებული შეიქნა გამოსულიყო გადარბენის მონაწილეთა რიცხვიდან.

აღნიშნულ გადარბენას, გარდა წმინდა სასპორტო მნიშვნელობისა (მონაწილეთა რიცხვის მხრივ ასეთი გადარბენა პირველია თბილისში), ჰქონდა კიდევ ის მნიშვნელობა, რომ მან თბილისის ყველა ველოსიპედისტები გაერთიანა ველო-საზოგადოების გარშემო, სადაც მათი სასპორტო განვითარება სწორ ნიადაგზე იქნება დაყენებული.

სტარტის დროს თავისუფლების მოედანი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით, რომლებიც არ დაიშალენ, სანამ მცხეთიდან არ დაბრუნდენ გადარბენის მონაწილენი.

მსაჯთა კოლეგიამ ფიზკულტურის თბილისის საბჭოს პ.-მ. მდივანის ამხ. ხ. კვინიხიძის თავმჯდომარეობით ჯილდოები მიუსაჯა:

პირველი ჯილდო ი. სტეპანოვს, რომელმაც მანძილი თბილის-მცხეთა-თბილისს შორის (40 კლ.) დაფარა 2 საათსა და 15 წამში.

მეორე ჯილდო მიეცა ა. ნესტეროვს—2 ს. 21 წ. და მესამე—ი. საკაძეს—2 ს. 26 წ.

ჯილდოები დარიგებული იქნება ველოდრომის გახსნის დღეს.



დაჯილდოებულნი: № 17—საკაძე, № 14—ნესტეროვი, № 12—სტეპანოვი.

# ჭადრაკი

## საქართველოს ჩემპიონატი

საქ. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს თაოსნობით, ა. წ. 3 ივნისს თბილისის ცენტრ. საჭადრაკო კლუბში იწყობა სრ. საქართველოს პირველი ჩემპიონატი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ აჭარისტანის, აფხაზეთის, ფოთის, ქუთაისის და თბილისის საუკეთესო მოჭადრაკენი, სულ 8 კაცი. აქედან თბილისს დათმობილი აქვს 4 ადგილი, პერსონალურად ჩემპიონატში მოწვეულია მაესტრო სმიროდსკი, გოგლიძე, საროკინი და ტალუცი. კანდიდატებათ: ებრალიძე და აგამალიანი.

პარალელურად ჩატარებული იქნება სრ. საქართველოს მცირე ჩემპიონატი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მოთამაშე საქართველოს ყველა მაზრებიდან და ორი მოჭადრაკე თბილისიდან. თამაში ჩემპიონატი იწარმოებს დღით, დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

## პროფკავშირთაშორისო ჯგუფური ტურნირი

საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული ფიზ. ბიუროს საჭადრაკო სექცია ა. წ. 20 მაისს ჩატარებს პროფკავშირთაშორისო ჯგუფურ ტურნირს კავშირების პირველობაზე 1928 წელში. ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ჯერ სურვილი გამოსთქვეს შემდეგმა კავშირებმა: მიწა-ტყის, მეღიოთონეთა, განათლების მუშაკთა, გემო-კვების, საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა, მშენებელთა და მბეჭდავთა კავშირებმა. სულ მონაწილეობას მიიღებს 10 კავშირი. თვითოეული კავშირი ტურნირზე გამოყოფს 7 მოჭადრაკეს და 3 კანდიდატს.

20 მაისს დანიშნულია ჯგუფების წარმომადგენელთა საერთო კრება ტურნირის წესის შესამუშავებლად. თამაში იწარმოებს თბილისის მუშათა კლუბებში სხვადასხვა დროს.

## საშაშო ტურნირი

საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაულის ჩატარების დროს იწარმოებს სრ. საქართველოს საშაშო ტურნირი. თბილისიდან მონაწილეობას მიიღებს 4 კაცი, და თითო მოთამაშე აჭარისტანიდან, აფხაზეთიდან, ქუთაისიდან და ფოთიდან.

თამაში იწარმოებს ცენტრ. საჭადრაკო კლუბში.

# დოღი

## კვირა, 13 მაისი

დოღის მეოთხე დღეს დანიშნული იყო საქართველოს რესპუბლიკანური ჯილდოს გათამაშება. მშვენიერი დარი იდგა. პროგრამაც მრავალფეროვანია. ყველა ამან იპოდრომზე აუარებელი ხალხი მიიზიდა.

პირველი საბარიერო დოღი გამართული იყო მხედართათვის. დისტანცია 2000 მეტრი. ჯილდო 50 მან. მონაწილეობენ: „ბური“, „ბისერი“, „ამაზონკა“, „ბატისტოვაია“ და „ანჩარ“.

პირველ ადგილს იკავებს „ბური“, დისტანციას ფარავს 2 წუთში და 57 წამში. მეორე ადგილზე გამოდის „ბატისტოვაია“ და მესამეზე „ანჩარ“.

მეორე დოღში ნახევარსისხლა ცხენებისათვის გამოდიან: „სანტი“ (აზერბეიჯანი), „დაისი“ (საქართველო) და „აბორიგენ“ (საქართველო). დისტანცია 1600 მეტრი. ჯილდო—120 მანეთი.

განსაკუთრებით ერთმანეთს ეჯიბრებიან „სანტი და „აბორიგენი“. „დაისი“ მთელი ორი კორპუსით რჩება უკან. სწორ ხაზზე „აბორიგენი“ ვეღარ უძლებს მოქიშპეს და უკან რჩება. „სანტი“ იმარჯვებს. დისტანცია დაფარულია 1 წუთში და 51 წამში.

მესამე დოღი. მონაწილეობენ მეორე ჯგუფის ცხენები: „გრა-კორა“ (აზერბეიჯანი), „გუსარ“ (ბაქოს საბჭო) და „დარდიანი“ (საქართველო). დისტანცია 2000 მეტრი. ჯილდო 140 მანეთი.

დოღი მეტად საინტერესოა. უპირატესობა „დარდიანი“-ს მხარეზეა. იგი დაწინაურებულია თვალსაჩინოდ. ფინიშთან „გრა-კორა“ ძალას იკრებს და ეწევა მოქიშპეს. ცხენები ერთად მიდიან ფინიშთან. დისტანცია დაფარული იქნა 2 წუთში და 20 წამში.

მეოთხე სადა დოღი გაიმართა მოხალისე მხედართათვის. მონაწილეობა მიიღეს: „ალფა“-მ, „ორატორი“-მ, „ომარ“-მა, „გორგასლან“-მა, „ანაიდა“-მ, „ბუკვარ“-მა, „ზორკა“-მ და „ბუტონ“-მ. დისტანცია 2000 მეტრი. ჯილდო 40 მანეთი. გაიმარჯვა „გორგასლან“-მა. დისტანცია დაფარა 2 წუთში და 40 წამში.

მეხუთე დოღი. მონაწილეობენ: „ბაირაგ“ (საბჭოთ-ოსეთი), „დარდიმანდი“ (საქ.), და „ჯამბო“ (კერძო), დისტანცია 1500 მეტრი ჯილდო 100 მანეთი. ფინიშთან პირველი მიდის „დარდიმანდი“, მეორე—„ჯამბო“. მანძილი გაიარეს 1 წუთში და 42 წამში.

მეექვსე დოღი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეს შეჯიბრი. გათამაშებული უნდა იქნეს რესპუბლიკანური ჯილდო—500 მანეთი და აზარფეშა. მონაწილეობენ წმინდა სისხლის ბედაურები: „ბერგენ“ (საქართველო), „საგიტერ“ (აზერბეიჯანი), „ატოს“ (აზერბ.), და „მილან“ (აფხაზეთი); დისტანცია 3000 მეტრი.

ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ცხენებს. უკანასკნელი ნიშანი... და ცხენები მოსხლტენ ადგილიდან. „ბერგენზე“ ზის კ გუდიაშვილი, „საგიტერზე“—მ. მამედოვი, „ატოსზე“—უ. მუსაევი და „მილანზე“—კ. ავალიშვილი.

პირველად დაწინაურდა „ატოსი“. მას მისდევს „საგიტერ“-ი, „ბერგენი“ მესამედ მიდის. „მილანი“ ბოლოშია. ასეთ მდგომარეობაში გაირბინეს რამოდენიმე კილომეტრი. შემდეგ „ბერგენი“ წამოეწია „საგიტერს“, წრის ერთ ჯერ შემოვლის დროს ძნელია თქმა, თუ რომელი გაიმარჯვებს: ცხენები უხვევენ მეორე მოსახვევში. „ატოსი“ უკვე მესამე ადგილზეა. პირველი ხან „ბერგენი“ და ხან „საგიტერი“. შემდეგ, დაახლოებით ათას მეტრს ორთავენი ერთ ხაზზე გარბიან. ახლოვდება კრიტიკული მომენტი. ცხენები უხვევენ უკანასკნელ მოსახვევში. სწორ ხაზზე „ბერგენი“ მთელი სამი კორპუსით უსწრებს წინ „საგიტერს“, ფინიშთან მიახლოებისას „საგიტერი“ მოხდენილ ნახტომით ეწევა მოქიშპეს. კიდევ ერთი თავგამოდება, მომარჯვებული ნახტომი და „საგიტერი“ იმარჯვებს.

დისტანცია დაფარულია 3 წუთში და 30 წამში.

მეშვიდე დოღი. დისტანცია 1500 მეტრი. ჯილდო 80 მანეთი. მონაწილეობენ ნახევარსისხლა: „მერი-გრი“ (აზერბ.), „სერპ“ (აფხაზეთი), „აბესალომი“ (სამხედრო), „ინფანტა“ (გ. ელიავასი) და „პორხან“ (მ. მდივანი).

იმარჯვებს „მერი-გრი“. მეორე მოდის „ინფანტა“. დისტანციას ფარავენ 1 წუთში და 48 წამში. მესამე ადგილს „პორხანი“ იკავებს.

მერვე საბარიერო დოღში მოხალისე მხედართათვის გამოდიან: „ბლოკადა“, „ანტანტა“, „გამბეტთი“, „აგრი“, „ოლგა“, „ბულგარკა“ და „ბუინაია“. დისტანცია 2000 მეტრი. ჯილდო—50 მანეთი.

იმარჯვებს „ბლოკადა“. მეორე ადგილზეა „აგრი“. დისტანცია დაფარულია 2 წუთში და 51 წამში.

ა—ნი.

# რადიო-გადაცემა

## სამშაბათი, 15 მაისი

დღეს, 15 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

ამერიკა და ევროპა—მოხსენება ქართულ ენაზე.

ცოფი და მასთან ბრძოლა—მოხსენება რუსულ ენაზე.

გაზ. „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

მოხსენება—ახლო მასებთან, მეტი თვითკრიტიკა—სომხურ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი ან და ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

# შრომის ბირჟაში

## მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 15 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

**კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან:** პავლე ბერბერაშვილი, არჩილ საყვარელიძე, ნატალია ბრატმეესკაია, ირინა ბეზბოროდოვა და სერგო ვლასოვი.

**გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** თამარ ჩუბრუკიძე.

**მედ-სექციიდან:** მიღებული მოთხოვნილება დ. ყარაბახიდან: ერთი ბებია—ექიმის თანაშემწეზე, სამი ბებია ქალზე, ორი მოწყალების დაზე. ჯამაგირი, 50 მანეთიდან 75 მანეთამდე. ოთახი, განათება და გათბობა. მოწყალების დებს მიეცემათ ჯამაგირი 40—50 მანეთამდე უფასო მზერობით. მსურველებმა უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. გოგაშვილს.

**შავ მუშათა მესამე სექციიდან:** შიო მეუდლიშვილი, ხაზარ საფაროვი, ვასილ სამოდუროვი, იოსებ ცაბაძე, ინდიკო ფოთლაძე, ნიკოლოზ ლუდნიკოვი, სერგო მელაძე, რუბენ ოგანესოვი, ლევან ჩაჩანიძე, აბრამ ნერსესოვი, არტავაზ კარაპეტიანი, ერასტი ძაძამია და პლატონ წირღვავა.

**მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ნერსეს ხარუტანოვი, და შამაონ აბრამოვი, მამედ ოღლი-ალი და ვანო მამულაშვილი.

**რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან:** ვასილ ღოღობერიძე, ელიოზ ლიტვიანი და ნინო ჩხეიძე.

**მედსექციიდან სამუშაოზე იგზავნებიან:** მარიამ ალდგომელაშვილი, ელისაბედ ხვიჩია, აბრამ მელიქ-პარტანიანცი, შოთა ხარქიძოვი და იულია ერახინი.

# პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს მიმდინარე პოლიტიკის წრეების ყველა ხელმძღვანელებს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის ზემოაღნიშნულ განყოფილებაში არა უგვიანეს 17 მაისისა წარმოადგინონ ცნობები პროგრამის დამთავრების შესახებ.

—:—

სახ. უნივერსიტეტის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს უნივერსიტეტში არსებულ ყველა პოლიტსკოლის მდივნებს 3 დღის განმავლობაში წარმოადგინონ ბიუროში სააღრიცხვო წიგნაკები.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახ. კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში შესდგება დიასახლისების საერთო კრება.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 15 მაისს, საღამოს 6 საათზე შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე პარასკევა, ძმები რაჟდენი და სიმონი, შვილებით გიორგი, ლევანი, ელენე, ფატი, მარიამი და თამარი ოჯახებით, [illegible] სიმე ქმარშვილით, რძალი კეკე, ცოლის დები ბუდუნიკი და [illegible] პიმენ მიქელაძე მეუღლითურთ აუწყებენ საზოგადოებას, რომ [illegible] 12 მაისს ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

### სილოვან ხუნდაძე

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, სამშაბათს, 15 მაისს, ნაშუადღევს 5 საათზე. 2367

---

გულდამწვარი ძმისწულები: ქეთევან, მასურია, ლიზა და მათი მეუღლენი—ვიქტორ მარუაშვილი, თეიმურაზ ჭუმბურიძე და აპოლონ კარტოზია მათი შვილებით, თამარ, ნინო და პულა ხუნდაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ. ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასი ბიძის

### სილოვან თომას ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას 2359

---

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს დამსახურებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის

### სილოვან თომას ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში სამშაბათს 15 მაისს. ბ. 1088

---

გულდაწყვეტილნი ყოფილ მოწაფეები: შ. დადიანი, კ. კანდელაკი, ე. ბოკერია, ერ. ფაღავა, ი. გუბელაძე, ვ. იმედაშვილი, გ. ანდრიაძე, კ. ნანეიშვილი, გ. ლორთქიფანიძე და ს. ჟორჟოლიანი გამოსთქვამენ ღრმა მწუხარებას დაუვიწყარ დამრიგებლის და საყვარელ მასწავლებლის ცნობილ პედაგოგის, მწერალისა და საზოგადო მოღვაწის

### სილოვან ხუნდაძის

გარდაცვალების გამო. ბ. 1096

---

ქუთაისის ყოფილ ქართულ გემნაზიის ყოფილი მოწაფენი: ი. ამაშუკელი, ს. ჟორდანია, ი. მიქაბერიძე, ვ. ავალიანი. ვ. ქავთარაძე, მ. ჩხეიძე, ვ. ახვლედიანი, დ. ახვლედიანი, ა. კურცხალია, რ. ნიჟარაძე, ს. მარგველაშვილი, ვ. ლოლაძე, ა. გოგორიშვილი, ე. კახიანი, ა. გრიგორაშვილი, ვ. ჩხეიძე, ვ. მგალობლიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას შეუდარებელი პედაგოგის, დაუღალავი საზოგადო მოღვაწის და ძვირფასი მასწავლებლის

### სილოვან თომას ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში 12 მაისს ა. | წ. 2366

---

განათლების მუშაკთა კავშირის ქუთაისის სამაზრო განყოფილება აუწყებს კავშირის ყველა წევრებს და საზოგადოებას დამსახურებულ პედაგოგის, მწერალის და საზოგადო მოღვაწის

### სილოვან ხუნდაძის

გარდაცვალებას (დ)

---

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელისაბედი (ლიზა) შვილებით ვასო, სალომე, სიძე მიხეილ ავაქოვი პატარა თენგიზით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 12 მაისს საღამოს 8 საათ. გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

### აბრამ გიორგის ძე გარსევანიძე

გამოსვენება ბინიდან ბაქრაძის შეს. № 12 (ყოფ. კირპიჩნი) სამშაბათს 15 მაისს დღის 4 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

---

ღრმად დამწუხრებულნი დები თამარა, ლილი გოშუები, დეიდა ოლღა ანთელავასი, ბიძა პლატონი ჯიჯიხია აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა

### შალვა სოლომონის ძე გოშუა

დაკრძალვა 16 მაისს, 4 საათზე, ქ. ზუგდიდში. 1094

---

თამარა ჟორდანია, ბაბუცა, ნათელა, კოლია, მუჟუჟა კარტოზიები, გუგუ თოდუა, სამა ბაბუნაშვილი, ვალოდია ხვიტია, კოსტა მესხია და შალვა ცხაკაია გულითად მწუხარებას გამოსთქვამენ ა | წ. 12 მაისს დაუვიწყარ მეგობრის

### შალვა სოლომონის ძე გოშუას

ტრაგიკულად დაკარგვის გამო, დაკრძალვა 16 მაისს, ქალ. ზუგდიდში. ბ. 1094

---

ღრმად დამწუხრებული დედა ოლინკა, დები ელენე და შურა, ბიძა ალექსანდრე და ბიცოლა ელენე დათუნაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სოფ. აკეთში ოზურგეთის მაზრაში გარდაიცვალა

### ნადია დავითის ასული დათუნაიშვილი

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 15 მაისს 2352

---

სახკინმრეწვის კინოები

| | |
|---|---|
| პალასი<br>სოლეი<br>მინიონი | საქართველოს სახკინმრეწვის გამოშვება მხატვრული ფილმი **ბოშური სისხლი** რეჟისორი ლევ პუშ ოპერატორები ბალპერინი და კალატოზიშვილი მთავარ როლებში—მარია შირაი, კ. მიქაბერიძე, ა. თაყაიშვილი |
| აპოლო | დიდგმის მეორე კვირა **ორი ქმრის ცოლი** |
| არფასტო | ორიგინალური კომედია **საეჭვო ბარგი** ადა მაგის მონაწილეობით |
| ოდეონი | უკანასკნელად თბილისში **გორა** დადგმა რეჟისორ — კ. მარჯანიშვილის. |
| დარბაზი | ცნობილი ტრიუკისტი ედ ვიბსონი სურათში **რგოლში** |
| პროლეტარი<br>ავლაბარი | ამერიკული კინო რომანი 4 სერიათ **მკვლელის დაღი** 1 და 2 სერია ერთად |

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი მიწა ტყვეობაში, და სამი მუშკატერი. 1—10

ამა წლის 20 მაისს საღამოს 7 საათზე, პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნება

## სოფლის კავშირის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

დღის წესრიგი:

1. სას. სამ. კოოპერაციის კავშირთ-კავშირის წარმომადგენლის მოხსენება საკავშირო სას. სამ. კოოპერაციის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ.
2. გამგეობის მოხსენება 1927 საოპერაციო წლის მოქმედების შესახებ.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. ანგარიშების განხილვა-დამტკიცება და მოგების განაწილება.
5. 1927/28 წ. გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება, საინფორმაციო მოხსენება 1927/28 საოპერაციო წლის პირველისა და მეორე კვარტალში მუშაობის შესახებ.
6. კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მოხსენება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ.
7. მოხსენება საქ. სახ.-სამ. ბანკის მუშაობის შესახებ 1926/27 წელში.
8. მოხსენება კოოპერ. ბანკის მუშაობის შესახებ.
9. სოფლის კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
10. საკავშირო ყრილობისათვის დელეგატთა არჩევნები.
11. მმართველ ორგანოების არჩევნები.
12. მიმდინარე საკითხები.

საქ. სახ.-სამ. კოოპერაციის ცენტრალური კავშირის სოფლის კავშირის გამგეობა. ბ. 1092

---

ფოთის კონტრაგენტს

### მელიტონ მგალობლიშვილს

წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ გამოცხადდეს „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში (თბილისი, რუსთაველის პროს. № 34). მთავარი კანტორა. 0—1

**მათემატიკის მასწავლებელი**

ამზადებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად და შრომის სკოლის ყველა ჯგუფებისათვის და სპეც ტეხნიკუმში შესასვლელ გამოცდებისათვის და აგრეთვე ასწორებს სუსტს და ჩამორჩენილ მოწაფეებსაც. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერნიშევის ქუჩ. № 5) ნახვა 8—10 ს. და 12—5 საათ. 2356

ექიმი

**ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქოროსის ქ. კუთხე.

**ექიმი ჯალალოვა**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—76

## ა.-კ. ს. ფ. ს. რ. რკ. გზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1928 წლის 21 მაისს, დილის 10 საათ. თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა № 34)

### საუქციონო ვაჭრობით გაიყიდება

ა.-კ. რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი ს. ს. რ. კ. რკინის გზის წესდების 94 მუხლის თანახმად:

1) პირველ ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები.

2) იმ შემთხვევაში თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგება ან ყველა ტვირთი არ გაიყიდება, მეორე ვაჭრობა შესდგება 1928 წელს, 23 მაისს.

3) მეორე და შემდგომ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ყველა მსურველებს.

ის ტვირთი, რომელიც გაუყიდავი დარჩა წინანდელ აპრილის ვაჭრობიდან, გაიყიდება ამ ვაჭრობაში ხელმეორედ შეფასების თანხიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში — მუშაობის დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს — ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ბ. 1081

---

## მანგლისის თემ-აღმასკომი

ამით აცხადებს ყველა დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ თემ-აღმასკომის მიერ იჯარით იცემა მის განკარგულებაში მყოფი პარკი კლუბით, რესტორანის გამოსაყენებელი ადგილით და სხვა ა.-წ. საზაფხულო სეზონისათვის. პირობების შესახებ საჭირო ცნობების მისაღებად მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერათ თემ-აღმასკომის თავმჯდომარეს ყოველდღე დილის 8 საათიდან—ნაშუადღევს 2 ს.

2364. მანგლისის აღმასკომი.

---

## თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს 19 და კვირას, 20 მაისს დილის 10 საათზე

დანიშნულია

### საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ბ. 1093

---

### ქ. ტფილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 17 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 83 კალინინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. სოლომონ ხანზინის მოძრავ ქონებას: კრუშონის ვაზას, ვერცხლის რიუმკით, რუსულ სკამებს, წიგნის შკაფს და სხვას შეფასებულს 200 მანეთად, მეერ კოსოიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 14 მარტის 1928 წ. თარიღით, № 761 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ.1090

---

## ამიერ-კავკასიის რკ. გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 15 მაისიდან შემოღებულ იქნება მატარებლების მიმოსვლის ახალი საზაფხულო ცხრილი

მატარებლები თბილისის სადგურიდან გადის და თბილისში მოდის შემდეგი ცხრილის მიხედვით:

### თბილისიდან გადის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მატ. | № 1—ლენინგრადში | კვირაობით | 9 საათზე | | |
| „ | № 1—მოსკოვში | შაბათობით და ორშაბათობით | 9 ს. | | |
| „ | № 19—მოსკოვ-ყაზანში | ყოველდღე | 13 | საათ. | 45 წ. |
| „ | № 10—ბათომში | „ | 20 | „ | 35 „ |
| „ | № 9—ერევანში | „ | 23 | „ | 00 „ |
| „ | № 3—ბაქოში | „ | 23 | „ | 30 „ |
| „ | № 3—ჯულფაში | „ | 18 | „ | 00 „ |
| „ | № 3—თელავში | „ | 23 | „ | 50 „ |
| „ | № 4—ბათომში | „ | 8 | „ | 00 „ |
| „ | № 12—ფოთში | „ | 19 | „ | 00 „ |
| „ | № 14—ბათომში | „ | 17 | „ | 45 „ |
| „ | № 13—თელავში | „ | 8 | „ | 05 „ |
| „ | № 20—ბორჯომში | „ | 14 | „ | 45 „ |
| „ | № 24—გორში | შაბათობით და უქმეების წინა დღეებში | 13 | საათ. | 40 წ. |

### თბილისში მოდის:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მატ. | № 2—ლენინგრადიდან | პარასკეობით | 17 | ს. | 30 წ. |
| „ | № 2—მოსკოვიდან | ხუთშაბ. და ორშაბ. | 17 | „ | 30 „ |
| „ | № 10—მოსკოვ-ყაზანიდან | ყოველდღე | 16 | „ | 00 „ |
| „ | № 9—ბათომიდან | „ | 7 | „ | 10 „ |
| „ | № 10—ერევნიდან | „ | 6 | „ | 00 „ |
| „ | № 4—ბაქოდან | „ | 7 | „ | 00 „ |
| „ | № 4—თელავიდან | „ | 17 | „ | 00 „ |
| „ | № 4—ჯულფიდან | „ | 11 | „ | 45 „ |
| „ | № 3—ბათომიდან | „ | 22 | „ | 30 „ |
| „ | № 11—ფოთიდან | „ | 8 | „ | 40 „ |
| „ | № 13—ბათომიდან | „ | 5 | „ | 35 „ |
| „ | № 14—თელავიდან | „ | 4 | „ | 45 „ |
| „ | № 19—ბორჯომიდან | „ | 6 | „ | 40 „ |
| „ | № 25—გორიდან | კვირა უქმე დღეებში | 20 | „ | 05 „ |

**შენიშვნა:** 1) მატარებლების შემადგენლობის სწორი მიმოსვლის მიზნით მატ. № 3 თელავში, № 3 ჯულფაში, № 11|9 ერევანში თბილისიდან ახალი ცხრილით გავა 14 მაისიდან;

2) მატ. № 9 მოსკოვ-ყაზანში თბილისიდან წავა 15—17—19—6 და შემდეგ ყოველდღე.

3) მეორე წყვილი მატ. № 2 მოსკოვში თბილისიდან პირველად წავა 26 მაისს.

ნაჩვენებია მოსკოვის დრო, რომელიც ადგილობრივს ჩამორჩება 1 საათით. ბ. 1080 2—2

---

1928 წლ. 27 მაისს, დილის 10 საათზე

## საზოგადოება „ჩემო“-ს შენობაში

(რუსთაველის პროსპ. № 22) ჭიათურის შავი ქვის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო“) ლიკვიდაციის გამო დანიშნულია საზოგადოების წევრთა

## საერთო კრება

იმ შემთხვევაში, თუ კრებას არ დაესწრო საზოგადოების მონაწილეთა ხმების ორი მესამედი, 27 მაისს, დღის 12 საათზე, იქვე შესდგება მეორე კრება, რომლის დადგენილებები სავალდებულოა საზოგადოების ყველა მონაწილეთათვის, მიუხედავათ იმისა, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მეორე კრებას.

დღის წესრიგი:

1. ანგარიში და მოხსენება სალიკვიდაციო კომისიის მუშაობის შესახებ 1926 წლის 1 ივნისიდან.
2. „ჩემო“ საქმეების ლიკვიდაციის საბოლოო ვადის დანიშვნა.
3. საზოგადოების ლიკვიდაციის მომენტში დაუმთავრებელ საქმეების გადაცემა, რომელიმე დაწესებულებისათვის.
4. მიმდინარე საქმეები.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელი ზ. მგალობლიშვილი.

ბ. 1089 საქმეთა მმართველი პ. გამყრელიძე.

---

### ქალ. ტფილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ნოზაძე

აცხადებს, რომ 1928 წ. 18 მაისს, დღის 1 საათზე, 1-ლ სამილიციო უბანში ბაქრაძის მე-2 ჩიხში № 4, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ერთ სართულიანი სახლის ნახევარი ნაწილი—ორი ოთახი, რომელიც ეკუთვნის ნიკოლოზ ონისიმესძე გოგოლაშვილის და მდებარეობს ზემოთ აღნიშნულ ჩიხში. ეს სახლი შეფასებულია 800 მანეთათ და მას აქვს ქალაქ თბილისის კომუნალურ ბანკის ვალი —1200 მან. ვაჭრობა დაიწყება 800 მან.; სახლის მყიდველმა ბანკის ვალი უნდა გადაიწყოროს. ვაჭრობა დანიშნულია ბასიკო ნინიას-ძე გოგოლაშვილის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად ჯამით 800 მან.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები, გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. 311 მუხ., გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პრ. 2371

---

### ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 18 მაისს, 1928 წ. დღის 2 საათზე, სახლში № 70, კომუნალურ ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის მამედ ისმაილოვის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, საწერ მაგიდას, ხალიჩას და სარკეს შეფასებულს 63 მანეთად, არტემ საკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 9 თებერვლის 1928 წ. თარიღით № 348 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ბ. 1091

---

ექიმი

**ქ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

**ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**თვალის საავადმყოფო**

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. დებულობენ ექიმები:

**ა. ნ. შატილოვი**

საოპერაციო დღეებში

**ა. გ. მალაევი**

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

**დავკარგე:** პასპორტი გიორგი გოცირიძეს სახელზე, ჩ. გ. 2354

**დავკარგე:** კავშირის წიგნაკი № 3754 და პირადობის მოწმობა ვარლამ მღვდელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2355

**დავკარგე:** პირადობის მოწმობა პროფ-კავშირის წიგნაკი, საანგარიშო წიგნი № 1951 და ავიაქიმის წიგნაკი ვალიკო გიორგის ძე სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. 2364

**დავკარგე:** მატრიკული № 1592 ტ. ს. უ. სტუდენტ ქეთევან ჩხიკვაძის სახელზე, ჩ. გ. 2363

**დავკარგე:** ცხენთა სააღრიცხვო წიგნაკი № 65, გაცემული კაცილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2365

**დავკარგე** განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 8134 ივანე სურგულაძის სახელზე, ჩ. გ. 2357

**დავკარგე:** სიმწიფის მოწმობა № 252, გაცემული სოხუმის 9 წლედის მიერ, მეტრიკული ამონაწერი, სიღარიბის მოწმობა და აფხაზეთის განათლების სახკომატის მიერ გაცემული მივლინება თბილისის სახ. უნივერსიტეტში გრიგოლ ეფრემისძე დავითაიას სახელზე, ჩ. გ. 2358

**დავკარგე:** კავშირის საწევრო წიგნაკი № 6973—მაკარი წოწორიას სახელზე, ჩ. გ. 2370

**დავკარგე:** კავშირის წიგნაკი, პირადობის მოწმობა და სამხედრო ნუსხა გიორგი ჯღარკავას სახელზე, ჩ. გ. ბ. 1095

**დავკარგე:** მატრიკული და მოწმობა № 459 გაც. ტ. ს. უ—დან კარლო ილარიონისძე ჭანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2360

**დავკარგე:** პატენტი მიკირტიჩ იარალოვის სახელზე, ჩ. გ. 2362

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64